ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“+ „სერვანტესი“
8 ლარი
16 მაისიდან 30 მაისამდე




ხუთშაბათი, 19 მაისი, 2011 №117 (5498) ფასი: 30 თეთრი

# ჩვენ საბოლოო ბრძოლისთვის ვემზადებით!

სახალხო კრებამ დიპლომატებს გეგმები გააცნო



გვ.2

## ბინ ლადენი და გამსახურდია გროზნოში ერთად ცხოვრობდნენ





გვ.4

მსოფლიოს პირველი ტერორისტი 2996 წლის 26 ივნისს მოკვდა

## ალეკო ხეთაგურმა ენერგეტიკის გარდა ზუთხსაც უნდა მიხედოს



გვ.3

## სუბარმა ტალახი მესროლა



გვ.6

არ მჯერა, რომ ოპოზიცია რუსეთიდან იმართება

## დიქტატურისთვის ფარდის ახდის ახალი ეტაპი დაიწყო





გვ.2

ქართული პარტია ხელისუფლებას პროვოკაციების მოწყობაში ადანაშაულებს

## რა მოხდა საჩხერეში

რუსებმა ჯონჯოლის მოსაკრეფად წასული ახალგაზრდები დაჭრეს

გვ.8



გვ.3

## რას აპირებენ მოშიმშილე ადვოკატები



გვ.7

## ვადამდელი არჩევნები ოპოზიციისათვის არის პრობლემა

## პარლამენტი ჩერქეზების გენოციდს აღიარებს?

გვ.5

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 3090 მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

10 ბესარიონ ალანია: „ქართველების და ბერძნების სახით საერთო მტრები გვყავს“

9 ამერიკა სააკაშვილს არ უპირისპირდება

11 გამსახურდია ბუშმა და ბეიკერმა დაამხეს

15 მოსკოვში კანიბალიზმში ეჭვმიტანილი დააკავეს

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ჩვენ საბოლოო ბრძოლისთვის ვემზადებით!

## სახალხო კრებამ დიპლომატებს გეგმები გააცნო

ნათია ხურცილავა

საბოლოო ბრძოლისთვის სამზადისი ფინალში გადის. 21 მაისის აქციის შესახებ სრული გეგმა „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ და „სახალხო კრების“ აღმასრულებელმა საბჭომ გუშინ დიპლომატიურ კორპუსს გააცნეს.

რომელი პოლიტიკური პარტია შეიძლება იყოს 21 მაისს „სახალხო კრების“ აქციაზე, ისევ გაურკვეველია.

21 მაისის აქციის გეგმა ისევ საიდუმლოა. თუმცა, გუშინ ცნობილი გახდა, რომ ქალაქის მერიაში აქციების გამართვის 10-დღიანი განაცხადია შეტანილი. გამოდის ბურჯანაძე პერმანენტული აქციებისთვის ემზადება.

— 21 მაისს თბილისში თავისუფლების მოედანზე, ხოლო ბათუმში ერას მოედანზე ჩვენ ვიქნებით ხალხთან ერთად. ყველა იმ ადამიანს, ვისაც გული შესტკივა ამ ქვეყნისთვის, ველოდებით ამ შეკრებაზე საბოლოო ბრძოლისთვის. დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი მოქალაქე, ჩვენი სამშობლოს ბევრი გულშემატკივარი მოვა აქციაზე. — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

დიპლომატიური კორპუსიის წარმომადგენლებთან ერთსაათიანი შევხედრის დასრულების შემდეგ „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა პრესასთან განცხადება გააკეთა.

— ჩვენი მთავარი ამოცანაა, ქვეყანაში იყოს რეალური დემოკრატია და არა ნეობოლშევიზმი. ჩვენ ვიბრძვით იმისთვის, რომ ეს ხელისუფლება წავიდეს და ჩატარდეს თავისუფალი და დემოკრატიული საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები, რომ ქვეყანას მიეცეს შანსი გადარჩენის და გამთლიანების. ჩვენი მხრიდან ცხადია იქნება აქტიური და ქმედითი ნაბიჯები გადადგმული, მაგრამ მშვიდობიანი და უიარაღო ბრძოლა. რაც შეეხება ამ შეხვედრას, დიპლომატებს მივაწოდეთ ინფორმაცია მოსალოდნელი პროვოკაციების შესახებ. მოვუყევით იმის შესახებ, რომ ქვეყანაში, სადაც ერთი წლის განმავლობაში, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტრო გვეუბნება, არც ერთი მანქანა არ მოუპარავთ, ავჭალის პოლიციის წინ გარაჟიდან მოგვპარეს მანქანა, რომელზეც სცენა უნდა დამონტაჟებულიყო, მოვუყევით იმის თაობაზე, რომ მასობრივად დაიწყეს იმ ადამიანების სამსახურიდან დათხოვნა, რომელთა ოჯახის წევრები ან ახლობლები არიან ჩვენს მოძრაობაში. ასევე ვაჩვენეთ რუსთავის პროვოკაცია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ხელისუფლების გეგმებს პროვოკაცია მოუწყოს მშვიდობიან მომიტინგეებს. ბოლო ათი დღის განმავლობაში მე შევხვდი თითქმის ყველა პირველ პირს საქართველოში აკრედიტებულ ელჩებს. წინასწარ ჩავაყენე ელჩები საქმის კურსში ჩვენს გეგმებთან დაკავშირებით და მოსალოდნელ პროვოკაციებთან დაკავშირებით. ჩვენს აქტივისტებს ქუჩაში გამოსვლის საშუალებას აღარ აძლევენ. მუდმივი დევნა არის იმის წინააღმდეგ, რომ პლაკატი არ გაიკრას, არ დარიგდეს ვიზუალური მასალა. მე მესმის, რომ ხელისუფლებას ეშინია, სწორად ეშინა, რადგან ძალა ნამდვილად ხალხშია. — განაცხადა „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა.

„ქართული პარტია“ ისევ აკეთებს შეთავაზებას „სახალხო კრების“ აქციებში მონაწილეობის ჩართვის სურვილთან დაკავშირებით. რაზეც ბურჯანაძე ასე პასუხობს:

— ნებისმიერი პარალელიზმები, რასაც „ქართული პარტია“ ასე აქტიურად გეგმავდა, ხელისუფლების წისქვილზეასხამდა წყალს. 21 მაისი ყველასია. „სახალხო კრებას“ აქვს კონკრეტული გეგმა ცხადად წარმოდგენილი, როგორ უნდა განხორციელდეს მოქმედებები იმისთვის, რომ ეს ხელისუფლება წავიდეს. თუ ვინმეს სურს, ხელისუფლების გაშვებაში მონაწილეობა მიიღოს და იმოქმედოს იმ გეგმით, რა გეგმაც „სახალხო კრებას“ აქვს, რომელშიც კორექტირებას ვერც ერთი ძალა ვერ შეიტანს. კრებაში ვართ ის ადამიანები, რომლებიც ერთმანეთს ვენდობით და ვიცით, რომ ბოლომდე ვიბრძოლებთ. თუ



ვინმეს სურს, რომ ამ აქციებში მიიღოს მონაწილეობა, ყველა მოქალაქეს აქვს სრული უფლება, რომ მიიღოს აქციებში მონაწილეობა და იმოქმედოს ისე, როგორც „სახელხო კრების“ მიერ ჩამოყალიბებულ გეგმაშია გაწერილი და შესაბამისად თავისი წვლილი შეიტანოს ამ ბრძოლაში. ორი დღე არის 21 მაისამდე დარჩენილი და ფუჭი ლაპარაკისთვის არ გვცალია. თუ ვინმეს უნდა ამ პროცესს წაადგეს, ჩაერთოს, როგორც რიგითი მოქალაქე. — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ხელისუფლებამ უკვე გააკეთა განცხადება, რომ „სახალხო კრებამ“ შეიძლება 21 მაისს პროვოკაციები განახორციელოს. ამ შემთხვევაში ის ადეკვატურ რეაგირებას მოახდენს.

— არაადეკვატური ხელისუფლება რამეზე ადეკვატურ ხელისუფლებას როგორ მოახდენს. თუ ადვოკატების აქციის აყრა იყო ადეკვატური რეაგირება? — ამბობს ბურჯანაძე.

დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრას მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილიც ესწრეობა, რომელიც „სახალხო კრებას“ დიდი ხნის წინ შეუერთდა.

— დიპლომატიურმა კორპუსმა ჩვენგან სრული ინფორმაცია მიიღო. ჩვენ ვუთხარით, რომ ჩვენი ღონისძიება მშვიდობიანია, ყოველგვარი ძალადობის გარეშე, მაგრამ ხელისუფლებამ უკვე ტანკების გამოყვანა დაიწყო ქუჩაში, ეს არის საბჭოთა პერიოდის გაგრძელება, როდესაც თავისუფლების დღე ტანკებით და ჯარით აღინიშნება. მსოფლიოში არც ერთი დემოკრატიული ქვეყანა ამას არ აკეთებს. პირადად ვთხოვე ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის წარმომადგენელს, რომ გვითხრან: სად იხარჯება ის ფული, რომელიც მოდის შეერთებული შტატებიდან, მეორე, ჯო ბაიდენის გამოსვლა პარლამენტში ძალიან საინტერესო იყო, მაგრამ არაფერი ამ ხელისუფლებას არ გაუთვალისწინებია და ამაზე, როგორია მათი დამოკიდებულება. მესამე, ობამამ განაცხადა, რომ მთელ მსოფლიოში ის იღებს პასუხისმგებლობას, რომ მედია დემოკრატიული იყოს, ვთხოვე, რომ საქართველოში აღარ არსებობდეს სახელმწიფო ტელევიზიები, პრეზიდენტის პირადი ტელევიზია. ვთხოვე ელჩებს, რომ დაინტერესებულიყვნენ, რა სასახლეები ააშენეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა. ნახონ თუნდაც სიხარულის ქუჩა. — განაცხადა შაშიაშვილმა.

როგორც გაირკვა, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს აინტერესებდათ, აქციები პერმანენტული იქნება თუ მხოლოდ ერთდღიანი.

კიდევ ერთი საკითხი, რითაც დიპლომატები დაინტერესდნენ, 26 მაისის აღლუმის პარალელურად აქციის ჩატარებას ეხებოდა.

— ეს შეკითხვა დაგვისვეს დიპლომატებმაც. ხომ გასაგებია, როდესაც ჩვენ განვაცხადეთ, რომ 21 მაისს აქცია იქნებოდა, ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ აღლუმი რუსთაველის გამზირზე ჩაეტარებინა, არადა, ვიცი, რომ წელს აღლუმი ქუთაისში უნდა ჩატარებულიყო. ასეთი გადაწყვეტილება ჰქონდათ მიღებული. მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ ჩვენს პროგრამას არ ვცვლით და ვისაც საქართველო უყვარს, ერთად უნდა დავდგეთ, არა რომელიმე პოლიტიკოსისთვის, არამედ ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის. — აღნიშნა შაშიაშვილმა.

„სახალხო კრების“ წარმომადგენელი გია ბურჯანაძე „ქართული პარტიის“ შეთავაზებაზე აცხადებს, რომ ის არ არის პარტიის წევრი და რატომ უნდა გამართონ მასთან კონსულტაციები.

— ინფორმაცია მივაწოდეთ ელჩებს იმაზე, თუ რა გვაქვს ჩაფიქრებული. რას ვაპირებთ, ასევე, თუ რა ინფორმაცია გვაქვს. დიპლომატებმაც კითხვები მოგვცეს და ჩვენ ვუპასუხეთ ყველა იმ კითხვაზე, რაც მათ აინტერესებდათ. რაც შეეხება „ქართული პარტიის“ შემოთავაზებას, ფიზიკურად როდის უნდა მოხდეს თუნდაც კონსულტაციები. ფიზიკური დრო არ არის. ხალხი ერთად უნდა იყოს. ვისაც სურს, რომ ეს უბედურება მოშორდეს ქვეყანას და შემდეგ თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნები ჩატარდეს, ამისთვის ხალხი ერთად უნდა დადგეს. მე პირადად პარტიის წევრი არ ვარ და არ მესმის, პირადად ჩემთან რა კონსულტაციები უნდა ჩაატარონ. ყველა ხალხთან უნდა იყოს, ვისაც სურს ქვეყნის გადარჩენა. 21 მაისს ყველა იქნება ქუჩაში გამოსული. რაც შეეხება ჩვენს გეგმას, რა და როგორ გვაქვს დაგეგმილი, წინასწარ ამ გეგმის შესახებ არაფერს არ ვიტყვით. ამას ადგილზე გაიგებს ყველა. თუ რამე პროვოკაცია იქნება, ეს იქნება ხელისუფლების მხრიდან. აქციები ყოველდღე იქნება, მაგრამ ეს არის იმაზე დამოკიდებული, როგორ წავა პროცესები. — განაცხადა გია ბურჯანაძემ.

**ნონა გაფრინდაშვილი, „სახალხო კრების“ ხელმძღვანელი:**

— კონსულტაციების პროცესი დაგვიანებულია. თუ „ქართულ პარტიას“ ეს უნდოდა ორი დღით ადრე, როდესაც ბატონმა ოქრუაშვილმა განაცხადა პირდაპირ ეთერში „სახალხო კრება“ ვერაფერს ვერ გააკეთებს, რადგან ისინი ხალხს გამოიყვანენ და სახლში გაუშვებენ და ჩვენ ვართ მხოლოდ ერთადერთი პარტია, ვინც ამ ყველაფერს მოუვლის, მე ამ განცხადებას ყურადღებას არ მივაქცევდი, რადგან მსგავს განცხადებებზე კომენტარები არ გაგვეკეთებინა. ვერ გაიხსენებთ ვერც ერთ განცხადებას, რომ ჩვენ გვეთქვა — „ქართული პარტია“ არ არის მზად, რომ ისინი ვერ გააკეთებენ ვერაფერს. ჩვენ პირნათელი ვართ მათთან მიმართებაში. თუ ასეთი განცხადება ვინმეს გაუკეთებია, მათზე პირადად მე მოვიხდი ბოდიშს. ერთადერთი ვთქვი, რომ „ქართული პარტია“ ჩვენი გზით მიდის. რას ნიშნავს მოლაპარაკების მაგიდა, სკამების განაწილებაზე ხომ არ მიდის საუბარი. ბრძოლა არის დემოკრატიული არჩევნებისთვის. როცა ჩატარდება დემოკრატიული არჩევნები, მერე ხალხი გადაწყვეტს, ვის მისცემს მანდატს. თუ მართლა რეჟიმის შეცვლა უნდათ, რა მოლაპარაკება უნდათ, მოვიდნენ და დადგნენ ხალხში, როგორც რიგითი მოქალაქეები. ჩვენ ჩვენს გადაწყვეტილებებში არავის არ ჩავრთავთ. ჯერ ერთი, ნდობის ფაქტორი უნდა ჰქონდეთ, მაგრამ რანაირი ნდობა უნდა მქონდეს, რომ ჩვენს გადაწყვეტილებებში ვინმე ჩავრთოთ თუნდაც ვინმეს ჰქონდეს ძალიან მაღალი ნდობა. ჩვენ ერთმანეთი გამოვცადეთ. არც ერთი ვართ უკან დამხევი და გარიგებაზე წამსვლელი, კრების აღმასრულებელ საბჭოში ერთმანეთს თვალდახუჭული ვენდობით.

# დიქტატურისთვის ფარდის ახდის ახალი ეტაპი დაიწყო

## ქართული პარტია ხელისუფლებას პროვოკაციების მოწყობაში ადანაშაულებს

**„ქართული პარტიის“ ლიდერმა სოზარ სუბარმა, ლევან გაჩეჩილაძემ და კახა მიქაიამ ზუგდიდში დაგეგმილი აქციების წინ დაწყებულ პროვოკაციებზე ისაუბრეს. სოზარ სუბარმა დადასტურებულ ინფორმაციაზე ისაუბრა, რომლის მიხედვითაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა „ქართული პარტიის“ რეგიონული ოფისის დახურვის შესახებ მიიღეს გადაწყვეტილება.**

**სპეციალურ პრესკონფერენციაზე აღნიშნულ ინფორმაციაზე კახა მიქაიამ ისაუბრა. მისი თქმით, ვანო მერაბიშვილის დავალებით მიღებულია გადაწყვეტილება, რომ მოხდეს მათი დაპატიმრება.**

ნათია ხურცილავა



— ხელისუფლებას ეტყობა ძალიან სერიოზული შიში გაუჩნდა და ამის მანიშნებელია ის დევნა, რომელიც დაიწყო პარტიის ცალკეული წევრების მიმართ თუ ზოგადად იმ აქტივისტების მიმართ, რომლებიც ამ რეჟიმის მიმართ შეურიგებლები და შეუწყნარებლები არიან. დადასტურებული ინფორმაცია გვაქვს, თუ რას აპირებს ხელისუფლება ზუგდიდში დაგეგმილი აქციების წინ. — განაცხადა სოზარ სუბარმა.

**კახა მიქაია, „ქართული პარტიის“ პოლიტსაბჭოს წევრი:**

— ორი დღის წინ დილის საათებში შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი ანაკლიაში იმყოფებოდა, ის შეხვდა ზუგდიდის სამხარეო პოლიციის მაღალჩინოსნებს და იქვე გადაწყდა, რომ „ქართული პარტიის“ ოფისი დაიშალოს ზუგდიდში. ამის შესახებ თათბირი მერაბიშვილის გარეშე გაგრძელდა ზუგდიდის სამხარეო პოლიციის შენობაში, სადაც შეხვედრას ესწრეობდნენ სხვადასხვა ადამიანები, მათ შორის მთავარი



ზონდერი თემურ თორია, მეტსახელად ლოქო, რომელმაც საკუთარ თავზე აიღო სპეცოპერაცია, რომ „ქართული პარტიის“ ოფისი ზუგდიდში არ უნდა არსებობდეს. მათ სურთ ჩვენი დაპატიმრება კრიმინალური ბრალდებით. არ გამოვრიცხავ არც ნარკოტიკის ჩაგდებას, არც ხელის გადაგრეხვას და ნარკოტიკის გაკეთებას. არ გამოვრიცხავ ჩხუბს, ავტოკატასტროფასაც. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, თუ ზუგდიდის ოფისის წევრებს: ალექსანდრე გეგიას, ალექსანდრე მოლაშხიას, დათო სორდიას, რამაზ შუბითიძეს, გურამ ჩქვანავას, გიორგი ჯღარკავას, თენგიზ გერგედევას რამე დაემუქრათ, პირადად ვანო მერაბიშვილს „ქართული პარტია“ აკისრებას მთელ პასუხისმგებლობას. — განაცხადა მიქაიამ.

ლევან გაჩეჩილაძემ ხელისუფლებას განუცხადა, რომ ისინი ბოლომდე იბრძოლებენ და უსამართლობას, რომელიც მათ მიმართ ხორციელდება, არავის არ აპატიებენ.



გაჩეჩილაძე ფარდის ახდის და გამოაშკარავების ახალ ეტაპზე საუბრობს.

— დიქტატურის ფარდის ახდის ახალი ეტაპი დაიწყო. ჩვენ ბრძოლას ბოლომდე ვაპირებთ. გული ბოლმით მაქვს ავსებული. ამ უსამართლობას არავის ვაპატიებ. არც ხმამაღალი სიტყვები მინდა ვთქვა, ბოლომდე ვიბრძოლებთ. ახლა ვაგროვებთ ინფორმაციებს, იყო ფაქტები, როგორ უკეთებდნენ შუა ქუჩაში ადამიანებს, აქტივისტებს ნარკოტიკებს, რომლებიც დაიჭირეს, ესენი უპატიოსნესი, უწესიერესი ბიჭები არიან. არავის არაფერი არ შერჩება, ეს გაიგოს ყველამ. — განაცხადა ლევან გაჩეჩილაძემ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

## „სამართლიანი საქართველოსთვის“ სახალხო კრების საპროტესტო აქციაში მონაწილეობას აპირებს

„მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ „წარმომადგენლობითი სახალხო კრების“ მიერ 21 მაისისთვის დაანონსებულ საპროტესტო დემონსტრაციას სოლიდარობას უცხადებს და აქციაში მონაწილეობასაც გეგმავს.

როგორც გუშინ „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე მოძრაობის გამგეობის წევრმა კონსტანტინე ფორჩხიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, „სამართლიანი საქართველოსთვის“ აქციის საორგანიზაციო საკითხებში არ მონაწილეობს, თუმცა დემონსტრაციას აუცილებლად შეუერთდება.

— ვითვალისწინებთ ჩვენი ამომრჩევლის ნაწილის განწყობას, რომელიც აქციაში მონაწილეობას აპირებს და ვაცხადებთ, რომ 21 მაისს თავისუფლების მოედანზე აუცილებლად მივალთ. რაც შეეხება იმას, ვიზიარებთ თუ არა ხელისუფლების რევოლუციური გზით შეცვლის იდეას, მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ მხარს დავუჭერთ ხალხის გადაწყვეტილებას, თუ ხალხი მოისურვებს რევოლუციას, ამ გადაწყვეტილებას ჩვენც გავიზიარებთ, — განაცხადა ფორჩხიძემ და დასძინა, რომ „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ ყოველთვის ხალხის გვერდით იდგება.

**მედიანიუსი**

## სტრასბურგში მცხოვრები ქართველები „სახალხო კრებას“ მხარდაჭერას უცხადებენ

სტრასბურგში მცხოვრებმა რამდენიმე ქართველმა „სახალხო კრების“ თავმჯდომარე ნონა გაფრინდაშვილს წერილობით მიმართა. ისინი გამოთქვამენ მზადყოფნას, „ქვეყნის გადარჩენისთვის დაწყებულ გადამწყვეტ ბრძოლაში“ საკუთარი წვლილი შეიტანონ.

— ჩვენში დიდ შეშფოთებას იწვევს საქართველოში დღეს შექმნილი სიტუაცია და მიგვაჩნია, რომ მთელი ჩვენი ისტორიის განმავლობაში ისეთი ვერაგი მტერი არ ჰყოლია საქართველოს, როგორიც დღეს ჰყავს სააკაშვილის, მისი ხელისუფლებისა და იმ ძალების სახით, რომლებიც ამ დამნაშავე ხელისუფლებას დღეს მხარს უჭერენ, — ნათქვამია წერილში.

წერილის ავტორები ხელისუფლების პოლიტიკას აფასებენ, როგორც „მზაკვრულად დაგეგმილ ლაშქრობას ქართველი ერის წინააღმდეგ“. მათი შეფასებით, ეს პოლიტიკა განსაკუთრებით საშიშია იმის გამო, რომ მიზანმიმართულია ქართველი ერის სულიერებისა და ღირსების წინააღმდეგ.

— მოხარული ვარ, რომ დაიბადა და განხორციელდა სახალხო კრების„ იდეა და ერთად დადგა ჭეშმარიტად პატრიოტი ათასობით მამულიშვილი. ჩვენ უდიდეს იმედს ვამყარებთ სახალხო კრებაზე„, საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლებზე. ვფიქრობთ, რომ სწორედ შეუპოვარი და უკომპრომისო ბრძოლაა საჭირო ჩვენი სამშობლოს გადასარჩენად, თავისუფლებისა და ღირსების დასაბრუნებლად. გვიგულეთ ჩვენი ქვეყნის სამსახურში, — აღნიშნულია წერილში, რომელსაც ხელს აწერენ ელენე ოთარაშვილი, თეიმურაზ საყვარელიძე, ნათია შათირიშვილი, ალექსანდრე კვანტალიანი, ეკატერინე ოთარაშვილი და ნინო კიკნაძე.

**ინტერპრესნიუსი**

# ალეკო ხეთაგურმა ენერგეტიკის გარდა ზუთხსაც უნდა მიხედოს

ნანა მიშელაშვილი

**ანტიკრიზისული საბჭო ზუთხისებრთა სახეობის გამრავლებისა და აღწარმოების საკითხით დაინტერესდა. იმ დროს, როდესაც საპროტესტო აქციებამდე რამდენიმე დღე დარჩა, პარლამენტის ანტიკრიზისულმა საბჭომ თევზის ერთ-ერთ სახეობაზე საუბრისთვის მოიცალა.**



ანტიკრიზისული საბჭოს სხდომას გუშინ უმრავლესობის წევრები არ დასწრებიან. ეტყობა, მათ ან ზუთხი არ უყვართ, ან გაცილებით მნიშვნელოვანი საკითხები ჰქონდათ მოსაგვარებული. ანტიკრიზისულ საბჭოს ბოლომდე ორი ოპოზიციონერი დეპუტატი არ დაესწრო. მათ სხდომა იქამდე დატოვეს, სანამ ზუთხის გამრავლებაზე საუბარს დაიწყებდნენ, თუმცა, რამდენიმე ზუთხის მოყვარული დეპუტატი სხდომაზე მაინც დარჩა.

ზუთხის საწინააღმდეგო არავის არაფერი აქვს, მაგრამ გუშინდელი განხილვა, რბილად რომ ვთქვათ, ცოტა კონტექსტიდან ამოვარდნილი იყო. რა დააშავა თევზის სხვა სახეობებმა? ან იქნებ მათზე შიგადაშიგ იმსჯელონ ანტიკრიზისული საბჭოს წევრებმა? ზოგიერთს კი იმის გარკვევაც სურს, რა საერთო აქვს ანტიკრიზისულ საბჭოს ისეთ თუნდაც „მნიშვნელოვან“ საკითხთან, როგორიც ზუთხისებრთა აღწარმოებაა?

ანტიკრიზისული საბჭო შედარებით მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარების გამო შეიქმნა, ვიდრე თევზის რომელიმე სახეობებზე ზრუნვაა. ამ საკითხებით შესაბამისი სამინისტრო უნდა დაკავდეს, ან პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტი და არა ანტიკრიზისული საბჭო.

თევზის განსაკუთრებით მოყვარულებს გული რომ არ დასწყდეთ, ვიტყვით იმას, რომ პარლამენტს ისეთი საკითხისთვისაც მოუცლია, როგორიც არის გადამფრენი ჩიტების საკითხი, მაგრამ ეს სხვა დროს და სხვა პარლამენტში იყო.

ზუთხთან დაკავშირებულ საკითხს გუშინ მინისტრი ალექსანდრე ხეთაგურიც გაეცნო. ის ანტიკრიზისულ საბჭოზე იყო მიწვეული.

თუ ვინმეს აინტერესებს, რა საერთო აქვს ალექსანდრე ხეთაგურს ზუთხისებრთა პრობლემატიკასთან, შევახსენებთ, რომ ხეთაგური ენერგეტიკის გარდა ბუნებრივი რესურსების მინისტრიც არის. ამიტომ ბუნებრივ რესურსებთან, მათ შორის თევზის სახეობებთან დაკავშირებული საკითხები უკვე მის კომპეტენციაში შედის.

ოპოზიციონერი დეპუტატები ჯერ კიდევ სხდომის დაწყებამდე ხუმრობდნენ, რომ მათ ზუთხთან დაკავშირებულ საკითხებზე მოუწევდათ საუბარი. სანამ ამ საკითხის განხილვას შეუდგებოდნენ, „მრეწველების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ ტყემალაძემ იხუმრა: „გადავიდეთ ზუთხის ჭამაზე“...ტყემალაძეს იმედი გაუცრუეს, რადგან თევზი სხდომაზე არავის მოუტანია და შესაბამისად, მისი დაგემოვნების საშუალება არავის მისცემია.

ანტიკრიზისული საბჭოს აღმასრულებელი მდივნი აკაკი ფანჩულიძე სხდომისთვის სათანადოდ მოემზადა, რადგან სწორედ ის იყო ამ საკითხზე მომხსენებელი. მან საბჭოს წევრებს ვიზუალური მასალა წარუდგინა. ის იყო ზუთხისებრთა განაყოფიერებაზე უნდა ესაუბრა, რომ ვიზუალური მასალა გაეთიშა. „ტექნიკური წუნის“ შემდეგ, ანტიკრიზისული საბჭოს აღმასრულებელი მდივანი არ დაიბნა და დეპუტატებსა და მინისტრს ვიზუალური მასალის გარეშე ესაუბრა.

აკაკი ფანჩულიძემ დეტალურად ისაუბრა ზუთხის გასამრავლებელ ქარხანაზე, რომელიც კომუნისტების პერიოდში იყო აშენებული, შემდეგ ის გარემოს დაცვის სამინისტროს გადაეცა. კოლხურ ზუთხზე საუბრის შემდეგ, აკაკი ფანჩულიძემ ქარხნის სავალალო მდგომარეობის ამსახველი კადრებიც აჩვენა.

— 2000 წელს ეს პროექტი დავხურეთ, იმიტომ, რომ წარმოიდგინეთ, შავი სამყარო უფრო სწრაფად რეაგირებდა, ვიდრე მაშინდელი ხელისუფლება. ელემენტარულად მოვიდნენ და თქვეს, რომ ჩვენ დაინტერესებული ვართ ამ საწარმოთი. ჩვენ ეს პროექტი დავხურეთ, — აღნიშნა აკაკი ფანჩულიძემ. მანვე აღნიშნა, რომ 2 წლის წინ, ინვესტორი დაინტერესდა ამ საკითხით, მაგრამ ეს საკითხი კვლავაც ღიაა.

ანტიკრიზისული საბჭოს აღმასრულებელმა მდივანმა ხეთაგურს მიმართა, რომ ბუნებრივი რესურების სამინისტრომ ამ მიმართულებას მიხედოს, რაზეც მინისტრისგან პასუხი მიიღო, რომ ამ საკითხით დაინტერესდება.

მას შემდეგ, რაც ოპოზიციონერმა დეპუტატებმა გაიგეს, რომ ანტიკრიზისული საბჭო ზუთხისებრთა განაყოფიერების საკითხებზე მსჯელობდა, შანსი ხელიდან არ გაუშვეს და საკუთარი დამოკიდებულება გამოხატეს.

ოპოზიციონერი დეპუტატი გიორგი ცაგარეიშვილი ანტიკრიზისული საბჭოს წევრი არ არის, ამდენად, მას ზუთხის გამრავლებასთან და ლიფსიტების გაშვებასთან დაკავშირებული ვიზუალური მასალა არ უნახავს. სამაგიეროდ, ცაგარეიშვილს შეკითხვა გაუჩნდა. გიორგი ცაგარეიშვილის თქმით, იმ დროს, როდესაც ქვეყანა სოციალური აფეთქების ზღვარზეა და უმწვავესი პოლიტიკური კრიზისი მწვავდება, გაუგებარია, რა შუაშია თევზების ამა თუ იმ ჯიშების გადარჩენაზე საუბარი ანტიკრიზისულ საბჭოზე.

ცაგარეიშვილი იმედოვნებს, რომ ანტიკრიზისული საბჭო იგივე რუდუნებით მოეპყრობა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებს საქართველოში, როგორც ზუთხისებრთა ჯიშის თევზის გადარჩენის საკითხებს.

— ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე, ანტიკრიზისული საბჭო ქვეყანაში კრიზისის განმუხტვაზე უნდა ზრუნავდეს და არა ზუთხისებრთა თევზის ჯიშის თევზების გადარჩენა-გამრავლების საკითხებზე, — განაცხადა ცაგარეიშვილმა.

ანტიკრიზისული საბჭო გუშინ მხოლოდ შავი ზღვის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში მობინადრე თევზის სახეობაზე სასაუბროდ არ შეკრებილა. ეს მეორე საკითხი იყო. პირველი საკითხი კი ენერგეტიკაში არსებულ მდგომარეობას შეეხებოდა.

საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში არსებულ მდგომარეობაზე მოხსენება მინისტრმა ალექსანდე ხეთაგურმა გააკეთა.

ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა აღნიშნა, რომ წელს ელექტროენერგიის უპრეცედენტო გამომუშავებაა. მინისტრმა ენგურჰესზე 3 აგრეგატის რეაბილიზაციაზე მიაწოდა დეპუტატებს ინფორმაცია და ვარდნილჰესის რეაბილიტაციის დასრულების დროც აცნობა.

ელექტროენერგიის ექსპორტის გარდა, ალექსანდრე ხეთაგურმა ანტიკრიზისული საბჭოს წევრებს დამატებითი ხაზების მშენებლობის შესახებაც აუწყა.

რაც შეეხება ხუდონჰესის მშენებლობას, დეპუტატებმა ამ საკითხის გარკვევაც სცადეს.

— ერთი რიტორიკული შეკითხვა მაქვს, ის ხალხი, ვინც თავის დროზე ვენებს იჭრიდა და იძახდა, არ უნდა აშენდესო, ახლა რას ამბობს ხუდონჰესის მშენებლობაზე?— იკითხა ზურაბ ტყემალაძემ.

„მრეწველების“ ერთ-ერთ ლიდერს უთხრეს, რომ ის ხალხი ახლა აღარ არიან.

— როგორ არ არიან? მთავრობაში არიან, ახლა გვარებს ნუ ჩამომათვლევინებთ, — თქვა ზურაბ ტყემალაძემ, თუმცა, არავის გვარი გუშინ არ დაუსახელებია.

— ეს თემა პოლიტიზებული იყო, — თქვა მინისტრმა ხეთაგურმა.

მინისტრის განმარტებით, წელს, ივნისში ხუდონჰესთან დაკავშირებით წინასაპროექტო სამუშაოები დაიწყება.

ანტიკრიზისული საბჭოს წევრების შეკითხვებს მინისტრმა ხეთაგურმა დეტალური პასუხი გასცა. დეპუტატები აღიარებენ, რომ ენერგეტიკის მიმართულებით ქვეყანაში პრობლემები არ არსებობს.

# რას აპირებენ მოშიმშილე ადვოკატები

შორენა გონგლაძე

შიმშილობის მეორე დღეს მოშიმშილე ადვოკატებმა პრეზიდენტის რეზიდენციასთან ლეიბები, პლედები და სასმელი წყალი მიიტანეს. ეს იმ ნივთების მცირე ჩამონათვალია, რომელიც ადვოკატებს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა წაართვეს. მიუხედავად იმისა, რომ მოშიმშილეებს ღამის გათენება ყოველგვარი ლეიბების, საბნებისა და კარვების გარეშე პარლამენტის კიბეებზე უწევთ, დაშლას არ აპირებენ. წინა დღით საკმაოდ მცირერიცხოვანი აქცია აშკარად ძალას იკრებს, ადვოკატებს სოლიდარობა რამდენიმე ოპოზიციურმა პარტიამ და არასამთავრობო ორგანიზაციებმა გამოუცხადეს და რაც ყველაზე მთავარია, მოშიმშილე ადვოკატებს რიცხოვნობით უკვე რიგითი მოქალაქეები აჭარბებენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადვოკატთა აქცია მოკლემეტრაჟიანი ნამდვილად არ გამოვა, მიშას და ვანოს კი 21 მაისამდე აშკარად კიდევ ერთი საფიქრალი შეემატა. აქციის ორგანიზატორი, ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე ამბობს, რომ აქცია ბოლომდე მივა და შედეგსაც მიიღებენ.

— ადვოკატთა შიმშილობის აქცია გრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ გუშინ პოლიციის თანამშრომლებმა ორჯერ წაილეს ლეიბები, პლედები, წყალი, ტექნიკა, ამის მიუხედავად ღამეს ვათევთ კიბეებზე, რაც საკმაოდ რთულია, რაც შეეხება მოშიმშილე ადვოკატთა რიცხოვნობას, ჩვენ დღეს კიდევ რამდენიმე ადვოკატი შემოგვიერთდა, შემოგვიერთდნენ პოლიტიკრი პარტიის წარმომადგენლები, მხარს გვიჭერენ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები. დღეს ჩვენი მოთხოვნები გადავეცით პრეზიდენტის კანცელარიას და ასევე სააკაშვილს რეზიდენციასთან დავუტოვეთ ლეიბი, ბალიში და სასმელი წყალი, ის რაც გუშინ წაგვართვეს, თუ ასე უნდოდა, მივუტანდით, რათ უნდოდათ რომ წაგვართვეს. ჩვენ ამ ფორმით გამოვთქვამთ პროტესტს იმასთან დაკავშირებით, რაც გაგვიკეთეს. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ძალის გამოყენებით მოშიმშილეებისაგან წაილეს სხვადასხვა ნივთები, შემდეგ ღამის ორ საათზე კიდევ იგივე განმეორდა და ამ ქმედებასთან დაკავშირებით გამოვთქვამთ პროტესტს. რაც შეეხება ამ ფაქტის სამართლებრივ შეფასებას, ადვოკატების ჯგუფი ამ საკითხზე უკვე მუშაობს და ვაპირებთ საჩივარი შევიტანოთ პროკურატურაში. თუ შიმშილობის უფლებაც აღარ გვაქვს, რისი უფლება გვრჩება?

დღეს თანადგომა გამოგვიცხადეს ქალბატონმა ეკა ბესელიამ, კახა კუკავამ, თემურ შაშიაშვილმა, ადა მარშანიამ, ვინაიდან ადვოკატებისადმი ასეთი მოქცევა არის ყოვლად წარმოუდგენელი. ჩვენ არავის გადადგომას არ ვითხოვთ, ვითხოვთ სამართალს, ჩვენ მეტი მოთხოვნა არ გვაქვს. ჩვენ როდესაც მოთხოვნებს ვაყალიბებდით, ვცდილობდით ეს მოთხოვნები რეალობის ჩარჩოებს არ გასცლოდა.

ჩვენ ვამბობთ, რომ შეიქმნას სპეციალური საპარლამენტო კომისია, რომელიც შეისწავლის სხვადასხვა საქმეებს და თუ ეს კომისია დადებს დასკვნას, რომ ამა თუ იმ საქმეში არის უხეში დარღვევები და არის უდანაშაულობის ნიშნები, მაშინ მოხდეს ამ საქმეების ხელახალი განხილვა. ჩვენ არ ვამბობთ, რომ ყველა დაკავებული ადვოკატი გათავისუფლდეს, უნდა განთავისუფლდნენ ის ადამიანები, რომლებზეც არის დასკვნები დადებული მათ უდანაშაულობაზე. ხელისუფლება დაინტერესებული უნდა იყოს ამგვარი საქმეებით. არსებობს ქვეყნის მართვის ორი პრინციპი, ან მართავ ქვეყანას დემოკრატიულად, ან არის მეორე ვარიანტი, ხალხი გყავს ტირანიის პირობებში, რაც ხალხისთვის არის წამგებიანი, მაგრამ ეს ყველაფერი საბოლოოდ მთავრდება გადატრიალებით და რევოლუციებით. სწორედ ამ გზას ადგას ეს ხელისუფლებაც.

2003 წლის რევოლუციის შემდეგ ეს ხელისუფლება უნდა განვითარებულიყო, ამ ხალხმა უარი თქვა ამ განვითარებაზე, რადგანაც განვითარებაზე ამბობენ უარს, გადაშენდებიან ისე, როგორც უარი თქვეს დინოზავრებმა განვითარებაზე და გადაშენდნენ, სხვა გამოსავალი არ არის. სააკაშვილმა თავიდანვე ჩადო ქვეყნის მართვაში ის, რომ ეს ყველაფერი დამთავრდება საბოლოოდ რევოლუციით. ყველაფრის მიუხედავად, არავინ არ აპირებს სიტუაციის გამძაფრებას, ჩვენი პირველი იარაღი არის მშვიდობიანი აქციები, ჩვენ გვინდა ვანახოთ მსოფლიოს, თუ რა ხდება რეალურად საქართველოში, — აცხადებს შალვა ხაჭაპურიძე.



# ბინ ლადენი და გამსახურდია გროზნოში ერთად ცხოვრობდნენ

## მსოფლიოს პირველი ტერორისტი 2996 წლის 26 ივნისს მოკვდა

თეა მარხვაი ე





ამერიკის დაზვერვის ყოფილმა აგენტმა ბერკან იაშარმა უსამა ბინ ლადენთან დაკავშირებით რამდენიმე სკანდალური ინფორმაცია გაავრცელა. აქედან ერთ-ერთი ინფორმაცია პირადად ჩვენ გვეხება. როგორც ამერიკელების ნააგენტარი ამბობს მსოფლიოს ნომერ პირველი ტერორისტი, გროზნოში საქართველოს პირველ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან ერთად ცხოვრობდა.

მეორე სენსაციური ინფორმაცია კი თავად ბინ ლადენის სიკვდილს ეხება. იაშარის მტკიცებით, ის ამერიკელებს სპეც-ოპერაციის დროს არ მოკლიათ. მსოფლიოს ნომერ პირველი ტერორისტი თურმე 5 წლის წინ თავისი სიკვდილით მომკვდარა.

ეს განცხადება ბერკან იაშარმა „პირველი არხისთვის" მიცემულ ინტერვიუში გააკეთა. საზოგადოებამ მის შესახებ პირველად 2008 წელს შეიტყო. ის დოკუმენტური ფილმის „კავკასიის გეგმა" მთავარი გმირი გახდა.

ამ ფილმში ამერიკის ყოფილი აგენტი ყვება დასავლეთის სპეც-სამსახურების გეგმის შესახებ. ამ გეგმის განცხორციელება გასული საუკუნის 90-იანი წლებში დაიწყო. იაშირი ყველა, რომ დასავლეთის სპეც-სამსახურები რუსეთისთვის ჩრდილოეთ კავკასიის, კერძოდ კი ჩეჩნეთის ჩამოცილებას გეგმავდნენ.

იაშირი წარმოშობით ჩეჩენია, ახლა ის თურქეთში ცხოვრობს და თურქი პოლიტიკოსია. თავის დროზე ის ჩეჩნეთის პრეზიდენტ ჯოხარ დუდაევის მთავარი იდეოლოგი იყო.

ამ დღეებში ის „პირველი არხის" ჟურნალისტებს თავად დაუკავშირდა და პირობა მისცა, რომ ბინ ლადენის სიკვდილთან დაკავშირებით სენსაციურ ინფორმაციას მიაწოდებდა.

— 1992 წლის სექტემბერში მე ვიმყოფებოდი გროზნოში, პირველად სწორედ იქ შევხვდი ადამიანს, რომელსაც ბინ ლადენს ეძახდნენ. ჩვენი შეხვედრა გროზნოში მდებარე ორსართულიან სახლში შედგა. ამ სახლის ზედა სართულზე საქართველოდან განდევნილი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობდა. ბინ ლადენის და ჩემი შეხვედრა, ამ სახლის პირველ სართულზე შედგა, — იხსენებს წარსულს იაშირი.

„პირველი არხის" ცნობით, იმ პერიოდში რადიო „თავისუფლების" ჟურნალისტ ბერკან იაშირს უკვე ჰქონდა მიღებული ოპერატიული ფსევდონიმი აბუბაქარი. მას ეს ფსევდონიმი ცეერუში მისცეს.

გროზნოში ბინ ლადენი დიდხანს არ დარჩენილა. როგორც იაშირი ყვება ჩეჩნეთში გასეირნების შემდეგ ბინ ლადენის გარემოცვაში ჩეჩნები გამოჩნდნენ.

— ისინი ტერორისტულ აქტებსა და აფეთქებებში უშუალო მონაწილეობას არ ღებულობდნენ. ჩეჩნები მის პირად დაცვაში იყვნენ. ბინ ლადენი მათ ენდობოდა და იცოდა, რომ ჩეჩნები მას არასდროს არ უღალატებდნენ, — აცხადებს ცერეუს ყოფილი აგენტი.

ბინ ლადენს პირად დაცვაში ჩეჩნები, რომ ჰყავდა, ეს იაშირის თქმით რუსეთის და ამერიკის სპეც-სამსახურებმაც მშვენივრად იცოდნენ.

„პირველი არხისთვის" მიცემულ ინტერვიუში იაშირი ამბობს, რომ ის ვერანაირად ვერ დაიჯერებს ბინ ლადენის ლიკვიდაციას. მას პაკისტანში ჩატარებული სპეც-ოპერაციაზე ეცინება.

— ეს ამბავი შეიძლება მთელმა მსოფლიომ დაიჯეროს, მაგრამ მე ვერ დავიჯერებ. ბინ ლადენის ჩეჩენ მცველებს მე კარგად ვიცნობ, ესენი არიან სამი, აიუბი და მახმუდი. ისინი ბოლო წუთამდე მის გვერდით იყვნენ. მისი სიკვდილის თარიღი კარგად მახსოვს. ამ თარიღში სამი 6-იანი ფიგურირებდა. უსამა ბინ ლადენი 2006 წლის 26 ივნისს დაიღუპა. მის გვერდით სიკვდილის მომენტში კიდევ 4 ადამიანი იყო. ორი მათგანი ლონდონიდან იყო წარმოშობით, ორი ამერიკელი იყო. სულ შვიდნი იყვნენ, — განაცხადა ბერკან იაშირმა.

როგორც ცერეუს ყოფილი აგენტი ამბობს, ბინ ლადენი სერიოზულად ყოფილა ავად.

— ის ძალიან ცუდად იყო. ის ძალიან გახდა. მისგან ძვალზე გადაკრული ტყავი დარჩა. მცველებმა ის განბანეს და საკუთარი ხელით დამარხეს, — ამბობს ნააგენტარი.

მისი თქმით, დაკრძალვის ცერემონიალში მონაწილეობა ამერკელ და ლონდონელ მცველებს არ მიუღიათ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მუსულმანები იყვნენ.

— დატოვებული ანდერძის თანახმად ბინ ლადენი სამმა ჩეჩენმა დაკრძალა, — ამბობს იაშირი.

მისი მტკიცებით, ჩეჩენმა მცველებმა ბინ ლადენი მთებში, პაკისტან-ავღანეთის საზღვარზე დაკრძალეს.

— არანაირი შტურმი არ ყოფილა. მე ხომ ძალიან კარგად ვიცი ამერიკელთა სამზარეულოს ძალიან კარგად ვიცნობ. მათ არაფერს არ მოუტანდა იმის თქმა, რომ ბინ ლადენის საფლავს მიაგნეს. მათ ეს წარმოაჩინეს როგორც წარმატებული ოპერაცია, — ამბობს ცერეუს ექს-აგენტი.

ის შიშობს, რომ დღეს ბინ ლადენის დამმარხველი ჩეჩნები ცოცხალთა შორის აღარ არიან. ეჭვი აქვს, რომ ისინი მისი სატელეფონო საუბრების გაშიფვრით აღმოაჩინეს.

— მე ბინ ლადენის სიკვდილის შესახებ ინფორმაცია 2008 წელს ვაშინგტონში გამართულ კონფერენციაზე გავაჟღერე. არავისი სახელები არ დამისახელებია. როგორც ჩანს მაშინ ამერიკელებმა გადაწყვიტეს ჩემი კონტაქტების გადამოწმება, — ამბობს იაშირი.

უკანასკნელად იაშირმა ბინ ლადენის პირადი მცველი სახელად სამი ნახა. რომელიც ამერკის სპეც-სამსახურების თანამშრომლებმა გაიტაცეს.

— მისი გატაცება რამდენიმე დღით ადრე მოხდა, ვიდრე ბინ ლადენის მოკვლის შესახებ ინფორმაციას გაავრცელებდნენ. როგორც ჩანს სწორედ მან აჩვენა ამერიკელებს ბინ ლადენის საფლავი, — ამბობს ბერკან იაშირი.

„პირველი არხი" დაინტერესდა თუ რატომ გადაწყვიტა იაშირმა ამ ინფორმაციის გაჟღერება. მისი თქმით, მხოლოდ ასე შეძლებს ის ამერიკის სპეც-სამსხურებისგან თავის დაცვას.

ისე იაშირი ამბობს, რომ თავს დაცულად გრძნობს. რადგანაც მას თურქეთის სპეც-სამსახურებმა დაცვაც გამოუყვეს და იარაღიც მისცეს.

გამსახურდიასა და ბინ ლადენის ნაცნობობაზე რა გითხრათ, მაგრამ ის ფაქტია, რომ მსოფლიოს ნომერ პირველ ტერორისტს ჩრდილოეთ კავკასიაში თავისი ინტერესები ჰქონდა. მან იქ თავისი 5 წარმომადგენელი მიავლინა. დღეს ყველა მათგანი მკვდარია.

რუსეთის სპეც-სამსახურები ამტკიცებენ, რომ ბინ ლადენი 1994 წლიდან ცდილობდა ჩრდილოეთ კავკასიაში თავისი ალ-ყაიდასთვის ბუდის მოწყობას. ამ მიზნით ბინ ლადენმა კავკასიაში არაბეთის ქვეყნებიდან მიავლინა როგორც რიგითი ბოევიკები, ასევე გამორჩეული ტერორისტები.

კავკასიაში გაგზავნილი გამოჩენილი ტერორისტების ხუთეულის შემადგენლობა ასეთი იყო: ხატაბი, აბუ ხავსი, აბუ ალ ვალიდი, აბუ კუტეიბა და აბუ ძეიტი.

როგორც რუსული მედია წერს, ამ ადამიანების შესახებ თითქმის მთელი მსოფლიოს სპეც-სამსახურებმა იცოდნენ. მათ სპეციალური სწავლება პაკისტანში მდებარე „ალ ყაიდას" საწვრთნელ ბანაკებში გაიარეს.

ისინი ბინ ლადენს ხშირად ხვდებოდნენ, როგორც პაკისტანში ასევე ავღანეთში. 1993 წელს ისინი ავღანეთში იბრძოდნენ. მერე კი ბენ ლადენმა შესანიშნავი ხუთეული ტაჯიკეთში მიავლინა. სადაც ისინი საომარ მოქმედებებში ღებულობდნენ მონაწილეობას.

1994-1995 წლებში ხუთეულის გზები გაიყო. ბინ ლადენმა ხატაბი, აბუ ალ ვალიდი და აბუ ხავსე ჩეჩნეთში მიავლინა. იმ პერიოდში ჩეჩნეთს დამოუკიდებლობა ჰქონდა გამოცხადებული. და რუსეთთან ომი დღე-დღეზე იწყებოდა. აბუ ძეიტი და აბუ კუტეიბა ბოსნიაში გაემგზავრნენ საომარად. სწორედ ბოსნიანში გამართული ერთ-ერთი ბრძოლისას დაკარგა აბუ კეტეიბამ ცალი ფეხი. მოგვიანებით ბინმა ეს დუეტიც ჩეჩნეთშიც მიავლინა.

ჩეჩნეთში მივლინებულმა ხუთეულმა თავის დამკვიდრება ძალიან მალე შეძლო. ყველაზე უკეთ ეს ხატაბმა შეძლო. რომელიც ადგილობრივი „ალ ყაიდას" მეთაური გახდა. მისი მოადგილეებად აბუ ალ ვალიდი და აბუ ძეიტი დაინიშნენ. აბუ კუტეიბა კი ინგუშეთში მოქმედ ტერორისტულ ორგანიზაციას ჩაუდგა სათავეში.

მეხუთე ტერორისტი აბუ ხავსი ბინ ლადენთან დაახლოებული პირი იყო. ის სათავეში ჩაუდგა ისლამურ ცენტრ „კავკაზს". ეს ცენტრი ბოევიკებს ამზადებდა. ის სოფელ სერჟენ-იურტის მახლობლად იყო განთავსებული. მან პირადად მოამზადა ადამიანები, რომლებმაც რუსეთის ტერიტორიაზე მასშტაბური ტერორისტული აქტები განახორციელეს.

აბუ ხავსის სკოლა ჰქონდა გავლილი აჩიმეზ გოჩიაევს. რომელმაც მოსკოვში საცხოვრებელი სახლები ააფეთქა.

რუსული მედიის ცნობით, აბუ ხავსი ბინ ლადენის დავალებით 1996 წელს საქართველოში გადავიდა. სადაც ის პანკისის ხეობაში დაფუძნდა. მას იქ ამჟეტის სახელით იცნობდნენ. ის თურმე სოფელ წინაუბანში ცხოვრობდა.

რუსები ამტკიცებენ, რომ ის პანკისში აქტიურად საქმიანობდა. მან იქ თურმე ვაჰაბიტეტისთვის ააშენა მეჩეთი. იმ პერიოდში პანკისში მართლათ აშენდა მეჩეთი. რუსების მტკიცებითვე აბუ ხავსმა ბოევიკებისთვის სპეციალური ჰოსპიტალიც ააშენა.

პანკისურ ჰოსპიტალზე რუსები ცოტა ხნის წინაც ალაპარაკდნენ. მათი მტკიცებით, დაჭრილი დოკუ უმაროვი პანკისში გადის მკურნალობისა და რეაბილიტაციის კურსს.

რუსული სპეც-სამსახურების მტკიცებით არაბ ტერორისტს პანკისში საწვრთნელი ბანაკები უნდა შეექმნა. სადაც მოხდებოდა ბოევიკების მომზადება. როგორც ამბობენ, ჩეჩნეთში ომის წარმოებისთვის საჭირო თანხებს „ალ-ყაიდა" პანკისში აგზავნიდა. სწორედ იქედან იგზავნებოდა შემდეგ ჩეჩნეთში.

ამ ხუთეულიდან რუსების სპეც-სამსახურებმა პირველი ხატაბი მოკლეს. მისი ბედი მალე სხვებმაც გაიზიარეს.

რუსეთმა ჩეჩნეთში მოღვაწე ყველა ცნობილი ტერორისტის ლიკვიდაცია შეძლო. ამის მიუხედავად ჩეჩნეთში საომარი მოქმედებები მაინც გრძელდება. და ამ ტერორისტებს რუსები ისევ საქართველოსთან აკავშირებენ.

არადა არცთუ შორეულ წარსულში ჩეჩენი ბოევიკები და რუსები აფხაზეთში ქართველების წინააღმდეგ ერთად იბრძოდნენ.

ამ მხრივ უცნაურობა ქართველებმაც გამოვიჩინეთ. დღეს არავისთვის დამალული აღარ არის, რომ წლების წინ საქართველოს აფარებდა თავს ცნობილი საველე მეთაური რუსლან გელაევიც. მართალია მას შამილ ბასაევივით ქართველების თავებით არ უთამაშია ფეხბურთი მაგრამ ჩვენს წინააღმდეგ ისიც აქტიურად იბრძოდა.

# აშშ-სთან დაკავშირებით ირაკლი ოქრუაშვილის მოსაზრებებში გარკვეული სიმართლეც არის

კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორის ლინკოლნ მიტჩელის მოსაზრებით, აშშ-სთან დაკავშირებით ირაკლი ოქრუაშვილის მოსაზრებებში გარკვეული სიმართლეც არის.

— ოქრუაშვილს მიაჩნია, რომ აშშ საქართველოში დემოკრატიის მხარდაჭერის ნაცვლად სააკაშვილის რეჟიმს უჭერს მხარს. შეიძლება ამ განცხადებას არც დაეთანხმო, თუმცა ფაქტია, რომ მასში სიმართლის მარცვალი ნამდვილად არის. ბუშის ადმინისტრაცია თავს იკავებდა სააკაშვილის კრიტიკისაგან, როდესაც მან დემოკრატიული განვითარების კურსს გადაუხვია. ამჟამინდელმა ადმინისტრაციამ სააკაშვილთან დამოკიდებულება შეცვალა, მაგრამ, როგორც ჩანს, არასაკმარისად, — ამის შესახებ მიტჩელმა ტელეკომპანია მაესტროსთან„ ინტერვიუში განაცხადა.

მისი თქმით, ამერიკამ მხარი დაუჭირა დემოკრატიული პროცესების დასაწყისს, თუმცა პროცესის გაგრძელებაში მონაწილეობა არ მიუღია, რაც ამერიკის მიერ საქართველოსთან ურთიერთობაში დაშვებული მთავარი შეცდომაა.

— აშშ-მ საქართველოში დემოკრატიის დასაწყისს დაუჭირა მხარი და არა დემოკრატიის ფორმირებას. ვარდების რევოლუციის შემდეგ მართლაც იყო შანსი დემოკრატიის ჩამოყალიბებისა, თუმცა შანსის გამოყენებაში საქართველოს აშშ უნდა დახმარებოდა. აშშ-ს ადმინისტრაციას საქართველოსთვის მუდმივად უნდა შეეხსენებინა დემოკრატიის განვითარების მოვალეობა. თუმცა აშშ-მ შეცდომა დაუშვა, როცა ჩათვალა, რომ 2004 წელი დემოკრატიისთვის სრულიად საკმარისი იყო, — განაცხადა ლინკოლნ მიტჩელმა.

პროფესორის თქმით, დემოკრატია საუკეთესო სისტემაა, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი კარგი პოლიტიკური რეზულტატის მიღება.

— ეს სამწუხაროდ, საქართველოში ასე არ მოხდა, რადგან პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა ადამიანების მცირე ჯგუფმა მიიღო. ასეთ შემთხვევაში კი შეცდომები დიდია და სწორედ ასეთი შეცდომები დაუშვეს საქართველოში, — აღნიშნა კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორმა.

**მედიანიუსი**

# სერგეი მირონოვი თანამდებობიდან გადააყენეს

რუსეთის ფედერაციის საბჭოს სპიკერი სერგეი მირონოვი თანამდებობიდან გადააყენეს. აღნიშნულის შესახებ „რია ნოვოსტი" იტყობინება.

პარლამენტის ზედა პალატიდან სერგეი მირონოვი სანქტ-პეტერბურგის საკანონმდებლო კრებამ გაიწვია. რუსული მედიის ცნობით, მირონოვის გაწვევას 43 დეპუტატმა დაუჭირა მხარი, ხუთი კი წინააღმდეგი წავიდა.

კენჭისყრამდე მირონოვმა განაცხადა, რომ სპიკერის სავარძელს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის სავარძლით შეცვლის.

მან საქალაქო პარლამენტის შენობა კენჭისყრამდე დატოვა.

სერგეი მირონოვის ნაცვლად ფედერაციის საბჭოს სპიკერის მოვალეობას ფედერაციის საბჭოს ვიცე-სპიკერი ალექსანდრე ტორშინი შეასრულებს.

მირონოვის თანამდებობიდან გადაყენებას წინ ხანგრძლივი კონფლიქტი უძღვოდა მმართველ პარტია „ედინაი როსიასთან".

გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთის ფედერაციის საბჭოს სპიკერის თანამდებობიდან, მირონოვის გადაყენება, ქვეყნის ხელმძღვანელობასთან იყო შეთანხმებული.

სერგეი მირონოვი რუსეთის ფედერაციის საბჭოში პეტერბურგის პარლამენტს 2001 წლიდან წარმოადგენდა.

**მედიანიუსი**

# სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობა მანიფესტს ავრცელებს

საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობა საქართველოში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციასთან დაკავშირებით მანიფესტს ავრცელებს. მასში ნათქვამია, რომ არჩევნების გაყალბების, პოლიტიკური ძალადობისა და კრიმინალური ქმედებების გზით საქართველოში ხელისუფლება ავანტურისტთა ჯგუფმა ჩაიგდო ხელთ და ავტორიტარული რეჟიმი დაამყარა.

— ამ რეჟიმმა უხეშად ხელყო ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებანი, მთელი ქვეყანა აქცია ციხედ. გამუდმებით ატერორებს მოსახლეობას და ადამიანებს სიცოცხლის უფლებას ართმევს, — ნათქვამია მანიფესტში.

საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობა მიიჩნევს, რომ ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური ტერორი მძვინვარებს, მიმდინარეობს სოციალური გენოციდი, რითიც საფრთხე ექმნება ქართულ სახელმწიფოებრიობისა და ქართველი ერის არსებობას.

საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობა მანიფესტში რამდენიმე მოთხოვნითაც გამოდის: მოხდეს შსს-ს დეცენტრალიზაცია, გაუქმდეს მისი ცენტრალური აპარატი, სოდ-ი, კუდ-ი, ხოლო საპატრულო და კრიმინალური პოლიცია, დაზვერვა და კონტრდაზვერვა, საზღვრის დაცვის სამსახურების დამოუკიდებელ უწყებად ჩამოყალიბება;

გაუქმდეს პროკურორის ინსტიტუტი და მის ნაცვლად სახელმწიფო ბრალმდებლის ინსტიტუტი ამოქმედდეს; ცამოყალიბდეს დამოუკიდებელი ერთიანი საგამოძიებო სამსახური; სასამართლო პროცესებზე მედიასაშუალებების დასწრების წესები აღდგეს; სახალხო დამცველის მოთხოვნის შემთხვევაში მოსამართლეს უფლებამოსილება შეუწყდეს; გამოცხადდეს ფართომასშტაბიანი ამნისტია; საზოგადოებრივი მაუწყებელი გარდაიქმნას არაკომერციულ იურიდიულ პირად.

გარდა მოთხოვნებისა, მანიფესტში ნათქვამია, რომ საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობა პერმანენტულ საპროტესტო აქციებს გამართავს და ხელისუფლებისადმი მოსახლეობის ნდობის გამოსავლენად რეფერენდუმს ჩაატარებს.

— გვჯერა, რომ დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ერთობა წარმატების საწინდარია! ყველა მამულიშვილს, ყველა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ძალას მოვუწოდებთ, სამოქალაქო თანხმობისკენ!, — ნათქვამია საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის მიერ გავრცელებულ მანიფესტში.

**მედიანიუსი**

# საქართველოში აქციები ყოველთვის ჩატარდება

**21 მაისს დაგეგმილ საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით ხელისუფლების წარმომადგენლები ზოგად კომენტარს აკეთებენ. მოსალოდნელ აქციებს გუშინ პარლამენტის თავმჯდომარე გამოეხმაურა.**

ნანა მიშელაშვილი

დავით ბაქრაძე ოპოზიციის ნაწილის მიერ დაგეგმილ საპროტესტო აქციებში პრობლემატურს ვერაფერს ხედავს. ჟურნალისტებთან საუბარში ბაქრაძემ განაცხადა, რომ კანონმდებლობის ფარგლებში აქციების გამართვა ნებისმიერს შეუძლია და ეს დემოკრატიის ელემენტარული წესია. მისივე თქმით, მიუხედავად აქციების მოთხოვნებისადმი დამოკიდებულებისა და მოსწონს თუ არა ისინი ხელისუფლებას, აქციები ყოველთვის გაიმართება. — აქციები საქართველოში ადრეც ტარდებოდა, ახლაც ტარდება და მომავალშიც ჩატარდება,— ასეთია დავით ბაქრაძის პოზიცია.

საპროტესტო აქციები ერთადერთი საკითხი არ ყოფილა, რაზეც გუშინ საკანონმდებლო ორგანოში კომენტარები კეთდებოდა. დეპუტატები აღშფოთებას გამოთქვამდნენ საჩხერის რაიონში, მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ განხორციელებულ ქმედებასთან დაკავშირებით.

საჩხერის რაიონის სოფელ ჭალვანში მცხოვრებ ხუთ ახალგაზრდას სამხედრო ფორმაში ჩაცმულმა საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა ცეცხლი გაუხსნეს. ამ საკითხზე კომენტარი პარლამენტის სპიკერმა გააკეთა. დავით ბაქრაძის შეფასებით, საქართველოს ხელისუფლებას საჩხერის რაიონში რუსი ოკუპანტების მხრიდან ქართველი ახალგაზრდები დაჭერის ფაქტზე მკაცრი რეაქცია ექნება.

ჟურნალისტებთან საუბარში დავით ბაქრაძემ განაცხადა, რომ ეს უკვე დანაშაულია მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ და ბუნებრივია ქართულ მხარეს ექნება მაქსიმალურად მკაცრი რეაქცია, რომელიც თავის თავში გულისხმობს ასეთი პროვოკაციების დროს, უპირველესად, წესრიგისა და სიმშვიდის შენარჩუნებას.

— მკაცრ რეაქციაში ჩვენ ასევე ვგულისხმობთ საერთაშორისო თანამეგობრობის ინფორმირებულობას და მოთხოვნას, რომ მათ უფრო აქტიურად იმუშაონ რუსეთთან, რათა მიღწეულ იქნეს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების შესრულება და გაიყვანონ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან საოკუპაციო ჯარები, რომ არ მოხდეს მოსახლეობის მიმართ მომავალში მსგავსი დანაშაულებრივი ქმედებები, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

დეპუტატების შეფასებით, საჩხერის რაიონში მომხდარი ინციდენტი იმის დადასტურებაა, რომ დღეს საქართველოს ყველაზე მეტად შიდა სტაბილურობა და ერთიანობა მართებს. საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა წევრის გიორგი კანდელაკის თქმით, ეს ფაქტი არის ყველანაირი შეთანხმების დარღვევა და რა თქმა უნდა, გამოძიების პროცესში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ჩაერთვება, საქართველო ამ ფაქტს საერთაშორისო დონეზე გაიტანს.

— სამწუხაროდ, ეს ფაქტი მიანიშნებს, რომ იმ ხალხს, ვინც მოსკოვში გადაწყვეტილებას იღებს, არ მოსწონს საქართველოს სტაბილური განვითარება, სწორ გზაზე დგომა. ეს მიუთითებს, რომ გვმართებს შიდა სტაბილურობა, შიდა ერთიანობა და ფრთხილად უნდა ვიყოთ, — აღნიშნა გიორგი კანდელაკმა.

საჩხერის რაიონის სოფელ ჭალვანში მცხოვრებ ხუთ ახალგაზრდას სამხედრო ფორმაში ჩაცმულმა საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა ცეცხლი გაუხსნეს. 17, 21, 22, 26 და 27 წლის ახალგაზრდები საოკუპაციო ხაზის უშუალო სიახლოვეს, ჩონთოს ხეობაში ჯონჯოლის შეგროვების მიზნით იმყოფებოდნენ, რა დროსაც მათ დაკავებას სამხედრო ფორმაში ჩაცმული საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლები შეეცადნენ. ახალგაზრდებმა გაქცევა სცადეს, თუმცა, სამხედრო ფორმაში ჩაცმულმა პირებმა მათ ცეცხლი გაუხსნეს. სროლის შედეგად დაიჭრა ორი ახალგაზრდა. მათ შორის, მძიმედ დაიჭრთა ადგილობრივი სკოლის 17 წლის მოსწავლე.

# პარლამენტი ჩერქეზების გენოციდს აღიარებს?

**საქართველოს პარლამენტმა ჩერქეზების გენოციდის საკითხს შესაძლოა კენჭი უყაროს. საპარლამენტო კულუარებში საუბრობენ, რომ დადგენილების ტექსტი მზადდება, რომელზეც დღეს რამდენიმე კომიტეტში იმსჯელებენ.**

**ჩერქეზთა გენოციდის აღიარების საკითხთან დაკავშირებით 19 მაისისთვის კომიტეტების სპეციალური სხდომა გაიმართება, სადაც სავარაუდოდ, გადაწყვეტილებას მიიღებენ.**



ნანა მიშელაშვილი

მანამდე კი, საერთაშორისო ჩერქეზული საბჭოს თავმჯდომარის ედი იუნგარი პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ნუგზარ წიკლაურს შეხვედა. შეხვედრაზე ედი იუნგარმა აღნიშნა, საქართველოს მიერ ჩერქეზი ხალხის გენოციდის აღიარება ხელს შეუწყობს კავკასიელ ხალხთა ურთიერთობების განმტკიცებას, დარეგულირებას და საქართველოსადმი პატივისცემასა და კეთილგანწყობას, განსაკუთრებით ჩერქეზი ხალხის მხრიდან.

— ამ ნაბიჯით კავკასიასთან მიმართებაში ინიციატივების უფლება მხოლოდ რუსეთს აღარ ექნება და იმავდროულად საქართველო დაიბრუნებს იმ ისტორიულ ფუნქციას, რომელიც კავკასიის რეგიონში ისტორიულად გააჩნდა. ამ საკითხის ირგლივ საქართველოს გააქტიურების ფონზე მოსკოვი ჩერქეზი ხალხისადმი მოჩვენებითი მზრუნველობის დემონსტრირებას ცდილობს და მას გარკვეულ დახმარებასაც სთავაზობს, თუმცა, რუსეთის ამ აქტივობას შედეგი არ ექნება, — განაცხადა იუნგარმა.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრების ნაწილი ჩერქეზთა გენოციდის საკითხზე და ისტორიული სამართლიანობის დაცვაზე საუბრობს. უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გოკა გაბაშვილი აცხადებს, რომ მოსკოვში მაშინაც კი აღშფოთდნენ, როცა თბილისში ოკუპაციის მუზეუმი გაიხსნა. მისივე თქმით, ცარისტული რუსეთის პერიოდში ისტორიულ სამშობლოში ჩერქეზთა მხოლოდ 5% დარჩა, ყველა დანარჩენი ან ფიზიკურად გაანადგურეს, ან იძულებითი მეთოდებით განდევნეს.

უმრავლესობის წევრების განმარტებით, საქართველოს პარლამენტში საკითხის აქტუალიზება თავად ჩერქეზთა აქტიურობითა და სხვადასხვა ქვეყნებიდან მათი დიასპორების მომართვების საფუძველზე განხორციელდა.

მე-19 საუკუნეში, რუსეთ-კავკასიის ომის დროს, ჩერქეზულ ტერიტორიებზე განხორციელებულ ქმედებებს ქართველი მეცნიერები ეთნიკური წმენდისა და გენოციდის კვალიფიკაციას აძლევენ. სამეცნიერო დასკვნა, რომელშიც როგორც ქართველი, ასევე დასავლელი, რუსი და ჩერქეზი მეცნიერების დასკვნები და მოსაზრებებია კონსოლიდირებული, უკვე გამოქვეყნდა. დოკუმენტი დეპუტატებს, ექსპერტებს და ასევე ჩერქეზული დიასპორის წარმომადგენლებს პროფესორმა და კავკასიოლოგმა მერაბ ჩუხუამ გააცნო.

როგორც მეცნიერები ასკვნიან, მე-19 საუკუნეში, რუსეთ-კავკასიის ომის დროს, რუსეთის იმპერიის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ ჯერ წინასწარ დაიგეგმა და შემდგომში განხორციელდა, ჩერქეზული ტერიტორიების ეთნიკური ნიშნით წმენდა. ჩერქეზებისგან დაცარიელებულ პუნქტებში კი სპეციალურად კაზაკები და რუსები იქნენ ჩასახლებულნი.

მეცნიერთა დასკვნის თანახმად, მრავალჯერადი სადამსჯელო სამხედრო ექსპედიციების შედეგად, მილიონ-ნახევრამდე ჩერქეზული მოსახლეობის 90%-ზე მეტი იქნა განადგურებული ან სამშობლოდან იძულებით განდევნილი.

მეცნიერები ფიქრობენ, რომ აღნიშნული ქმედებები გამოკვეთილად გენოციდის კვალიფიკაციის მატარებელია.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პარლამენტს ჩერქეზთა გენოციდის აღიარების თხოვნით მსოფლიოს მასშტაბით ჩერქეზთა დიასპორებმა მიმართეს.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე პარლამენტის მიერ ჩერქეზთა გენოციდის უახლოეს დღეებში მოსალოდნელი აღიარების დადასტურებისგან თავს იკავებს.

— ჯერჯერობით ის შემიძლია გითხრათ, რომ წელიწადზე მეტია, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აკადემიური დისკუსია მიმდინარეობს, მათ შორის შესაბამისი საპარლამენტო კომიტეტის ფარგლებშიც და ამ დისკუსიის შედეგად სერიოზული სამეცნიერო მასალები მოგროვდა. ამ მასალების პოლიტიკურ გადაწყვეტილებაში გადაყვანა მოხდება, მაგრამ იმას, რომ ამას უახლოეს დღეებში უნდა ველოდოთ, ვერ დაგიდასტურებთ. აღნიშნულ საკითხს მინიმუმ, შესაბამისი კომიტეტების მიერ სხდომის გამართვა სჭირდება, — განაცხადა დავით ბაქრაძემ.

# ლეიბორისტები აზერბაიჯანიდან საქართველოს ელჩის გამოწვევას ითხოვენ



ლეიბორისტული პარტია აზერბაიჯანიდან საქართველოს ელჩის თეიმურაზ შარაშენიძის გამოწვევასა და პასუხისგებაში მიცემას ითხოვს.

ამის შესახებ გუშინ პარტიის გენერალურმა მდივანმა იოსებ შატბერაშვილმა საგარეო საქმეთა სამინისტროს წინ გამართულ აქცია-ბრიფინგზე განაცხადა.

მისი თქმით, შარაშენიძე აზერბაიჯანში საქართველოს ინტერესებს არ იცავს და იქ მყოფ ქართველებს აუგად მოიხსენიებს. „შარაშენიძემ საინგილოს მონახულების დროს აგინა და შეურაცხყოფა მიაყენა იმ ქართველებს, რომლებიც ისტორიულ ჰერეთში ცხოვრობენ. ამ უპასუხისმგებლო დიპლომატს ასევე არ გაუპროტესტებია იმ 3 მილიონი კვადრატული მეტრის ქართული მიწის დაკარგვა, რომელიც აზერბაიჯანის შემადგენლობაში, მდინარე ალაზანის კალაპოტის ცვლილების გამო მოექცა,“ - განაცხადა შატბერაშვილმა.

მისი თქმით, ამ პიროვნებამ საქართველოს საელჩო ბოკერია-ბრაიზას შტაბად გადააქცია აზერბაიჯანში ფერადი გადატრიალების მოსამზადებლად.

— ყველაფერ ამის შემდეგ, ჩვენ, ლეიბორისტები დაუყოვნებლივ მოვითხოვთ მის გამოწვევასა და პასუხისგებაში მიცემას. განცხადებას ამის თაობაზე საგარეო საქმეთა მინისტრს გრიგოლ ვაშაძეს გადავცემთ, — დასძინა შატბერაშვილმა.

თუმცა საგარეო საქმეთა სამისტროს საკონსულო დეპარტამენტმა აღნიშნული განცხადება შესვენების საათის გამოცხადების მოტივით არ მიიღო. შატბერაშვილმა აღნიშნული ნაბიჯი ხელისუფლების მორიგ უპასუხისმგებლო ნაბიჯად შეაფასა და ვაშაძეს დაუყოვნებლივ სიტუაციის გარკვევა მოსთხოვა.

**მედიანიუსი**

# თბილისში საქართველო-თურქეთის ბიზნესფორუმი გაიმართება

დღეს თბილისში, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ საქართველო-თურქეთის ბიზნესფორუმი გაიმართება. ღონისძიება საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციისა და თურქეთის რესპუბლიკის საელჩოს ორგანიზებით ჩატარდება. მასში ორი ქვეყნის სამშენებლო ბიზნესის 100-მდე წარმომადგენელი მიიღებს. ბიზნესფორუმის ფარგლებში ორმხრივი შეხვედრები გაიმართება, სადაც სამომავლო თანამშრომლობის საკითხებს განიხილავენ.

**მედიანიუსი**

თქვენი ზარით შეეწიეთ
**ბებნისის დედათა მონასტრის**
მშენებლობას
**მაგთის, ჯეოსელის, ბილაინის აბონენტებმა დარეკეთ ნომერზე 700 605**
ღმერთმა შეგიწიროთ!
**ზარის ღირებულებაა 1 ლარი**

# კორეის დელეგაციამ საქართველოს პარლამენტში შეხვედრა გამართა

საქართველოსა და კორეას შორის, განსაკუთრებით კი ორი ქვეყნის პარლამენტებს შორის ურთიერთობის განმტკიცებისა და პარტნიორული თანამშრომლობის გამყარების საკითხი იყო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, დავით ბაქრაძისა და კორეის რესპუბლიკის ეროვნული ასამბლეის კორეა-საქართველოს მეგობრობის ჯგუფის დელეგაციის გუშინ გამართული შეხვედრის მთავარი თემა.

— კორეა არის ერთ ერთი საუკეთესო მაგალითი მსოფლიოში სწრაფი ეკონომიკური განვითარების, თუ როგორ შეიძლება ქვეყანა განვითარდეს რამდენიმე წელიწადში, შექმნას სამუშაო ადგილები, დაასაქმოს ადამიანები და გადაიქცეს მსოფლიოს ერთ ერთ წამყვან ქვეყნად. ამდენად, ჩვენთვის ძალიან საინტერესოა კორეის გამოცდილების გაზიარება, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ შეხვედრის შემდეგ.

მან იმედი გამოთქვა, რომ კორეელთა ვიზიტი ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გააქტიურებას სხვადასხვა სფეროში და საქართველოში კორეული ინვესტიციების მოზიდვას.

ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობა 20 წლის წინათ დამყარდა, თუმცა პარლამენტარებს შორის შეხვედრა დღეს პირველად შედგა. ამიტომ, ამ შეხვედრას ორივე მხარე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

დავით ბაქრაძის თქმით, პრაქტიკულად მიღწეულია შეთანხმება, რომ ერთ-ერთი უდიდესი კორეული კომპანია საქართველოში ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარებასა და სასტუმროების მშენებლობაში სოლიდური თანხის ინვესტირებას მოახდენს.

— ეს ყველაფერი კი იმის საფუძველს ქმნის, რომ ამ გამოცდილების გაზიარებით, ინვესტორების შემოსვლით კიდევ უფრო მეტად განვავითარებთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას, და ბუნებრივია, უფრო მეტ სამუშაო ადგილსაც შევქმნით, — აღნიშნა დავით ბაქრაძემ.

კორეის რესპუბლიკის ეროვნული ასამბლეის კორეა-საქართველოს მეგობრობის ჯგუფის დელეგაცია შეხვდა ასევე საქართველოს პარლამენტის კორეა-საქართველოს მეგობრობის ჯგუფის წევრებს. შეხვედრაზე სტუმრებმა დეტალური ინფორმაცია მიიღეს საქართველოში მიმდინარე პროცესებზე.

შეხვედრაზე ითქვა კორეის მხარის სურვილიც საქართველოში საელჩოს გახსნის თაობაზეც. კორეის რესპუბლიკის ეროვნული ასამბლეის კორეა-საქართველოს მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელის ინ ჯი რიის განცხადებით, საელჩოების გახსნა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას კიდევ უფრო აქტიურ ფაზაში გადაიყვანს და თანამშრომლობასაც უფრო ნაყოფიერს გახდის. მისი თქმით, კორეას შეუძლია საქართველოს დახმარება შესთავაზოს უმაღლესი ტექნოლოგიების სფეროში და საკუთარი გამოცდილებაც გაუზიაროს. თანამშრომლობის სურვილი გამოითქვა ტურიზმის სფეროშიც. სტუმარმა იმედი გამოთქვა, რომ მომავალში ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბრუნვაც მნიშვნელოვნად გაიზრდება.

კორეის რესპუბლიკის ეროვნული ასამბლეის კორეა-საქართველოს მეგობრობის ჯგუფის დელეგაციის ვიზიტი საქართველოში გუშინ დაიწყო. დღესვე დაგეგმილია მათი შეხვედრები დედაქალაქის მერიისა და საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

კორეელი პარლამენტარები საქართველოს 19 მაისს დატოვებენ.

**მედიანიუსი**

ქეთი ხომერიკი

# სუბარმა ტალახი მესროლა



არ მჯერა, რომ ოპოზიცია რუსეთიდან იმართება

## ინტერვიუ „ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერ ირაკლი ალასანიასთან

***— სუბარის მტკიცებით, თქვენ ლავროვს „ალიანსის“ დაფინანსება სთხოვეთ და ლავროვთან თქვენ შეხვედრას წინ კიდევ რამდენიმე შეხვედრა უძღოდა, ეს სიმართლეა, ბატონო ირაკლი? და საერთოდაც, იქნებ დეტალურად გვითხრათ, 45 წუთის განმავლობაში რაზე საუბრობდით რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან?***

— ამ შეხვედრის შესახებ საზოგადოება ძალიან კარგად არის ინფორმირებული, ანუ მიუნხენის კონფერენციაზე ჩემი და ლავროვის შეხვედრა რომ შედგა, იმ დღიდანვე ყველამ კარგად იცოდა. ლავროვთან ჩემი დიპლომატიური კარიერიდან გამომდინარე, ასე ვთქვათ, პირადი ნაცნობობა მაქვს. შეხვედრაზე ჩვენი საუბარი მთლიანად საქართველოსა და რუსეთს შორის შექმნილ ურთულეს სამხარ ვითარებას შეეხებოდა. ჩვენ ვთვლით, რომ აუცილებელია რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება. ამიტომ ორივე ქვეყნიდან პოლიტიკოსებმა, საზოგადოების წარმომადგენლებმა და მათ შორის, ხელისუფლებაში მყოფმა ადამიანებმა უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ გამოვიყვანოთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ამ ჩიხიდან, რადგან საქართველოს სჭირდება, პირველ რიგში, ვიდრე კონფლიქტების მოგვარება დაიწყება, რუსული ბაზრის დაბრუნება, სადაც ჩვენ სოფლის მეურნეობის პროდუქცია გაგვქონდა, ასევე, საჭიროა ვაჭრობის, კულტურული და სხვა ურთიერთობების აღდგენაც. რაც თავისთავად ნდობის აღდგენამდე და შემდეგ უკვე პოლიტიკურ საკითხებამდე მივა. აი, ამაზე გვქონდა მე და ლავროვს საუბარი. მე მართლაც გული დამწყდა იმაზე, რომ სუბარი ჩაყენებულია ისეთ მდგომარეობასა და გარემოებებში, რომ ასეთი ტყუილის თქმა უწევს.

***— რას გულისხმობთ, რას ნიშნავს ჩაყენებულია და უწევს, ვინ და რატომ ჩააყენა სუბარი ასეთ მდგომარეობაში?***

— დიახ, უწევს. ვიმეორებ, სუბარი გამოუვალ პოლიტიკურ მდგომარეობაში ჩადგა და უწევს ტყუილის თქმა. ამიტომაც მე, მართლაც ვუსურვებ მასაც და სხვა პოლიტიკურ ძალებსაც, რომ ისაუბრონ იმაზე, თუ რეალურად რა აღელვებს ხალხს, ანუ, როგორ გაუმკლავდებიან ისინი უმუშევრობას, რა პოლიტიკა ექნებათ ეკონომიკურ და ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისთვის. აი, ეს არის ის, რაც დღეს, ადამიანებს აღელვებს და, რა თქმა უნდა, იმას, რაც მოხდა, მე აღვიქვამ, როგორც მცდელობას სხვა პოლიტიკური ძალების მიმართ ტალახის სროლას. ძალების, რომლებიც არ არიან გასვრილი და ეჭვმიტანილნი, ასე ვთქვათ, უცხო ქვეყნის პოლიტიკური წრეებიდან დაფინანსებაში.

***— სუბარმა ტალახის სროლის მიზნით გააკეთა ასეთი განცხადება, მან ალასანიას ტალახი ესროლა?***

— ეს არის მცდელობა, რომ გასვარონ სხვა პოლიტიკური ძალებიც ისე, რა მდგომარეობაშიც თვითონ აღმოჩნდნენ. ჩვენთვის, თავისუფალი დემოკრატებისთვის, რუსეთთან ურთიერთობა მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ აღვადგინოთ ურთიერთობები, რათა დავიბრუნოთ რუსული ბაზარი და შევქმნათ ფონი იმისთვის, რომ რეალურად დავიწყოთ დეოკუპაციაზე საუბარი, მათ კი რუსეთი დღეს სჭირდებათ, როგორც საკუთარი პოლიტიკური მიზნების განხორციელების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი. ანუ იმ ძალებს, რომლებიც დღეს რუსეთის პოლიტიკურ უმაღლეს ძალებთან ატარებენ შეხვედრებს, ხელისუფლებაში მოსვლისთვის სჭირდებათ. აი, ეს ჩემთვის მიუღებელია და ეს მათაც კარგად იციან, მაგრამ ვიმეორებ, ეს იყო მცდელობა იმისა, რომ სხვა პოლიტიკურ ძალებსაც, რომლებიც ამაში არ ვართ ჩართულნი, ჩირქი მოგვცხონ.

***— ბურჯანაძემ განაცხადა, რომ დაუგეგმავი შეხვედრები 45 წუთის განმავლობაში არ გრძელდებაო და ის, ასე ვთქვათ, დარწმუნებულია, რომ სუბარი არ ტყუის, ამაზე რას იტყვით, ბურჯანაძეს ასეთი შეფასება რაღას ემსახურება?***

— მე დიდად არ განვასხვავებ ამ ძალებს ერთმანეთისგან, რადგან ისინი ერთი მეთოდით მოქმედებენ. იცით, მე არაფერს განვაცხადებ, უბრალოდ, ერთს დავადასტურებ, რომ ეს მართლაც არ იყო უმნიშვნელო შეხვედრა და საერთოდაც, როდესაც მე მაქვს შეხვედრები საზღვარგარეთ უცხო ქვეყნის წარმომადგენლებთან, ყველა შეხვედრა მნიშვნელოვანია, ანუ მნიშვნელოვანია საქართველოსთვის და მე, იმ შეხვედრაზე წარმოვადგენდი არა ოპოზიციის ლიდერს, არამედ საქართველოს და საქართველოს ინტერესებს.

***— და ლავროვი კი რუსეთს და ოკუპანტის ინტერესებს...***

— რა თქმა უნდა, ლავროვი რუსეთს და რუსეთის ინტერესებს წარმოადგენდა. მე და ლავროვს, არათუ დაფინანსებაზე, არამედ შიდა პოლიტიკაზეც კი არ გვქონია საუბარი, საქართველოს შიდა პოლიტიკას ვგულისხმობ, რადგან მე ვთვლი, რომ არასწორი და არაკაცურია ის, როდესაც შენ შენი ქვეყნის მოწინააღმდეგე ქვეყნის პოლიტიკურ ლიდერთან ლაპარაკობ შენს შიდა პოლიტიკაზე. ჩვენ ვისაუბრეთ მხოლოდ და მხოლოდ სამომავლო ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე და იმაზე, თუ როგორ წარმოუდგენია ლავროვს ამ ურთიერთობების დარეგულირება.

***— და როგორ წარმოედგინა ლავროვს რუსულ-ქართული ურთიერთობების დარეგულირება?***

— პირველ რიგში, ჩვენ აუცილებლად თავი უნდა დავანებოთ ერთმანეთის დემონიზაციას. ასევე, მივცეთ საშუალება ჩვენს მოქალაქეებს, ქართველებს, რომლებიც ცხოვრობენ რუსეთში და პირიქით, რომ მეტი კულტურული და სოციალური ურთიერთობების შესაძლებლობა ჰქონდეთ, გარდა ამისა, ჩვენ, ასევე უნდა ვისაუბროთ იმაზე, რომ აღდგეს ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები. მხოლოდ ასეთი ურთიერთობების აღდგენის და ხელახლა დამკვიდრების შემდეგ გაჩნდება ფონი იმისთვის, რომ უკვე პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებზე მივაღწიოთ შეთანხმებებს, რაც კონკრეტულად, პირველ რიგში, ეხება აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში შექმნილ მდგომარეობას. არ აღიარების პოლიტიკა არის გარანტირებული საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან, ანუ მსოფლიო თანამეგობრობა არასდროს აღიარებს ამ რეგიონების დამოუკიდებლობას, გარდა რამდენიმე ქვეყნისა. ამიტომ ჩვენ, მთლიანად უნდა გადავერთოთ თანაბარი ურთიერთობების აგებაზე აფხაზეთსა და ქართველებს, ოსებსა და ქართველებს შორის, რაც რუსეთის თანამონაწილეობის გარეშე, ბუნებრივია, ძალიან გართულდება.

***— ამ შეხვედრის შემდეგ კვლავ ხომ არ შემდგარა თქვენი და ლავროვის შეხვედრა და ხომ არ იგეგმება მსგავსი შეხვედრები?***

— არა, იმ შეხვედრის შემდეგ ჩემსა და ლავროვს შორის მორიგი შეხვედრა არ შემდგარა, მაგრამ თუ რომელიმე საერთაშორისო კონფერენციაზე ჩვენ ერთდროულად აღმოვჩნდებით, ბუნებრივია, კიდევ ერთხელ გამოვიყენებთ ამ შესაძლებლობას. მე იმედი მაქვს, რომ მომავალში ქართულ-რუსულ ურთიერთობებში, ჩვენ ჩვენი დადებითი სიტყვის თქმას შევძლებთ.

***— ეს შეხვედრა დაგეგმილი იყო ხომ, ბატონო ირაკლი?***

— დიახ, ეს შეხვედრა დაგეგმა პრაქტიკულად გერმანიის სახელმწიფომ, რომელიც ორგანიზებას უკეთებს მიუნხენის კონფერენციას და იქ მიგვიწვიეს მეც, ლავროვიც და სხვადასხვა მსოფლიო ქვეყნების პოლიტიკური ლიდერები. ამიტომ ძალიან არასერიოზულია ვიფიქროთ ის, რომ ამხელა კონფერენცია სპეციალურად ჩემი და ლავროვის შეხვედრისთვის დაიგეგმა, თუმცა, როდესაც ორივე მხარემ გავიგეთ, რომ ვიქნებოდით კონფერენციაზე, ბუნებრივია, შესაძლო შეხვედრის ინიცირება მოხდა, რაც ორივე მხარემ გამოვიყენეთ.

***— სხვათა შორის, საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა სუბარის ნათქვამი დაიჯერა... თქვენი აზრით, სუბარის მიზანი საზოგადოების თვალში თქვენი დისკრედიტაცია იყო, ანუ მარტო ჩვენ რომ გვნათლავთ რუსეთიდან მართულ ძალად, შეხედეთ, აგერ ალასანიაც რუსეთის კაცი ყოფილაო?***

— კი, მარტო ჩვენ არ ვართ. ანუ მათი პოლიტიკა არის ისეთი, რომ მე თუ ცუდი ვარ, აი, ეს კომპლექსი აქვთ მათ, სხვებიც ცუდები არიან. სხვათა შორის, ამით ისინი სააკაშვილისგან არაფრით არ განსხვავდებიან. რადგან სააკაშვილი მთავარ პოლიტიკურ აქცენტს, რასაც ის ოპოზიციასთან მიმართებაში დასავლეთის თვალში აკეთებდა, იყო ის, რომ აი, მე კი ვარ ცუდი, მე კი შემეშალა, მაგრამ ოპოზიცია ჩემზე უარესია. ამიტომ ტაქტიკა ნაცნობია ჩემთვის, მაგრამ მე ვერ დაგეთანხმებით იმაში, რომ საზოგადოების ნაწილმა ეს დაიჯერა. საზოგადოების ნაწილს, ბუნებრივია, კითხვის ნიშნები გაუჩნდა და ეს აბსოლუტურად ნორმალურია, მაგრამ არ დაუჯერებიათ, მეტიც, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

***— ქართულმა პარტიამ მიზანში ამჯერად თქვენ ამოგიღოთ?***

— მე ეს ნაკლებად მაღელვებს. ჩემთვის მთავარია, რომ ჩვენ პოლიტიკური პროცესის სწორი გზით წაყვანა განვაგრძოთ. ჩემთვის ძალიან მგრძნობიარე თემაა საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებული მოლაპარაკებები და მე ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ უახლოეს პერიოდში ძირითადი შეთანხმებების მიღწევა მოვახერხოთ.

***— თქვენ ჩვენთან საუბრისას განაცხადეთ, რომ რვიანსა და ხელისუფლებას შორის მოლაპარაკებები განახლდებაო, როგორც ჩანს, თქვენ მაშინ კაციტაძესა და კუბლაშვილს შორის მოსალოდნელ შეხვედრას გულისხმობდით, რომელმაც შედეგი არ მოიტანა და პროცესი კვლავ ჩიხშია, რისი იმედი აქვს რვიანს?***

— დიახ, მაგას ვგულისხმობდი. გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, ანუ კაციტაძის და კუბლაშვილის შეხვედრა შედგა, მათ გაცვალეს მოსაზრებები, თუმცა ვთვლი, რომ ჩვენ, ძალიან შორს ვართ ურთიერთგაგებასთან, ანუ ხელისუფლების წარმომადგენლებთან ძირითად საკითხებზე, როგორიც არის ერთი მოქალაქე, ერთი ამომრჩეველი და სისტემა ამომრჩეველთა, აი, ამ ორ თემაზე ძალიან შორს ვდგავართ ერთმანეთის პოზიციებით. ამიტომ უახლოეს პერიოდში ალბათ გაგრძელდება შეხვედრები და იმ ვადებში, რომელიც გვაქვს, გარკვეულ სიცხადეს შევიტანთ. ერთი სიტყვით, ან შედგება, ან ვერ შედგება შეთანხმება და ეს უახლოეს პერიოდში გამოიკვეთება.

***— და თუ არ შედგა შეთანხმება, რა ხდება მაისის შემდეგ?***

— ჩვენ უკვე დავიწყეთ საზოგადოების ინფორმირება, თუ რას დააკარგვინებს სააკაშვილი თუკი არ დათანხმდება მოლაპარაკებებს. ჩვენთვის მთავარი ამოცანა შემდეგ უკვე იქნება მასშტაბური პროტესტის დაფიქსირება მოქალაქეებისგან სააკაშვილის მისამართით, ანუ იმის დემონსტრირება, რომ საზოგადოება სააკაშვილს არ ეთანხმება. და ასეთ ფორმატში, ანუ მაშინ, როდესაც სააკაშვილი საზოგადოების დიდ ერთსულოვნებას და საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერას ქართველი ხალხის ამ ერთსულოვნების მიმართ დაინახავს, ის იძულებული იქნება, რომ გადადგას ნაბიჯები კომპრომისისკენ.

***— საპროტესტო აქციებსაც გამართავთ, ბატონო ირაკლი?***

— დიახ, აუცილებლად, ჩვენი პოზიციების დაფიქსირების ერთ-ერთი მთავარი ფორმა, სწორედაც რომ საპროტესტო აქციები იქნება.

***— მაგ დროისთვის ე.წ. რადიკალური ოპოზიციის აქციებიც იმართება, შემთხვევით მათ აქციებსაც ხომ არ შეუერთდებით?***

— არავითარი გაერთიანება არ მოხდება, რადგან ჩვენ ძალიან ნათელი მიზანი და ამოცანა გვაქვს და ეს საარჩევნო რეფორმის განხორციელება და საზოგადოების მხარდაჭერის მიღებაა. ჩვენ სააკაშვილის დაუყოვნებლივ გადადგომას და ვადამდელ არჩევნებს არ ვითხოვთ, რადგან ასეთ საარჩევნო გარემოში არჩევნების ჩატარებას აზრი არ აქვს, ამიტომაც, ამ შემთხვევაში, ვერ ვხედავ საერთოს იმ პოლიტიკურ ძალებთან, რომლებიც დღეს, ასე ვთქვათ, აგრესიულ კამპანიას ეწევიან სააკაშვილის გადაყენებისთვის, რაც არის მიუღწეველი შედეგი. თორემ ჩვენ, სოლიდარობას, რა თქმა უნდა, ვუცხადებთ იმ ადამიანებს, რომლებსაც უნდათ სწრაფი ცვლილება, მაგრამ ვეუბნებით, რომ ხელისუფლება სწორი გზით უნდა შევცვალოთ.

***— უსაფუძვლოა რადიკალების პრეტენზიები, რომ რვიანი ხელს უწყობს სააკაშვილის ხელისუფლების გახანგრძლივებას?***

— მთლიანად უსაფუძვლოა და მე ვიტყოდი, რომ ამ ძალებს უჭირთ შეეგუონ ახალ პოლიტიკურ ვითარებას და კულტურას. მე კი მინდა, რომ დამკვიდრდეს ქართულ პოლიტიკაში ის წესი, რომ შენ შენი მოწინააღმდეგე პოლიტიკური ძალა არ გამოაცხადო ქვეყნის მტრად. შენ უნდა შეგეძლოს მასთან რაღაცეებზე შეთანხმება, რადგან ეს არის ერთადერთი გზა, რომ ჩვენ საზოგადოებაში, რომელიც სამოქალაქო ომით იყო გახლეჩილი, გაჩნდეს იმედი იმისა, რომ ჩვენ ერთად რაღაცეების კეთება შეგვიძლია. აი, ამის დამკვიდრება მინდა მე, რადგან რადიკალები, ერთმანეთისთვის ასეთი ტალახისმსროლელი პოლიტიკოსები სულ უფრო და უფრო მარგინალურები ხდებიან და ისინი საზოგადოებაში სულ უფრო ნაკლებ მხარდაჭერას პოულობენ.

***— ხელისუფლებისა და რვიანის მოლაპარაკებების პროცესი კარგა ხანია დაიწყო, თუმცა, დღემდე არანაირი შედეგი არ დაიდო, იქნებ დრო სულ ტყუილად დაკარგეთ?***

— არავითარ შემთხვევაში, ჩვენ არც ერთი წუთი და წამი ტყუილად არ დაგვიკარგავს. პირველი, რასაც ჩვენ მივაღწიეთ, არის ის, რომ საქართველოში საზოგადოებამ პოლიტიკური დაპირისპირება ქუჩიდან ნორმალურ ცივილიზებულ პროცესში გადმოიტანა. მოლაპარაკებების პროცესში ყოველთვის არის წარუმატებლობის და ჩიხის დადგომის ეტაპები, ყველა მოლაპარაკების პროცესში მთელ მსოფლიოში. ამიტომ ჩვენ სწორედ ასეთი მოლაპარაკებების გზით ვაშენებთ ისეთ ურთიერთობას პოლიტიკურ ბანაკებს შორის, რომელიც შეთანხმებას კი არ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, შეთანხმებისკენ თითო სოლიდურ ნაბიჯს გადაგმას ყველა. მე მგონია, რომ ახლა, მაისის თვეში, ეს მოხდება და ჩვენ, პრინციპულ საკითხებზე შეთანხმებას მოვახერხებთ.

***— 21 მაისს სახალხო კრება სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლას იწყებს, რომელსაც მათი თქმით, გამარჯვებით ამთავრებს, თქვენი აზრით, მათი ბრძოლა შედეგს დააყენებს?***

— „ახალი თაობის“ ფურცლებიდან მინდა, პირველ რიგში, ხელისუფლებას მივმართო და ვუთხრა, რომ ეს არის ადამიანების, საზოგადოების იმ ნაწილის, რომელიც აპირებს 21 მაისს აქციაზე მისვლას, სამართლიანი აღშფოთების გამოვლენა და მათ ამის საშუალება უნდა მიეცეთ. მათი პროტესტის და კრიტიკის დაფიქსირება არ უნდა იყოს შელახული. ამიტომ ხელისუფლებას მოვუწოდებ სიფრთხილისკენ და იმისკენ, რომ ეს საშუალება საზოგადოების ამ ნაწილს არ წაართვან. მე ასევე მინდა მივმართო თვითონ ორგანიზატორებსაც და ვუთხრა, რომ ძალიან დიდია შესაძლებლობა პროვოკაციის და ამიტომ ორგანიზებაში არ უნდა იყოს დაშვებული შეცდომები. ძალიან დიდია საფრთხე პროვოკაციების და იმისი, რომ დაპირისპირება და პოლარიზაცია ქუჩაში საზოგადოების განახლდეს, ამიტომ ეს ყველაფერი ზუსტად და სწორად უნდა იყოს ორგანიზებული.

***— ჩვენი ინფორმაციით, მერაბიშვილის უწყებას ერთი სული აქვს, მოსალოდნელი აქციები დაარბიოს ...***

— ძალადობა და პროვოკაციები უნდა გამოირიცხოს, ამაზე პასუხისმგებლობა, პირველ რიგში, ხელისუფლებას ეკისრება, მაგრამ ასევე პასუხისმგებლობას იზიარებენ ამ აქციების ორგანიზატორებიც. რაც შეეხება თვითონ საზოგადოებას, მე მთლიანად სოლიდარული ვარ ამ ადამიანების მიმართ და კარგად მესმის, რატომაც ვერ ითმენს ეს ნაწილი სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნას.

***— სხვათა შორის, აშკარაა, რომ საზოგადოების უმრავლესობა ხელისუფლების შეცვლის არა „რვიანისეულ“, არამედ რადიკალურ გზას ემხრობა და აქციებისთვის ემზადება...***

— ვერ დაგეთანხმებით, აბსოლუტურად არასწორი წარმოდგენა გაქვთ იმაზე, თუ რას ფიქრობს საზოგადოება. საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც გადის აქციაზე, რა თქმა უნდა, სურვილი აქვს, რომ სწრაფად დამთავრდეს სააკაშვილის ხელისუფლება, მაგრამ მათ გულის სიღრმეში ძალიან კარგად ესმით, რომ ეს აბსოლუტურად უტოპიური მოთხოვნაა, ანუ ესმით, რომ გადადგომის მოთხოვნას რეალური შედეგი არ მოჰყვება. ერთადერთი გზა, რომელსაც საზოგადოების უმრავლესობა მხარს უჭერს, მშვიდობიანი და კონსტიტუციური არჩევნების გზით ხელისუფლების ცვლაა. რისთვისაც გვჭირდება საარჩევნო რეფორმა და რისთვისაც იბრძვის რვიანი და დარწმუნებული ვარ, რომ შედეგს მივაღწევთ.

***— თქვენი აზრით, სახალხო კრებისა და ქართული პარტიის დაანონსებული აქციები იმართება თუ არა რუსეთიდან, ამაზე ბევრს საუბრობენ...***

— მე არანაირი კონკრეტული საფუძველი არ მაქვს და ვერ ვიტყვი, რომ ვინმე ამ ხალხში სხვა ქვეყნის პოლიტიკური წრეებიდან იმართება. ნამდვილად ვიცი, რომ საზოგადოების იმ დიდ ნაწილს, რომელიც ამ პროცესში მონაწილეობას მიიღებს, ცვლილებების გულწრფელი სურვილი აქვთ და მათ მიმართ სოლიდარული ვარ, მაგრამ სულ მცირე, რისი თქმაც შემიძლია, არის ის, რომ ეს პოლიტიკური ძალები აბსოლუტურად არაგულწრფელები არიან, მაშინ, როდესაც საზოგადოებას სწრაფ ცვლილებას სთავაზობენ და მეორე, მე ძალიან მაეჭვებს ის, რომ მათი წარმოდგენით სწრაფი ცვლილების მიღწევა შესაძლებელია. ეს, რა თქმა უნდა, შეუძლებელია და აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ მათ ინტერესებში სიტუაციის რეალურად დაძაბვა შედის, რაც ამ შემთხვევაში ხელს სააკაშვილს აძლევს. არ ვიცი, ამას გააზრებით თუ გაუაზრებლად აკეთებენ, თუმცა ფაქტია, რომ ამით ისინი სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმის გამყარებას ხელს აძლევენ.

***— ამბობენ, არეულობა დღეს ყველაზე მეტად სააკაშვილს აწყობს, ვადამდელ არჩევნებს დანიშნავს და მისთვის მისაღებ პარლამენტს მოიყვანსო...***

— სააკაშვილი ვერანაირ არჩევნებს ვერ დანიშნავს იქამდე, სანამ პოლიტიკურ ძალებს შორის საარჩევნო გარემოზე შეთანხმება არ მოხდება. სხვა შემთხვევაში ეს იქნება არალეგიტიმური. რაც შეეხება სააკაშვილის ტაქტიკურ ინტერესებს, აქ მე ვხედავ თანხვედრას მხოლოდ ერთი მიზეზით, რომ სააკაშვილმა ისევ წარმოაჩინოს ოპოზიცია რუსეთის მიერ მართულ ოპოზიციად და მსოფლიოს დაანახოს, რომ ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელსაც სტაბილურობის და დასავლური ორიენტაციის შენარჩუნება სწადია, თავადაა.

# ვადამდელი არჩევნები ოპოზიციისათვის არის პრობლემა

ნონა ცაბა ე

## ინტერვიუ ექსპერტ-კონფლიქტოლოგ პაატა ზაქარეიშვილთან

***— ბატონო პაატა, სულ ორიოდე დღე რჩება სახალხო კრების მიერ დაანონსებული თარიღიდან, როგორ ფიქრობთ, რას უნდა ველოდოთ და რა პროგნოზები შეგიძლიათ გააკეთოთ?***

— რას უნდა ველოდოთ, ჩემი აზრით, ხელისუფლებას უნდა ამ აქციიდან უფრო მეტი მოგება ნახოს, ვიდრე მისი ორგანიზატორები გეგმავენ ამას. ორგანიზატორებს უნდათ, რომ ჩაატარონ ნორმალური სახალხო გამოსვლა, ხელისუფლება კი შეეცდება, ეს ნორმალური სახალხო გამოსვლა გადააქციონ რაღაც აგრესიულ გამოსვლად და ეძებენ მისი დარბევის საბაბს, რათა მოხდეს ოპოზიციის დისკრედიტაცია. შემდეგ კი მსოფლიოს აჩვენოს ხელისუფლებამ, რომ შეიძლება მე არა ვარ ანგელოზი, იდეალური და ბევრი პრობლემები მაქვს, მაგრამ ოპოზიცია ჩემზე უარესია. ამიტომ, ნუ დებთ ფსონს ოპოზიციაზე, ნუ გაქვთ იმედი, რომ სხვა ჩემზე დემოკრატიულია. ისევ მე შემომხედეთ, რადგან მე ვარ ამ ქვეყანაში დემოკრატიის სახე და ნიმუში. ამიტომ მოხდება ჩრდილის მიყენება საარჩევნო გარემოს შეცვლაზე და ჩრდილის მიყენება არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლაზე. ანუ ხელისუფლებას ეს უნდა, ხელისულფებას ეს აწყობს და ჩემი აზრით, სახალხო კრება ვერ შეძლებს ხელისუფლების ამ სურვილის გვერდის ავლას და უნდათ თუ არ უნდათ, პრაქტიკულად ხელისუფლების წისქვილზე დაასხამს წყალს.

***— გაჩნდა ვარაუდები, რომ სწორედ იმისთვის უთხრა ხელისუფლებამ რვიანს მოლაპარაკებებზე უარი, რომ მოეხდინა პროცესების ქუჩაში გადატანის პროვოცირება, რადგან ხელისუფლებას სამართლიანი არჩევნები უფრო აშინებს, ვიდრე ქუჩის აქციებიო...***

— სრულიად გეთანხმებით. აბსოლუტურად ჩემი სათქმელი თქვით. სწორედ რომ ასეა, ხელისუფლებას უფრო ეშინია ხალხის მობილიზაციისა არჩევნებზე, ვიდრე ხალხის მობილიზაციისა ქუჩაში. ქუჩის მართვა შეიძლება პროვოკაციებით და დარბევებით, არჩევნების მართვა კი შეუძლებელია. თუ ყველა მიდის არჩევნებზე, ხელისუფლება ვერ აყალბებს, ეს როგორმე უნდა შევიგნოთ და შევუშვათ ჩვენს თავში. თუ ყველა მიდის არჩევნებზე და ყველაში იგულისხმება 80% ,მაშინ ხელისუფლება უძლურია თავისი პოლიტიკა წარმართოს. ხელისუფლებას ამისი ეშინია და სწორედ ამიტომაა, რომ თვითონაც უბიძგებს და ხელს უწყობს ქუჩაში აქციების დაწყებას, რათა მის წისქვილზე დაისხას წყალი.

***— თქვენ მიგაჩნიათ, რომ სახალხო კრების გამოსვლები ხელისუფლების გამარჯვებით დასრულდება?***

— მე ეჭვიც არ მეპარება სახალხო კრების გულწრფელობაში, ძალიან დიდ პატივს ვცემ ბევრ მათგანს და ეჭვიც არ მეპარება, რომ ისინი არ ასრულებენ ხელისუფლების დავალებას, მაგრამ რეალურად ისინი ხელს უწყობენ ხელისუფლების გამტკიცებას ამ ფორმით. ეს ჩემი პირადი აზრია.

***— საუბარია, რომ პროვოკაციები მოსალოდნელია და ეს თუნდაც 26 მაისს მოხდება...***

— რასაკვირველია, დღეს ხელისუფლებას აწყობს, რაც შეიძლება სერიოზულად დაიძაბოს მდგომარეობა, რათა ლეგიტიმური უფლება მიეცეს, რომ ჩაერიოს პროცესებში.

***— როგორ ფიქრობთ, ვადამდელი არჩევნების დანიშვნა უნდა სააკაშვილს თუ რატომ მიდის ამაზე?***

— სააკაშვილის პრობლემა არ არის ვადამდელი არჩევნები. ვადამდელი არჩევნები პრობლემას წარმოადგენს კონსტრუქციული ოპოზიციისთვის, ვინც მოლაპარაკებებზე მიდის. ჩემი ღრმა რწმენით, საქართველოს დღეს არავითარ შემთხვევაში არ სჭირდება და არ აწყობს ვადამდელი არჩევნები და მე მგონი, რვიანიც ასე ფიქრობს. ვადამდელი არჩევნების პრობლემა მხოლოდ მათთანაა. სააკაშვილისთვის, იქნება ვადამდელი არჩევნები თუ არ იქნება, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. იქნება — თავის სასარგებლოდ გამოიყენებს, არ იქნება — მაინც თავის სასარგებლოდ გამოიყენებს, თუ მოახერხა ის, რომ საზოგადოება არ მიიყვანა არჩევნებზე. მკაფიოდ უნდა მივხვდეთ ერთ რამეს, რომ სააკაშვილის ამოცანა არ არის მხოლოდ თავისი ამომრჩევლის მიყვანა არჩევნებზე, ეს არ არის მისი ერთადერთი ამოცანა. ამის ტოლფასი ამოცანა აქვს მას მეორე — არ მიიყვანოს არჩევნებზე მისი არამომრჩეველი. ასე გააკეთა მან 2010 წლის მაისში, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს. მაშინ სააკაშვილის წარმატება იყო ის, რომ მან მოახერხა ამომრჩევლის დიდი რაოდენობა, ვინც იცოდა, რომ მისი ამომრჩეველი არაა, არ მიიყვანა არჩევნებზე. დაშინებით, დარეკვებით შექმნეს რაღაცა ფსევდო-სიტუაცია. ოპოზიციის მთავარი ამოცანაა, როგორმე დაანგრიოს სააკაშვილის მეორე ამოცანა. პირველ ამოცანას ვერაფერს ვერ უზამს, იმიტომ, რომ ვილაცას მართლა მოსწონს სააკაშვილი. შევარდნაძე მოსწონდათ, ხალხი




მიდიოდა და შევარდნაძესაც კი აძლევდა ხმას, აბაშიძესაც კი აძლევდა ხალხი ხმას, მაგრამ ისინი იყვნენ ძალიან ცოტანი, მაქსიმუმ, გაწიე-გამოწიე მთელი საარჩევნო სიის 20%, რომელიც ნებაყოფლობით მიდიოდა და აძლევდა ხმას, როგორც აბაშიძეს, ისე შევარდნაძეს და ახლა დღეს აძლევს სააკაშვილს. ეს 20% ყველგან იარსებებს ყოველთვის, ვინც არ უნდა იყოს ხელისუფლებაში. დარჩენილი 80%-დან სააკაშვილი იოლად აყალბებს 20%-ს, მეტს ვერა. 60% ოპოზიციის ხელშია. კეთილი უნდა ინებოს და უნდა მოახერხოს ამ 60%-ის მობილიზაცია. სააკაშვილს სულ ორჯერ ჰქონდა რეალური არჩევნები, ეს იყო 2008 წლის იანვარში მისი საპრეზიდენტო არჩევნების დროს, სადაც გააყალბა მაქსიმუმ 15%. მას ჭირდებოდა 50%-ზე მეტი, სადღაც 40% აიღო და მხოლოდ 13% გააყალბა. ასევე გააკეთა საპარლამენტო არჩევნების დროს, რათა მაჟორიტარი დეპუტატები გასულიყვნენ. მაჟორიტარ დეპუტატებზე აქვს მას აგებული მთელი თავისი პოლიტიკური სისტემა. მას გაყალბების რესურსები აქვს უაღრესად მცირე, 15-დან 20%-მდე. რა თქმა უნდა, ეს სერიოზული რესურსია, მაგრამ ოპოზიციის ხელშია დანარჩენი ხალხი, რომელიც თბილისში და დანარჩენ საქართველოში ცხოვრობს და ისინი არ გამოდიან არჩევნებზე. ეს ათასჯერ, მილიონჯერ უფრო დიდი რესურსია, ვიდრე სააკაშვილის გაყალბების რესურსი. მე არ ვამბობ, რომ სააკაშვილი ვერ გააყალბებს არჩევნებს, მე არ ვამბობ, რომ ის არ გააყალბებს არჩევნებს, მაგრამ მისი რესურსი არის მცირე თუ ხალხი მიდის არჩევნებზე. როგორმე უნდა გადავლახოთ ეს ჩვენი შიდა კომპლექსი. ქუჩაში გამოდის მაქსიმუმ მთელი მოსახლეობის 15-20%, ესეც არა და ეს არ არის ქართველი საზოგადოების სახე. მაგალითად, ყველაზე ეფექტური გამოსვლა იყო 2009 წლის 26 მაისს, როცა მთელი სტადიონი გაივსო და შემდეგ ხალხი პატრიარქთან წავიდა. აი, ეს რაოდენობა უნდა გაამრავლო სამზე, გაწიე-გამოწიე, 200-300 ათასი კაცია, ვინც ქუჩაში გამოსვლით პროტესტს აცხადებს. ეს არ არის მთელი ქართველი საზოგადოება. ქართველი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი სახლში რჩება და არ მიდის არა მარტო არჩევნებზე, არამედ არ მიდის არც მიტინგებზე. ეს არის ის ხალხი, ვინც საბოლოო ჯამში გავლენას ახდენს არჩევნების ბედზე, ისევე, როგორც ქუჩის აქციების ბედზე.

***— რაც შეეხება რვიანს, ფაქტია, რომ ამ პერიოდისთვის შეწყვეტილია მოლაპარაკებები და რვიანს მაისის ბოლომდე აქვს მიცემული ვადა ხელისუფლებისთვის. რას უნდა ველოდოთ, რა იქნება შემდეგ?***

— ძალიან მნიშვნელოვანი კითხვაა, მერე უნდა იყოს გაგრძელება მოლაპარაკებების. ხელისუფლება უტიფრად და თავხედურად მიდის ამ მოლაპარაკებების ჩაშლაზე. თქვენ მკითხეთ, რა იქნება მერე, მაისის ბოლომდე მიიყვანს პროცესს ისე, რომ არაფერს არ შეასრულებს, არ შეასრულებს რვიანის პირობებს და რვიანს აიძულებს, რომ გადახედოს თავის სტრატეგიას და უარი თქვას მოლაპარაკებაზე, აი, ეს უნდა ხელისუფლებას. ხელისუფლება დაიწყებს, რომ მე არ მიყვარს თარიღების დათქმა, არ მიყვარს ულტიმატუმები, არავინ არ ელაპარაკება ულტიმატუმებით, მაგრამ მოიგონებს რაღაცას თავის ტვინის სიღრმეებში, რაღაც ფრაზას აქცევს ულტიმატუმად და ა. შ. ჩემი აზრით, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება უარი ითქვას მოლაპარაკების პროცესზე, ყველანაირად ცდილობს მის დარღვევას და ამის ოპოზიციისთვის გადაბრალებას. სამწუხაროდ, ახლა ყველაფერი დაემთხვევა ბურჯანაძის გამოსვლებს და ეს აღარ გამოვა, ეს ადრე უნდა გაეკეთებინათ. საჭირო იყო რვიანს გაეკეთებინა ერთი დიდი, ძლიერი, ორ-სამსაათიანი მიტინგი, სადაც გამოიყვანდა 100 ათას, 200 ათას კაცს, პლაკატებით და ლოზუნგებით, რომ ჩვენ გვინდა საარჩევნო გარემო, ჩვენ გვინდა მაისის ბოლომდე მოლაპარაკების დასრულება, რათა დასავლეთს ენახა, რომ საზოგადოებაში არის მოთხოვნილება არჩევნებზე და მოთხოვნილება საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე. ეს არ არის მხოლოდ რვა პარტიის სურვილი, ეს არის საზოგადოების სურვილი. ახლა ამის გაკეთება გვიანია, რადგან დაემთხვევა ბურჯანაძის აქციებს და ეს იქნება არასწორად წაკითხული დასავლეთისა და საზოგადოების მხრიდან. მე მომხრე ვარ ქუჩის აქციების, რომელიც არის პოლიტიკის ნაწილი, როცა პოლიტიკა არის სამშვიდობო და ქუჩის აქციებით შეიძლება ეს პოლიტიკა გააძლიერო, მაგრამ არ შეიძლება ქუჩის აქციები აქციო პოლიტიკად. მე ამის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. მაისი დამთავრდება, ხელისუფლება არ შეასრულებს თავის პირობებს, ამის შემდეგ რვიანმა უკვე ცალსახად უნდა ჩართოს ევროპა, შტატები, სხვადასხვა ინსტიტუტები და მათ უთხრას, რომ ჩვენ მზადა ვართ მოლაპარაკებებისათვის და ჩვენ გვინდა შედეგი, დაელაპარაკეთ ამ ხელისუფლებას, ჩვენ არ გვინდა ომი და ჩვენ არ გვინდა დავიდარაბა. ჩვენ გვინდა საარჩევნო გარემოთი შევცვალოთ როგორც ხელისუფლება, ისე ზოგადად პოლიტიკური კონტექსტი საქართველოში, სადაც სააკაშვილს ექნება ადგილი პოლიტიკაში და არა ციხეში და სხვა პოლიტიკურ ძალებსაც ექნებათ ადგილი პოლიტიკაში და არა ქუჩაში.

***— არ არის გამორიცხული, რომ ხელისუფლებას იმის იმედი ჰქონდეს, რომ ამ ქუჩის აქციების შემდეგ პროცესებს სულ სხვა რელსებზე გადაიყვანს...***

— ამიტომ საჭიროა რვიანმა ღრმად ჩაისუნთქოს და არ გააკეთოს რადიკალური მოძრაობები მაისის შემდეგ და არ თქვას უარი მოლაპარაკებებზე. მათ უნდა თქვან, რომ ჩვენ მზადა ვართ მოლაპარაკებებისათვის, ჩვენ არ გამოვდივართ ამ პროცესიდან, მაგრამ ჩვენ ვერ მივიღეთ ის შედეგი, რასაც ველოდით ხელისუფლებისაგან. ჩვენი არ ესმის ხელისუფლებას, ამიტომ მკაფიოდ უთხრან დასავლეთს, რომ ხომ არ მოვითხოვთ თქვენგან, რომ სააკაშვილი გადააყენეთ, ჩვენ მოვითხოვთ ერთადერთ რამეს, ზემოქმედება მოახდინეთ სააკაშვილზე, რათა მოხდეს ისეთი საარჩევნო სისტემის შექმნა, სადაც ყველა პოლიტიკურ პარტიას ექნება იმის შანსები, ხელისუფლებაში მოვიდეს კანონიერი გზით და არ შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ ვიღაცამ გაუყალბა არჩევნების შედეგები.

***— თქვენ დასავლეთი ახსენეთ და არ შემიძლია, რომ აქვე არ გკითხოთ ირაკლი ოქრუაშვილის და მისი პარტიის მიერ დაწყებული ანტიამერიკული კამპანიის შესახებ. ვის ინტერესებს ემსახურება ეს ყველაფერი?***

— რა თქმა უნდა, ეს ემსახურება ქართული პარტიის ინტერესებს. ოქრუაშვილმა დააფიქსირა და ეს ისედაც ჩანს, რომ საზოგადოებაში არსებობს გარკვეული გულაყრა დასავლეთის მიმართ, დასავლური ინსტიტუტებისა და განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ. ეს არის მცირე ნაწილი, მაგრამ საზოგადოებაში ეს განწყობა არის, რომ ეს არის თქვენი ამერიკა? ეს არის თქვენი დემოკრატია? ჩვენდა სამწუხაროდ, ქართველი საზოგადოების გარკვეული ნაწილი დემოკრატიას აიგივებს ამერიკასთან. ეს ცუდია იმიტომ, რომ დემოკრატია უფრო დიდი და ღრმა მოვლენაა, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატების ამა თუ იმ ადმინისტრაციის, განსაკუთრებით ბუშის ადმინისტრაციის პოლიტიკა, მაგრამ ამერიკელები ყოველთვის ცდილობენ დემოკრატიული ინსტიტუტების დამყარებას, თუმცა ამას ყოველთვის ვერ ახერხებენ. აი, ეს მომენტი დაიჭირა ოქრუაშვილმა. ის მიხვდა, რომ შეიძლება მოკრიფოს და აკრიფოს იმ ხალხის ხმები, ვისაც ამერიკა არ უყვარს. მან მოინდომა ანტიამერიკული განწყობის მითვისება. საქართველოში დღეს არის გამოკვეთილი ანტირუსული და ანტიამერიკული განწყობა. ოქრუაშვილმა ამაზე გაითამაშა, თუ შეიძლება ითქვას, მან ძალიან უხეშად ერთ სასწორზე დააყენა რუსეთი და ამერიკა, რაც ყოვლად დაუშვებელია.

***— იმ ფონზე, როდესაც დღეს დასავლეთი ხელისუფლებას აკრიტიკებს და საზოგადოების მხარესაა, რამდენად მომგებიანი იქნება ეს ნაბიჯი?***

— ღმერთმა ქნას, რომ მომგებიანი არ იყოს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ოქრუაშვილს ჩაუვარდება მის წარმოსახვაში არსებული ანტიამერიკული განწყობა. მან ყველაზე საშინელი რამ გააკეთა, მან რუსეთის და ამერიკის შედარების დროს, ამერიკა უფრო მძიმე დანაშაულში დაადანაშაულა. ანუ რუსეთმა ჩვენ წაგვართვა ტერიტორია, რაც თავისთავად დაბრუნებადია და მატერიალურია და უფრო მაღალი ღირებულებაა თავისუფლება. მან თქვა, რომ რუსეთმა წაგვართვა ტერიტორია და ამერიკამ — თავისუფლებაო. ეს ძალიან დიდი ბრალდებაა და აბსოლუტურად უსაფუძვლო და უსამართლო. თუ ვინმე საქართველოს მაინც ეხმარება, ეს არის ამერიკის შეერთებული შტატები. ამერიკის შეერთებული შტატების ბოლო ნაბიჯები, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნა, სადაც პირდაპირ არის ნათქვამი, საქართველოში არის გაქანებული კორუფცია, ელიტური კორუფცია და ყოველგვარი ილუზიები მოუსპო სააკაშვილს, რომ იტრაბახოს საქართველოში კორუფცია არ არისო. ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი გამოვიდა და მკაფიოდ შეახსენა, რომ მათთვის მთავარი არის დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა და ისინი მხარს არ უჭერენ რეჟიმებს და მთავრობებს. ისინი მხარს უჭერენ მხოლოდ ხალხს და ხალხის ნებას. ამ ფონზე, როდესაც არის უპრეცედენტო, ღია, საჯარო მხარდაჭერა შტატებისა ჩვენი სახელმწიფოს და ხალხის ნების მიმართ, უცებ ოქრუაშვილი გამოდის და სულ სხვა რაღაცას ლაპარაკობს. სულ სხვა ოპერიდან მღერის. ეს არის აშკარად გამწარებული ადამიანის ქცევა, როცა ის ხედავს, რომ ხელი მოეცარა და ვერ ახდენს მობილიზაციას იმ იდეის გარშემო, რომლითაც შეიქმნა პარტია, ამიტომ მას უნდა ახლა დამატებითი ქულების ჩაწერა არარსებულ ფაქტორზე. დღეს ამერიკა არანაირად არ ეხმარება სააკაშვილს. მე ძალიან მომეწონა, რომ ოქრუაშვილმა გააკეთა ანტიამერიკული განცხადება, ამით მან თავის თავი კარგად გამოააშკარავა. ლუსტრაცია მოახდინა თავის თავის. თავისთავად ანტიამერიკული განწყობა არ ნიშნავს პრორუსულს, მაგრამ რაც ყველაზე მეტად აწყობს რუსეთს, ის გააკეთა მან. იმიტომ, რომ რუსეთისთვის მთავარი მეტოქე რეგიონში არის ამერიკა და ოქრუაშვილმა პრაქტიკულად რუსეთის პოლიტიკას და რუსულ წისქვილს წყალი დაასხა. ამით კიდევ უფრო გააძლიერა საქართველოში პრორუსული ძალები. აი, ეს არის შედეგი და პოლიტიკოსი უნდა ფასდებოდეს იმ შედეგით, რასაც ის აღწევს. შედეგი არის ის, რომ მან თავისი ანტიამერიკული გამოხტომით გააძლიერა განწყობა პრორუსულ ბანაკში. აშკარად ჩანს, რომ კრიზისშია, საზოგადოების ყურადღება ვერ მიიპყრო, ვერ დაიპყრო ქართველთა გულები და ჩამოეკიდა პრორუსულ განწყობას.

---

## კუდ-მა საქართველოს მოქალაქის მძევლად აყვანის ბრალდებით თურქეთის მოქალაქეები დააკავა

შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა საქართველო-თურქეთის საზღვართან სპეცოპერაციის შედეგად დააკავეს თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეები მუჰამეტ ონდერი და მუსტაფა აიგიუნი, რომლებმაც თურქეთის ქალაქ არდაშენში, ცეცხლსასროლი იარაღების გამოყენებით და ძალადობის გზით მძევლად აიყვანეს საქართველოს მოქალაქე ემზარ ვაშაყმაძე და მის სიმამრს გოჩა წითელაძეს გამოსასყიდის სახით მოსთხოვეს 30 000 ამერიკული დოლარი. თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში კი დაემუქრნენ მძევლის ლიკვიდაციით.

დაკავებისას მუსტაფა აიგიუნმა შეირაღებული წინააღმდეგობა გაუწია სამართალდამცველებს და შეეცადა ცეცხლსასროლი იარაღიდან ორჯერ გასროლით მოეკლა გოჩა წითელაძე. დამნაშავეების დაკავების შემდეგ წარმატებით დასრულდა მძევლის გათავისუფლების ოპერაცია.

დანაშაული ითვალისწინებს 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. სისხლის სამართლის საქმეს იძიებს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი.

**მედიანიუსი**

---

## იგოეთთან ავტოსაგზაო შემთხვევას სამი ადამიანი ემსხვერპლა

თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალის იგოეთის მონაკვეთზე გუშინ საღამოს მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას სამი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

სამივე მათგანი საგზაო სამსახურის თანამშრომელია და უბედური შემთხვევის დროს ისინი საგზაო სამუშაოებს ასრულებდნენ.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მათ დაეჯახა ტრაილერი, რომელსაც აზერბაიჯანელი ეროვნების საქართველოს მოქალაქე მართავდა.

სამივე მათგანი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. ჯერჯერობით გარდაცვლილთა იდენტიფიკაცია ვერ მოხერხდა, რადგან ისინი იგოეთის მკვიდრნი არ არიან და სამივე მათგანს სხეულის მრავლობითი დაზიანებები აღენიშნება.

რაც შეეხება ტრაილერის მძღოლს, ის დაკავებულია და მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები.

**ინტერპრესნიუსი**

# რა მოხდა საჩხერეში

## რუსებმა ჯონჯოლის მოსაკრეფად წასული ახალგაზრდები დაჭრეს

გერა მამულაშვილი




საჩხერის რაიონში რუსმა სამხედროებმა ჯონჯოლის შესაგროვებლად წასული ქართველი ახალგაზრდები დაჭრეს. საქართველოს ხელისუფლება მომხდართან დაკავშირებით „მკაცრ რეაქციაზე" საუბრობს, თუმცა ეს „სიმშვიდის შენარჩუნებაში" და „საერთაშორისო თანამეგობრობის ინფორმირებაში" უნდა გამოიხატოს. ოპოზიციის შეფასებით კი, „საჩხერეში მომხდარმა ფაქტმა საკუთარი მოქალაქეების დაცვაში საქართველოს ხელისუფლების უსუსურობა დაადასტურა".

საჩხერის რაიონის სოფელ ჭალვანში მცხოვრებ ხუთ ახალგაზრდას სამხედრო ფორმაში ჩაცმულმა საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა ცეცხლი გუშინ დილით, დაახლოებით რვა საათზე გაუხსნეს. ინციდენტის შესახებ ოფიციალური განცხადება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა.

შსს-ს ინფორმაციით, 17, 21, 22, 26 და 27 წლის ახალგაზრდები საოკუპაციო ხაზის უშუალო სიახლოვეს, ჩონთოს ხეობაში ჯონჯოლის შეგროვების მიზნით იმყოფებოდნენ, რა დროსაც მათ დაკავებას სამხედრო ფორმაში ჩაცმული საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლები შეეცადნენ.

ახალგაზრდებმა გაქცევა სცადეს, თუმცა, სამხედრო ფორმაში ჩაცმულმა პირებმა მათ ცეცხლი გაუხსნეს.

სროლის შედეგად დაიჭრა ორი ახალგაზრდა, რომლებსაც გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდათ. მათ შორის, მძიმედ არის დაჭრილი ადგილობრივი სკოლის 17 წლის მოსწავლე.

— საჩხერის რაიონში დღეს დილით დაჭრილი ახალგაზრდის, გიორგი ლომსაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა კვლავ მძიმეა, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" საჩხერის რაიონულ საავადმყოფოში განუცხადეს, სადაც დაჭრილებს ოპერაცია უკვე ჩაუტარდათ.

— მას მუცლის არეში შემავალი ჭრილობა აქვს, ასევე კიდევ ერთი გამჭოლი ჭრილობა და მრავლობითი დაზიანება. ლომსაძის შემთხვევაში ტყვია გარეთ გამოვიდა, მეორე ახალგაზრდას კი ტყვია სხეულში დარჩა. ისიც მუცლის არეშია დაჭრილი. ლომსაძეს ნაწლავები აქვს დაზიანებული, ჯერჯერობით, მისი მდგომარეობა მძიმეა და შესაბამისი მკურნალობა ჩაუტარდება, — განაცხადეს რაიონულ საავადმყოფოში.

ამ ფონზე, ოსმა სეპარატისტებმა ხუთი ქართველი ახალგაზრდის დაჭრის და მათი მიმართულებით რუსი ოკუპანტების მიერ ცეცხლის გახსნის საკუთარი ვერსია გაავრცელეს, რომლის მიხედვითაც ქართველი ახალგაზრდები „სახელმწიფო საზღვრის დამრღვევები" არიან და მათი მიმართულებით „ცეცხლი დაუდგენელმა პირებმა მათივე განთავისუფლების მიზნით გახსნეს".

ამას გარდა, ოსური მხარე ასევე ავრცელებს ინფორმაციას აღნიშნული ინციდენტის დროს ოთხი ქართველი ახალგაზრდის, მათ შორის ერთი არასრულწლოვანის დაკავების შესახებაც.

— 18 მაისს საქართველოსთან არსებული სახელმწიფო საზღვრის დაცვის ღონისძიებების ჩატარებისას სამხრეთ ოსეთის უშიშროების სამსახურის სასაზღვრო დანაყოფმა ზნაურის რაიონის დასახლებულ პუნქტ ლოპანში საქართველოს მოქალაქეების ჯგუფი აღმოაჩინა, რომელიც სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე უკანონოდ იმყოფებოდა, — იუწყება ე.წ. სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტი ე.წ. სამხრეთ ოსეთის ე.წ. უშიშროების სამსახურის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაზე დაყრდნობით.

— მათი დაკავების მომენტში, სასაზღვრო დანაყოფის მიმართულებით, უცნობი პირების მხრიდან ცეცხლი გაიხსნა, რომელიც დაკავებულების გათავისუფლებას ისახავდა მიზნად. საპასუხო ცეცხლის გახსნის შემდეგ თავდამსხმელები გაიფანტნენ და საქართველოს ტერიტორიაზე მიიმალნენ, — იუწყება ოსური მხარე და აღნიშნავს, რომ დაკავებულია ოთხი საზღვრის დამრღვევი, რომელთა შორისაც ერთი არასრულწლოვანია.

— ამჟამად დაკავებულებთან საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს. არასრულწლოვანი კი უახლოეს დროში საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგებლებს გადაეცემათ, — იუწყება ოსური მხარე.

ოკუპანტების მხრიდან განხორციელებული ღია აგრესიას თბილისში აფასებენ. ქართული მხარე „მკაცრ რეაქციაზე" საუბრობს, რომელიც „უპირველესად სიმშვიდის შენარჩუნებას" გულისხმობს.

— საქართველოს ხელისუფლებას საჩხერის რაიონში რუსი ოკუპანტების მხრიდან ქართველი ახალგაზრდების დაჭერის ფაქტზე მკაცრი რეაქცია ექნება, — ამის შესახებ ჟურნალისტებს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ განუცხადა.

მისი შეფასებით, ეს უკვე დანაშაულია მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ და ბუნებრივია ქართულ მხარეს ექნება მაქსიმალურად მკაცრი რეაქცია, რომელიც თავის თავში გულისხმობს ასეთი პროვოკაციების დროს, უპირველესად, წესრიგისა და სიმშვიდის შენარჩუნებას.

— მკაცრ რეაქციაში ჩვენ ასევე ვგულისხმობთ საერთაშორისო თანამეგობრობის ინფორმირებულობას და მოთხოვნას, რომ მათ უფრო აქტიურად იმუშაონ რუსეთთან, რათა მიღწეული იქნეს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების შესრულება და გაიყვანონ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან საოკუპაციო ჯარები, რომ არ მოხდეს მოსახლეობის მიმართ მომავალში მსგავსი დანაშაულებრივი ქმედებები, — აღნიშნა ბაქრაძემ.

შინაგან სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი შოთა უტიაშვილი საჩხერის რაიონში მომხდარ ინციდენტს რუსეთის საოკუპაციო ძალების მხრიდან „არაადამიანურ" ქმედებად აფასებს.

უტიაშვილი ოკუპანტებს ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების სამუშაო ჯგუფის ფარგლებში მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების დარღვევაშიც ადანაშაულებს.

— არსებობს შეთანხმება, რომ როცა ადგილობრივი მცხოვრები წინასწარი განზრახვის გარეშე კვეთს ადმინისტრაციულ საზღვარს, მისი დაკავებაც კი არ შეიძლება არათუ ცეცხლის გახსნა. ისინი უნდა გააფრთხილონ და გამოაბრუნონ უკან, — განუცხადა უტიაშვილმა ჟურნალისტებს.

აღნიშნულის კონტექსტში, ის კიდევ ერთხელ მოუწოდებს საქართველოს მოქალაქეებს, „არაადამიანური რუსული ოკუპაციის პირობებში საოკუპაციო ხაზთან მიახლოებისგან თავი შეიკაონ".

— საჩხერის რაიონის სოფელ ჭალვანში საოკუპაციო ხაზთან მომხდარ ინციდენტში ევროკავშირის მისია და ყველა შესაბამისი ფორმატის წარმომადგენლები ოპერატიულად ჩაერთავებიან, — ამის შესახებ „პირველს" საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი კანდელაკმა განუცხადა.

მისივე თქმით, „დილით მომხდარი შემთხვევა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მოსკოვის მხრიდან მთელი რიგი შეთანხმებების დარღვევას აქვს ადგილი".

— ხალხს, რომელიც გადაწყვეტილებებს მოსკოვში იღებს, არ მოსწონს, როგორ ვითარდება საქართველო, არ მოსწონს ქვეყნის სწორ გზაზე დგომა. ეს ინციდენტი მოწმობს, რომ ჩვენ ფრთხილად უნდა ვიყოთ, შიდა ერთიანობა, სიმშვიდე და სტაბილურობა გვმართებს, — აცხადებს კანდელაკი.

მომხდარ ფაქტს პოლიტიკურ ოპოზიციაშიც ეხმაურებიან.

„თავისუფალი დემოკრატების" ლიდერის ირაკლი ალასანია შეფასებით, საქართველოს ხელისუფლება საკუთარი მოქალაქეების დაცვის საკითხში უსუსურია. სწორედ ხელისუფლების უსუსურობას უკავშირებს ალასანია სოფელ ჭალვანში მცხოვრები ქართველების დაჭრას.

— ეს არის შემზარავი ფაქტი, რომელიც კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ საქართველო არის ოკუპაციის ქვეშ. ამასთან, ეს ხაზს უსვამს იმასაც, რომ სააკაშვილი და მისი ხელისუფლება, აბსოლუტურად უსუსურია საკუთარი მოქალაქეების დაცვის საკითხში, — განუცხადა ალასანიამ ჟურნალისტებს.

მისივე შეფასებით, მომხდარი ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში არსებული დაძაბულობა საქართველოსთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს.

---

# ცოტნე გამსახურდიას საქმეზე არც ერთი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილეს



სააპელაციო სასამართლომ ცოტნე გამსახურდიას საქმესთან დაკავშირებით დაცვის მხარის არც ერთი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

როგორც გამსახურდიას ადვოკატამ ქეთი ბექაურმა „მედიანიუსს" განუცხადა, დაცვის მხარე სასამართლო პალატის თავმჯდომარე მზია ლომთათიძის, მოსამართლე გიორგი ჩემიას და პროკურორ შოთა რიჟამაძის აცილებას ითხოვდა

— გიორგი ჩემიას გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით, სტრასბურგის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გამო საზოგადოებაში ნდობა აღარ აქვს. ჩვენი აზრით, ის ვერც ცოტნე გამსახურდიას საქმის განხილვისას იქნება ობიექტური და მიუკრძოებელი. როგორც ცნობილია, სტრასბურგის სასამართლოს დასკვნაში აღნიშნულია, რომ ჩემიამ გირგვლიანის პროცესთან დაკავშირებით სამართლიანი სასამართლოს პრინციპი დაარღვია, — განაცხადა ბექაურმა და დასძინა, რომ სასამართლომ არც მისი შემდგომი შუამდგომლობა დააკმაყოფილა, რაც სასამართლო განხილვებზე პრესის წარმომადგენლების დაშვებას ითვალისწინებდა.

სააპელაციო სასამართლოში მომდევნო განხილვა 25 მაისისთვის ჩაინიშნა.

შეგახსენებთ, რომ ცოტნე გამსახურდიას 13 წლით თავისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი. თბილისის საქალაქო სასამართლომ მას ციხის თანამშრომლისათვის ქრთამის შეთავაზებაში დასდო ბრალი და წინა ბრალდების შესაბამისად დარჩენილ 8 წელს კიდევ 5 წელი დაუმატა.

გამსახურდიას ადვოკატებმა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს.

**მედიანიუსი**

---

# კომერციული ცენტრი „ლილო მოლი" გაიხსნა

ლილოს ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე კომერციული ცენტრი "ლილო მოლი" ბაზრობის გენერალურმა დირექტორმა გია კვარაცხელიამ, ვიცე მერ მამუკა ახვლედიანთან და უამრავ სტუმართან ერთად გახსნა.

სავაჭრო ცენტრის გახსნასთან დაკავშირებით, ბაზრობის ტერიტორიაზე უამრავი ღონისძიება მოეწყო. ტერიტორიაზე ეროვნული ჰიმნის თანხლებით, საქართველოს დროშები აღიმართა. დროშა აღმართა "ლილო მოლის" გენერალურმა დირექტორმა კვარაცხელიამ.



სტუმრებმა დაათვალიერეს სამხატვრო აკადემიის სტუდენტების მიერ მოხატული კედელი. ასევე, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა "ლილო მოლის" ტერიტორიაზე კომპანიის 20 წლის იუბილისადმი მიძღვნილი მონუმენტი და სწრაფი კვების ობიექტი "მოლბურგერი".

საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ადმინისტრაციის შენობაც. ჩატარდა ასევე კონცერტი, რომელშიც "ჯეოსტარის" ვარსკვლავები მონაწილეობდნენ.

საღამოს სტუმრებისთვის "ივენთ ჰოლში" მიღება გაიმართა, სადაც დამფუძნებლებმა კომპანიის ახალი ლოგო, სლოგანი და მონუმენტის პროექტის გამარჯვებული ავტორები წარადგინეს. ამავე შეხვედრაზე მოეწყო მომავალი პროექტის წარდგენა. სიტყვით გამოვიდა ბიზნესასოციაციის პრეზიდენტი. საღამო ქართული ესტრადის ვარსკვლავების კონცერტით დასრულდა.






დღევანდელი ღონისძიებით დაიწყო ახალი პროექტის განხორციელება, რომლის მიხედვითაც, 2 წელიწადში ლილოს ბაზრობის ტერიტორია მთლიანად განახლდება. ძველის ნაცვლად უამრავი კომერციული ფართი აშენდება. "ლილო მოლის" ტერიტორიაზე იგეგმება უამრავი რესტორნისა და სწრაფი კვების ობიექტების გახსნა.

როგორც "ლილო მოლის" ადმინისტრაცია განმარტავს, პროექტი საბოლოო სახეს 3 წელიწადში მიიღებს.

---

# ქუთაისში „თავისუფალი საქართველოს" რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე დააკავეს

პარტია „თავისუფალი საქართველოს" ქუთაისის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე გოგი წულაია საპატრულო პოლიციამ დააკავა, — აცნობეს „მედიანიუსს" ამ პარტიიდან.

წულაია გუშინწინ ქუთაისში საპროტესტო აქციაზე დააკავეს.

კახა კუკავას პარტიის შეფასებით, აღნიშნული ფაქტი წარმოადგენს ხელისუფლების მხრიდან რეპრესიების გაგრძელებას იმ ადამიანების მიმართ, ვისაც გააჩნია განსხვავებული აზრი და საკუთარ პროტესტს გამოთქვამს არსებული რეჟიმის წინააღმდეგ.

როგორც „მედიანიუსს" თავისუფალი საქართველოდან„ აცნობეს, რამდენიმე დღის, წინ გოგი წულაიამ ქუთაისში გამართა ბრიფინგი, სადაც გააკრიტიკა ხელისუფლება „სახალხო კრების" აქტივისტების დაკავების გამო. ამჟამად გოგი წულაია გადაყვანილია ქუთაისის პოლიციის დროებითი დაკავების იზოლატორში.

**მედიანიუსი**

---

# სტეფან კოენის მკვლელობაში ბრალდებულს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

თბილისში სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" ფრანგი სტეფან კოენის მკვლელობაში ბრალდებულს ედგარ მკრტიჩიანს სასამართლომ დღეს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და 2000 ლარიანი ჯარიმა დააკისრა.

როგორც „მედიანიუსს" სტეფან კოენის ოჯახის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა არჩილ კბილაშვილმა განუცხადა, აღნიშნული განაჩენის გამოტანისას სასამართლო მეტისმეტად მკაცრი იყო.

— არასრულწლოვანს სასამართლომ განძრახ მკვლელობის მუხლით 11 წლით და სამი თვით, ხოლო ქურდობისათვის — სამი წლით და ცხრა თვით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. გარდა ამისა, დამნაშავეს ცივი იარაღის უკანონო ტარებისათვის 2000 ლარიანი ჯარიმის გადახდაც დაეკისრა, — განაცხადა კბილაშვილმა და დასძინა, რომ სასამართლო ვალდებულია, რომ ორ კვირაში დაწეროს დასაბუთებული განაჩენი, რატომ მივიდა ამ დასკვნამდე. ხოლო დაცვის მხარეს სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება დღეიდან ერთი თვის განმავლობაში შეეძლება.

ადვოკატი ვარაუდობს, რომ დაცვის მხარე განაჩენს გაასაჩივრებს, რის შემდეგაც სასამართლო პროცესი საჯარო გახდება იმ მიზეზით, რომ იმ დროისათვის მსჯავრდებული სრულწლოვანი იქნება.

ედგარ მკრტიჩიანს 18 წელი 24 მაისს უსრულდება. ედგარ მკრტიჩიანის ადვოკატი ნინო კაკაურიძე ,,მედიანიუსთან„ საუბარშა აცხადებს, რომ ამ ეტაპზე არ არის გადაწყვეტილი, გაასაჩივრებს თუ არა დაცვის მხარე სასამართლოს გადაწყვეტილებას.

— ეს მისი ოჯახის გადასაწყვეტია. როგორც კი სასამართლო დაცვის მხარეს განაჩენს გადაუგზავნის, ოჯახი გადაწყვეტს, გაასაჩივროს თუ არა განაჩენი, —აღნიშნა კაკაურიძემ.

შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის მოქალაქე სტეფან კოენი მიმდინარე წლის 27 იანვარს სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" საკუთარ ნომერში მოკლული იპოვეს. კოენი ფრანგულ კომპანია „სისტრას" ინჟინერი იყო.

კოენი თბილისში მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე ჩამოვიდა. მის კომპანიას თბილისის მერიასთან ერთად, სატრანსპორტო მარშრუტების რეგულაციის პროექტი უნდა განეხორციელებინა.

მკვლელობაში ეჭვმიტანილი არასრულწლოვანი პოლიციამ იმ დღესვე დააკავა. გამოძიება საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით მიმდინარეობდა.

**მედიანიუსი**

# ამერიკა სააკაშვილს არ უპირისპირდება

## ოქრუაშვილმა ქართველი ხალხის სახე გამოაჩინა



თეა მარხვაი ე

**ქართველი პოლიტიკოსების დიდი ნაწილი ამერიკის კრიტიკას პირად შეურაცხყოფად მიიჩნევენ. ამის ნათელი მაგალითი ჩვენ გასულ კვირას ვნახეთ. ქართული პარტიის მხრიდან აშშ-ს გაკრიტიკებას აქ დიდი აურზაური მოჰყვა. რატომ ეტრფიან ასე ალიან ქართველები ამერიკას და რაზე მიუთითებს ეს ტრფიალი, ამის შესახებ „ახალ თაობას“ პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი ესაუბრება.**

ჰამლეტ ჭიპაშვილი:

— ეს ყველაფერი მარტო მონური ფსიქოლოგიის ბრალი არ არის. აქ მთავარი სხვა რამე უნდა იყოს. ეს პოლიტიკოსები ამერიკიდან რაღაცას მოელიან. შეიძლება უკვე აქვთ მიღებული პატარ-პატარა სათამაშოები ფულის სახით. ჩვენი ოპოზიციის დიდი ნაწილი იკვებება ამერიკიდან. იქ დადიან სტაჟირებაზე. ყოველთვე თუ არა, თვეში ერთხელ მაინც ამერიკაში არიან. ოპოზიციას იგივე საგარეო კურსი აქვს აღებული, რაც ხელისუფლებას. ამდენად, ძალიან ძნელია ამათზე თქმა იმისა, რომ ისინი არიან ოპოზიციონერები. ყველაზე სახიფათო კი მონური ფსიქოლიგიაა. ოპოზიციაც და ხელისუფლებაც შეყვარებულია ამერიკაზე. თან ისე, რომ მათ ამ სიყვარულს ვერავინ და ვერაფერი გაუნელებს.

***— ასე რამ შეაყვარა ან ერთს ან მეორეს ამერიკა?***

— აქ მოხდა ძალიან საინტერესო რამე. ამერიკელებმა ალღო აუღეს ქართულ მენტალიტეტს. ისინი შესანიშნავად ახორციელებენ თავიანთ გეგმას.

***— რა გეგმაზე საუბრობთ?***

— ამას ჰქვია კავკასიაში ერთი პატარა უმნიშვნელო ქვეყნის დამონება. ეს ყველაფერი კეთდება ძალიან დაბალ ფასად, ძალიან პრიმიტიულად და მიზანმიმართულად. სამწუხაროდ, ამას ქართველი კაცი ვერ ამჩნევს. მე ირაკლი ოქრუაშვილის და ლევან გაჩეჩილაძის გულშემატკივარი არ გახლავართ, მით უმეტეს, ეროსი კიწმარიშვილის. ამათ გადაწყვიტეს ამერიკის საელჩოსთან გაემართათ საპროტესტო აქცია. როგორც კი ეს ინფორმაცია გაჟღერდა, ხელისუფლება და ოპოზიცია ერთმანეთს ასწრებდა. ყველამ ოფიციალურად დაწიხლა ოქრუაშვილი. ყველამ ოფიციალურად აგინა და ლანძღა მისი იდეა. ვითომ ეს საკმარისი არ იყო, მათ დაემატნენ არასამთავრობო ორგანიზაციები. მოკლედ, იყო ერთი ჭიაკოკონა. ყველა იმას გაიძახოდა, როგორ გაბედა ოქრუაშვილმა ჩვენი მეგობრისა და სტრატეგიული პარტნიორის აუგად ხსენებაო.

***— სამაგიეროდ, ამერიკის ელჩმა იჯიგრა და ძალიან ნორმალური განცხადება გააკეთა.***

— ჯონ ბასმა განაცხადა, რომ თავისი მოსაზრების გამოხატვა ყველას შეუძლია. ელჩის ამ განცხადებას მოჰყვა ოქრუაშვილის წარმოუდგენელი ლანძღვა-გინება. კიდევ კარგი, რომ ირაკლი ოქრუაშვილმა ასეთი რაღაც თქვა.

***— კიდევ კარგი რატომ?***

— იმიტომ, რომ მისმა განცხადებამ გამოავლინა ქართველის ნაღდი სახე.

***— როგორია ქართველის ნამდვილი სახე?***

— ეს არის მონა, რომელიც ეთაყვანება სალეჭ რეზინას. მას ფეხებზე კიდია საქართველო, თავისი თავიც... ეს განცხადებები მართლა საშინელება იყო. ამბობდნენ, თუ ასე უნდათ, წავიდნენ და ოკუპანტი რუსეთის საელჩოსთან გააკეთონ აქციაო.

***— ისე, ურიგო არ იქნებოდა, რუსეთის საელჩოსთანაც თუ მოაწყობდნენ აქციას. სხვა თუ არაფერი, ამ ქვეყანამ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინა.***

— კეთილი და პატიოსანი, რუსეთმა ჩვენი ტერიტორიების ოკუპაცია მართლაც მოახდინა. მოდით ისიც გავიხსენოთ, კონფლიქტი, რომელსაც ტერიტორიების ოკუპაცია მოჰყვა, ვის მიერ იყო ინიცირებული. ეს ინიცირებული იყო ქართული მხარის მიერ. კონფლიქტის გაჩაღების ინიციატივა ეკუთვნის პირადად მიხეილ სააკაშვილს. საქართველოს პრეზიდენტი ამას არ გააკეთებდა, ამერიკის მხარდაჭერა რომ არ ყოფილიყო, ის ამ ნაბიჯს არ გადადგამდა. ქართველი კაცი იმდენად ბრიყვი გამოდგა, რომ ამის ანალიზის თავი და უნარიც არა აქვს. დაკარგული ტერიტორიები არაფრად მიაჩნია. თვლის, რომ ის ორი კაპიკია მთავარი, რასაც ამერიკა აძლევს. ზოგიერთმა იცით რა თქვა დაკარგულ ტერიტორიებზე, რა მოხდა, იქ მაინც არ ვრცელდებოდა საქართველოს იურისდიქციაო.

***— ოქრუაშვილი, რომელიც ახლა ამერიკას მიახტა, თავის დროზე ამერიკის ფანი იყო. რუსეთთან საქმე მისმა როყიო განცხადებებმაც გაგვიფუჭა. ახლა რამ გაუნათა გონება?***

— მე ამ ადამიანის არც გულშემატკივარი ვარ და არც მისი პარტიის. ამის მიუხედავად, ვეთანხმები, რომ ამერიკის საელჩოსთან აქცია გამართულიყო. თავი და თავი საქართველოში მომხდარი უბედურებისა არის ამერიკა.

***— რუსეთი არ არის ამ უბედურებების მონაწილე?***

— რუსეთი აქ არაფერ შუაშია. აქ შუაში, თავსა და ბოლოშიც არის ამერიკა. გვახსოვს, მათი წინა პრეზიდენტი რა დღეში იყო. მან ზეცაში აიყვანა სააკაშვილი.

***— დემოკრატიის შუქურას რომ შეადარა, ეგ გაქვთ მხედველობაში?***

— მარტო შუქურისთვის რომ შეედარებინა, რაღა გვიჭირდა. მე გაგახსენებთ იმასაც, რაც ჰილარი კლინტონმა და მაკკეინმა გააკეთეს, რომელიც პატივცემული მიხეილის ძმა და მეგობარია, ვისთვისაც ფაქტიურად მოხდა 2008 წლის ომი.

***— ამ ვერსიას თქვენც ეთანხმებით? ცოტა გადაჭარბებული ხომ არ არის ასეთი შეფასება?***

— ეს არის რეალური ფაქტი. ამის შესახებ ყველამ იცის. ეს ომი დაიწყო იმიტომ, რომ მაკკეინის რეიტინგი აწეულიყო. 2008 წელს ამერიკაში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. მიხეილის მეგობარს დაბალი რეიტინგი ჰქონდა. ომის დროს მან ანტირუსული განცხადებები გააკეთა. ამას მისი რეიტინგის მკვეთრი ზრდა მოჰყვა. ომი რომ მაკკეინის გულისთვის დაიწყო, ამაზე განცხადება დიდი ბრიტანეთის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმაც გააკეთა. ახლა ისევ იმას დავუბრუნდები, რაც სააკაშვილს კლინტონმა და მაკკეინმა გაუკეთეს. მათ მიხეილი წარადგინეს ნობელის პრემიაზე. საზოგადოებას თუ დაავიწყდა ეს ამბავი, მე ძალიან კარგად მახსოვს. დღეს ზოგიერთ პოლიტიკოსს გადმოგდებული აქვს ენა და ამბობს, რომ ამერიკამ სააკაშვილის მიმართ დამოკიდებულება შეცვალა. თეთრი სახლის დღევანდელი ადმინისტრაცია თურმე სააკაშვილს აკრიტიკებს.

***— არ აკრიტიკებს?***

— ეს რა კრიტიკაა? ამერიკამ სხვანაირი გაკრიტიკება იცის.

***— როგორი სხვანაირი? იქნებ დაგვიკონკრეტოთ.***

— როცა ამერიკას ვინმე არ მოსწონს, კი არ აკრიტიკებს, არამედ ბომბავს. ამერიკას მიხეილი რომ აღარ მოსწონდეს, დღეს ის კადაფის დღეში იქნებოდა ჩავარდნილი. ამერიკა დღესაც მხარს უჭერს სააკაშვილს. კლინტონი დღეს აშშ-ს სახელმწიფო მდივანია. ჩვენი პოლიტოკესები არიან ბრიყვები. ანალიზის ელემენტარული უნარი არა აქვთ. უნარი რომც ჰქონდეთ, ამერიკაზე ცუდს როგორ იტყვიან. ამერიკისას სჭამენ, ამერიკისას სვამენ.... აბა, ახლა ალასანია ან უსუფაშვილი გააკრიტიკებს ვაშინგტონს. ესენი ყველანი ამერიკამ იყიდა.

***— იმასაც ამბობენ, რომ ოპოზიციის ნაწილი რუსეთმა იყიდაო.***

— რუსეთს არავის ყიდვის სურვილი არ ჰქონია. ამ ყიდვაზე ერთი სასაცილო რამ გამახსენდა. ჩვენი ხელისუფლება ამბობს, რუსეთი ბევრ ფულს იხდის, სხვადასხვა ქვეყნებმა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რომ აღიარონო. ესენი იმასაც ვერ ხვდებიან, რუსეთს აწყობს, რომ რაც შეიძლება ნაკლებმა ქვეყანამ აღიაროს აფხაზეთი და სამაჩაბლო.

***— რატომ არ აწყობთ, მომავალში ვინმემ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკები რომ არ აღიაროს?***

— ჩვენ ხომ ვამბობთ, რომ რუსეთს ამ ტერიტორიების მიერთება სურს. ასეთ შემთხვევაში რაში სჭირდება სხვა ქვეყნებმა აღიარონ. ეგღა აკლია, თავის საწინააღმდეგო საქმეში ფული დახარჯონ. რუსეთს თავისი გეგმები აქვს, ისევე, როგორც ამერიკას. რომელის დასაცავადაც იმ დღეს ლამის მთელი საქართველო დაირაზმა. მთელ მსოფლიოში წვავენ ამერიკის დროშებს. მათ შორის მის პარტნიორ ქვეყნებში. იქნება ეს გერმანია, იტალია თუ საფრანგეთი. აგინებენ კიდეც და აქციებსაც აწყობენ, მაგრამ ამის გამო იმ ხალხს სამშობლოს მოღალატეს არავინ ეძახის. ჩვენ კი ამერიკის მიმართ მონური დამოკიდებულება გვაქვს. მონებს კი, როგორც წესი, პატივს არ სცემენ. ბოდიშს ვითხოვ შეფასებისთვის, მაგრამ უკანალში შეძრომას არავინ არ მოუწონებს საქართველოს, რადგანაც ძალიან კარგად იციან შესაძრომმა ობიექტებმა, რომ შემძრომი სხვასაც შეუძვრება. სამწუხაროდ, ჩვენ სულ ვილაცას ვუძვრებოდით. ჩვენს ისტორიას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რა დონის შეძრომასთან გვაქვს საქმე.

***— იქნებ მაშინ ქართველებს სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ?***

— გამოსავლის პოვნა ყოველთვის შეიძლება. ადრე შეიძლება არ ჰქონდათ გამოსავალი, მაგრამ ახლა? ახლა რა აუცილებელია ამერიკის ლაქუცი. როგორ შეიძლება იმ ქვეყანას შეუძვრე, რომელიც არ გეხმარება.

***— როგორ არ გვეხმარება? ამერიკა საკმაოდ სერიოზულ დახმარებას გვიწევს ჯარის აღმშენებლობაში.***

— მერე ვისთვის აკეთებს ამას? საკუთარი თავისთვის. ჩვენი სამხედროები იმიტომ გაწვრთნა, რომ ავღანეთსა და ერაყში უკრას თავი. 2008 წლის აგვისტოს ომი მათი წაქეზებით დავიწყეთ, როცა საშინელ დღეში ჩავვარდით, არანაირი დახმარება არ აღმოგვიჩინეს.

***— ფინანსურად ხომ დაგვეხმარნენ? 4,5 მილიარდი დახმარება ხომ მივიღეთ?***

— ეს დახმარება მივიღთ, მაგრამ მოდი ვნახოთ, ვინ დადო ფული. აქედან ამერიკამ მხოლოდ მილიარდნახევარი დადო. დანარჩენი ფული ევროპას დაადებინა. ამ ფულის უდიდესი ნაწილი სააკაშვილის და ხელისუფლების ჯიბეებში წავიდა. ქართველმა ხალხმა კი ვირის თავ-ფეხი მიიღო. ამის მიუხედავად, მაინც ამერიკაზე ვგიჟდებით. გავიძახით, პარტნიორი ქვეყანაა და მისი აუგად ხსენება როგორ შეიძლებაო. როგორც უკვე გითხარით, მთელ მსოფლიოში წვავენ ამერიკის დროშებს. ამის გამო არავის არ მოუვა თავში ვინმეს კრიტიკა. ჩვენთან კი ირაკლი ოქრუაშვილი კინაღამ ჩაქოლეს ამერიკის სამართლიანი კრიტიკის გამო. ეს ძალიან დიდი უბედურებაა. ეს არის შეძრომა. ისე ამ ამერიკის შეძრომით თავს ნუ მოვიკლავთ, რადგანაც მალე სხვა შესაძრომი ობიექტი გამოჩნდება ასპარეზზე.

***— რას გულისხმობთ?***

— ამერიკელი სპეციალისტების გათვალებით მალე მსოფლიოს უძლიერესი ქვეყანა გახდება ჩინეთი. 15 წლის შემდეგ ჩინეთი ეკონომიკის და სამხედრო სიძლიერის თვალსაზრისით ბევრად გაუსწრებს ამერიკას. ეს სახუმარო ამბავი არ არის. არ დაგვავიწყდეს, რომ ჩინეთში ბევრად მეტი ხალხი ცხოვრობს, ვიდრე ამერიკაში. ჩინეთის გაძლიერება ძალიან სარისკოა. ჩვენი პოლიტიკოსები ალბათ ცოტა ხანში ჩინეთთან დაიწყებენ შეძრომას. თუმცა მეეჭვება, იმ დროისთვის შემძრომი დარჩეს ვინმე საქართველოში.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ დემოგრაფიული თვალსაზრისით საშინელ დღეში ვართ. თუ არაფერი შეიცვალა, 15-20 წლის შემდეგ ძალიან მძიმე სურათი იქნება საქართველოში. ისედაც მცირერიცხოვანი ერი, კიდევ უფრო მცირერიცხოვანი გახდება. ამერიკის უკანალში ძრომას ჩვენს პოლიტიკოსებს ურჩევნიათ ამ პრობლემებზე იფიქრონ. საქართველოს ბევრი პრობლემა აქვს.

**ССИП ГРИГОЛ** 

## სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად:

1. მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და საბადოთა მიწისქვეშა დამუშავების განყოფილება
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი 0,5 საშტატო ერთეული
2. წიაღისეულის გამდიდრების, მაღალტექნოლოგიური მასალებისა და სამთო ნარჩენების გადამუშავების განყოფილება
მეცნიერი თანამშრომელი 1 საშტატო ერთეული.

უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუ□ლია პირს, თუ იგი არის დოქტორი ან აქვს მასთან გათანაბრებული ხარისხი.

მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუ□ლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.

**კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთონ:**

ა□ განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
ბ□ განმცხადებლის ავტობიოგრაფია;
გ□ შესაბამისი აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
დ□ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები (მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში□;
ე□ ერთი სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;
ვ□ სამეცნიერო□კვლევითი სამუშაოების ჩამონათვალი (მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში□;
ზ□ სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი;
თ□ პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი.
ი□ შესაბამისი დარგის სამი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეი□ლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ფაქსი, ელ. ფოსტა, მისამართი□;

საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ გ. წულუკი□ის სამთო ინსტიტუტში, მისამართი: ქ. თბილისი, ე. მინდელის №7, (10 სთ-დან □17 სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა□.

**საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2011 წლის 3 ივნისი.
კონკურსი ჩატარდება 2011 წლის 6 ივნისს.**

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:
ტელ: 32 47 16; 32 59 90; 32 91 16.
www.mining.org.ge

*სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის დირექცია*

## საქართველოში საარსებო მინიმუმი ოთხსულიანი ოჯახისთვის 256 ლარია, ხოლო აშშ-ში ერთსულიანი ოჯახისთვის — 1450 ლარი

პოლიტიკური გაერთიანება „თეთრების“ ლიდერმა თემურ შაშიაშვილმა დღეს მედიას ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ეკონომიკური და სოციალური პროცესების ანალიზი გააცნო.

როგორც თემურ შაშიაშვილმა სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გამართულ პრეზენტაციაზე განაცხადა, კვლევისთვის საჭირო მასალებად გამოყენებულია ოფიციალური მონაცემები, სტატისტიკის დეპარტამენტისა და სახელმწიფო სტრუქტურების მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები და აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემები.

კვლევების მიხედვით, საარსებო მინიმუმი ოთხსულიანი ოჯახისთვის არის 256 ლარი, ხოლო აშშ-ში ერთსულიანი ოჯახისთვის — 1450 ლარი.

როგორც შაშიაშვილმა განმარტა, ამ გაანგარიშებით ხელისუფლება აღიარებს, რომ რიგით ქართველს შეუძლია 22.7-ჯერ ნაკლები დანახარჯით შეინარჩუნოს ჯანმრთელობა, დაიკმაყოფილოს სულიერი და კულტურულ-საგანმანათლებლო მოთხოვნები, დაიცვას ჰიგიენური ნორმები და გადაიხადოს კომუნალური გადასახადები, ვიდრე ეს ამერიკაშია შესაძლებელი.

კვლევების მიხედვით საქართველოს მოქალაქის საშუალო ხელფასი 1986 წელს 180 მანეთს შეადგენდა, რითიც მას 90 კილოგრამი ხორცის ან 90 კილოგრამი პურის ან 900 ლიტრი ბენზინის და ან 600 ცალი სახელმძღვანელოს ყიდვა შეეძლო. 2010 წლის მონაცემებით, საშუალო ხელფასი 420 ლარს შეადგენს, რითიც მნიშვნელოვნად შემცირებულია მისი მსყიდველობითი უნარიანობა.

თემურ შაშიაშვილის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით საზოგადოების ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯებით რეიტინგში 170 ქვეყანას შორის საქართველო იემენთან, ტოგოსთან და ერითრიასთან ერთად 149-152-ე ადგილზეა. ეკონომიკური განვითარების დონით კი პოსტსაბჭოთა 15 სახელმწიფოს შორის მე-11 ადგილზე.

როგორც შაშიაშვილმა განმარტა, 2003 წლიდან 2010 წლამდე საქართველოში სურსათზე ფასებმა 120 პროცენტით მოიმატა, ბუნებრივი აირის ფასი 4-ჯერ გაიზარდა, ელექტროენერგიის ღირებულებამ კი 1.6-ჯერ მოიმატა. ამრიგად, 2010 წლის დეკემბრის პენსიის მსყიდველობითი უნარი 2003 წლის დეკემბრის ფასებთან მიმართებით, მხოლოდ 40-42 ლარის ეკვივალენტურია.

კვლევაში გამოყენებულია როგორც ოფიციალური დოკუმენტები, ასევე სპეციალისტებისა და ექსპერტების — ლადო პაპავას, პაატა კოღუაშვილის, თენგიზ ურუშაძის, ანზორ თოთაძის და სხვათა 2010-2011 წლებში გამოთქმული და გამოქვეყნებული მოსაზრებები და შეხედულებები.

**მედიანიუსი**

შედით საიტზე atb.ge

## ჯონდი ბაღათურია სოფელ ლემშვენიერას მოსახლეობას შეხვდა



„ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია გარდაბნის რაიონში, სოფელ ლემშვენიერას მოსახლეობას შეხვდა.

პარტიის პრესსამსახურის ინფორმაციით, ბაღათურია მოსახლეობის წინაშე მდგარ სოციალურ პრობლემებს გაეცნო და მათ საკუთარ სამოქმედო გეგმასა და პროექტებზე ესაუბრა.

კერძოდ, პარტიის ლიდერმა მოსახლეობას გააცნო პროექტი სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ, პროექტები 540 ათასზე მეტი მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილის შექმნის, დაგროვილი კომუნალური გადასახადებისგან მოსახლეობის გათავისუფლების, უსამართლოდ დაპატიმრებულების გათავისუფლებისა და იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს პენსიის გაზრდა 100 დოლარამდე.

სოფელ ლემშვენიერაში მოსახლეობას, მრავალ სოციალურ პრობლმასთან ერთად, სარწყავი წყლით უზრუნველყოფის საკითხი აწუხებს.

მოსახლეობის თქმით, იმ შემთხვევაში თუ სარწყავი წყლის საკითხი არ გადაიჭრება, სოფელი მოსავლის გარეშე დარჩება და ხალხს შიმშილი დაემუქრება.

დეპუტატი მოსახლეობას აღნიშნული პრობლემის მოგვარებას უახლოეს მომვალში დაპირდა.

**ინტერპრესნიუსი**

## გაეცანით ჭედურ ხელოვნებას

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით 19 მაისს საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, ანტიკვარული ნივთების კოლექციონერის ბრონისლავ გოკიელისა და ჭედური ხელოვნების ოსტატის შალვა ბაბუხადიას ნაჩუქარი კოლექციების პრეზენტაცია გაიმართება. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება მინიატურული სკულპტურები, ილუსტრაციები, პორტრეტები, ძვლის მასალით შესრულებული ნივთები.

შალვა ბაბუხადიას კოლექციაში სულ 2.000□მდე ძვალზე შესრულებული ექსპონატი ინახება, მათგან 500 ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმშია დაცული. შალვა ბაბუხადიას მიერ შექმნილი ჭადრაკის ფიგურები, სასმისები, სამკაულები, პოეტებისა და მწერლების 49 პორტრეტი პირველად გამოიფინება საზოგადოების წინაშე. ბრონისლავ გოკიელმა კი პირადი ანტიკვარული ნივთების კოლექციიდან მუზეუმს უამრავი ექსპონატი შესწირა. იტალიური მაგიდა, ჩინური და იაპონური ლარნაკები, უძველესი ჭურჭელი და კიდევ სხვა უამრავი ანტიკვარული ნივთი მისი დამსახურებით დღეს სწორედ საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმში იყრის თავს და დამთვალიერებელს ელოდება.

მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მუზეუმებში, მუზეუმ-ნაკრძალებსა და სახლ-მუზეუმებში დამთვალიერებელთა შესვლა თავისუფალი იყო. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მუზეუმ-ნაკრძალებში სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიება გაიმართა. სააგენტოს გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალს ეწვია. უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალში, ქვაში ნაკვეთ კომპლექსში წარმოქმნილი ბზარების ინექტირება ძველი ტრადიციული მასალით მიმდინარეობს. ადგილზე უკვე დამონტაჟებულია უძველესი სარესტავრაციო მასალის დამამზადებელი წისქვილები. წლის ბოლომდე განხორციელდება უფლისციხის გალავნის კედლის, დიდი გალავნის, თეატრონის, მაყვლოვანში ქურუმების დარბაზის, უფლისციხის უძველესი აფთიაქისა და თამარის დარბაზის დაზინებული კედლების კონსერვაცია. უკვე მოწყობილია ტურისტების უსაფრთხოებისთვის აუცილებელი დამცავი ჯებირები, საინფორმაციო დაფები, სამახსოვრო ბილეთები და გამოცემულია ორენოვანი გზამკვლევი.

მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მუზეუმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ჩატარდა სახელწოდებით „მოგზაურობა ხელნაწერთა სამყაროში“. მას ცნობილი ადამიანები ოჯახებით დაესწრნენ. აღნიშნული ტური და შესაბამისად დაგეგმილი საინფორმაციო კამპანია ხელს შეუწობს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ოჯახური ვიზიტის პრაქტიკის დამკვიდრებას. პროექტის მიზანია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული კულტურული მემკვიდრეობის სოციალიზაცია, ხელნაწერი მემკვიდრეობის მოვლისა და შესწავლის აუცილებლობის გააზრების ხელშეწყობა. საექსკურსიო ტური განიხილება, როგორც შემეცნებითი მოგზაურობა წარსულსა და აწმყოში ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სივრცის ფარგლებში.

მუზეუმის კვირეული 17-დან დაიწყო და 25 მაისის ჩათვლით გაგრძელდება. ამ კვირეულის ფარგლებში საქართველოს ეროვნული მუზეუმის იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმში წარმოდგენილია გამოფენა „გერმანელი მხატვრების მიერ დანახული თბილისი“. ექსპოზიციაზე გამოტანილია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული გერმანელი მხატვრების 70-მდე ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები. საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციის ხელოვნების ეს ნიმუშები საჯაროდ პირველად გამოიფინა. გამოფენა „გერმანული დღეები თბილისში“ ფარგლებში იმართება, პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდისა და საქართველოში გერმანიის საელჩოს დახმარებით. აღნიშნული პროექტი პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდის (ბერლინი) და საქართველოს ეროვნული მუზეუმის მჭიდრო თანამშრომლობის შედეგია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „თვინინგის“ პროექტის ფარგლებში.

## ბესარიონ აპლია: „ქართველების და ბერძნების სახით საერთო მტრები გვყავს“

გერა მამულაშვილი

**„სოხუმელ ეპისკოპოს“ ბესარიონ აპლიასთან ინტერვიუს რუსული გამოცემა „ვზგლიადი“ აქვეყნებს. მასალას შემოკლებით გთავაზობთ.**



***— მამა ბესარიონ, რით არის გამოწვეული აფხაზი სასულიერო პირების გადაწყვეტილება შექმნან საკუთარი მიტროპოლია? მართალია, რომ მიზეზი შემთხვევითი იყო — კამათი მონასტერში მოსკოვიდან წარგზავნილთან?***

— არანაირი დავა-კამათი არ ყოფილა. ახალი ათონის მონასტერში შეკრება — ეს უბრალოდ, ახალგაზრდა სასულიერო პირების დაუმორჩილებლობის გამოვლინებაა, რომლებსაც მართლმადიდებლობასთან არანაირი კავშირი არ აქვთ. მათში მონასტრული არაფერი არ არის. ის, რაც იქ მოაწყვეს, კომკავშირლების შეკრებას ჰგავდა, პარტიულ შეკრებამდეც კი ვერ ქაჩავს. მიზეზი კარიერიზმი, პატივმოყვარეობაა. ისინი მართლმადიდებლურ წესებს და კანონებს არღვევენ. არქიმანდრიტი დოროფეი დბარიც და ანდრეი ამპარიც რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღში არ არიან. ერთს აუკრძალეს, მეორე ჩამოაშორეს. ეს არის ადამიანების ჯგუფი, რომელიც ხალხის სახელით შეიკრიბა და შეუთავსებელი განცხადებები გააკეთა.

***— მიუხედავად ამისა, კრებას ათას ხუთასზე მეტი ადამიანი ესწრებოდა. ეს ნიშნავს, რომ მათ მორწმუნეებს შორის მხარდაჭერა მაინც აქვთ...***

— მორწმუნეებს შორის არანაირი განხეთქილება არ არის. იქ შეიკრიბნენ საერო პირები და არა მორწმუნეები. დაახლოებით 600 ადამიანი. არის ინფორმაცია, რომ ტაძარში აღმოჩენილები, რეალურად მივიდნენ არა კრებაზე, არამედ ექსკურსიაზე. ესენი იყვნენ ტურისტები, რომლებიც შორიახლოს მდებარე სანატორიუმებში ცხოვრობდნენ. მოტყუების გზით, რესპებლიკის ტერიტორიაზე რაღაც ახალი საეკლესიო ინსტიტუტის შექმნაზე ხელმოწერებიც შეაგროვეს. მსოფლიოში არც ერთი მართლმადიდებელი ეკლესია, ამ თვითმარქვიების შეყრას არ აღიარებს. ასეთი რამ არ ხდება. სანქციის სახით, მათი მოღვაწეობის აკრძალვა უნდა მოხდეს.

***— თეორიულად ვის შეუძლია თქვენი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი აფხაზური ეკლესიის აღიარება? თქვენს სამწყსოში ბევრნი კონსტანტინოპოლის მხარდაჭერას იმედოვნებს...***

— აფხაზური ეკლესია 1975 წლამდე დამოუკიდებელი იყო. ორი წლის წინ, ჩვენ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისგან ოფიციალურად გამოვაცხადეთ დამოუკიდებლობა. ამ დოკუმენტზე სხვათა შორის იმ სასულიერო პირების ხელმოწერებია, რომლებიც ამჟამად საუბრობენ ე.წ. აფხაზური მიტროპოლიის შექმნის აუცილებლობაზე ცენტრით ახალ ათონში, რომელიც, მათი თქმით, აფხაზურ მართლმადიდებლურ ეკლესიად უნდა გარდაიქმნას. საუბარი მიდის არა აფხაზური ეკლესიის, როგორც ასეთის დამოუკიდებლობაზე, რადგან ის უკვე აღიარებულია, არამედ მის კონსტანტინოპოლის ფრთებქვეშ გადაყვანაზე. ისინი ამტკიცებენ, რომ ავტოკეფალიას მიიღებენ ან ბერძნებისგან, ან საქართველოს პატრიარქისგან დალოცვის გზით. რაც შეეხება რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას, ის აღდგენაში გვეხმარება. ჩვენ მივიღეთ სულიერი საზრდო მოსკოვის საპატრიარქოსგან იმასთან დაკავშირებით, რომ არ მივმართავთ საქართველოს პატრიარქს. ჩვენთვის ძვირფასია რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მხარდაჭერა, ხოლო გაყოფის მომხრეებს სურთ მოგვწყვიტონ მოსკოვის საპატრიარქოს სულიერი მხარდაჭერისგან. ხოლო ეს მთლიანად ეწინააღმდეგება აფხაზი ხალხის მისწრაფებებს. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისგან არანაირი აფხაზური ეკლესიის დამოუკიდებლობა არ შეიძლება იყოს.

***— საქართველოსთვის პოლიტიკურად რამდენად მნიშვნელოვანია, რომ აფხაზური ეკლესია საკუთარი გავლენის ორბიტაში შეინარჩუნოს?***

— აფხაზური ეკლესია მართლმადიდებელი სამყაროს მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, ამიტომ ქართველები საკუთარი გავლენის შენარჩუნებას შეეცდებიან. ჩვენ აგრესიას ვგრძნობთ არა იმდენად საქართველოსგან, რამდენადაც ამერიკისგან და ევროპისგან, ნატოს ძალებისგან, ასევე თურქეთის მხრივაც. ამიტომ ჩვენ კავშირი გვაქვს რუსეთთან და სხვა კავშირები არც შეიძლება გვქონდეს. ისტორიულად აფხაზური ეკლესია დიდი ხნის მანძილზე დაქვემდებარებული იყო საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას. აფხაზეთში 1992 წლის ომის შემდეგ, ჩვენ ოფიციალურად შევწყვიტეთ ყოველგვარი კავშირი — სულიერიც, პოლიტიკურიც და მეზობლურიც კი. ქართველებთან ურთიერთობას მხარს არ ვუჭერთ. ურთიერთობას არც ვაპირებთ, თუ ისინი ჩვენს დამოუკიდებლობას არ აღიარებენ.

***— აფხაზურ ეკლესიას შეუძლია მხოლოდ რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მხარდაჭერით ფეხზე დადგეს. რა ტიპის მხარდაჭერაზეა საუბარი? არაოფიციალურად, მაგალითად, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია ფინანსურად მხარს უჭერს აფხაზეთის ეკლესიას?***

— აფხაზური ეკლესია აღდგენის სტადიაზე იმყოფება. ჩვენ მას ფაქტობრივად თავიდან ვქმნით, ის უბრალოდ დანგრეული იყო. ამ მშენებლობაში სულიერად მოსკოვის პატრიარქი გვეხმარება. ეს ჩემი პირადი თხოვნის საფუძველზე ხდება. არანაირ ფინანსურ მხარდაჭერაზე საუბარი არ მიდის.

***— ექსპერტები დარწმუნებულნი არიან, რომ აფხაზეთში ახალი მიტროპოლიის შექმნა, რომლის შესახებაც გასული კვირის ბოლოს იყო გაცხადებული, მხოლოდ გაართულებს აფხაზური საეკლესიო საკითხის გადაწყვეტას. რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია რატომ შიშობს, რომ ქართული ეკლესია საპასუხოდ აღიარებს, მაგალითად, გამოყოფის მომხრეებს უკრაინაში?***

— ამ თვალსაზრისით ჩვენ ქართველების და ბერძნების სახით საერთო მტრები გვყავს. უკრაინელი გაყოფის მომხრეები მუდმივად მიმართავენ საბერძნეთის ეკლესიას მათი დამოუკიდებლობის აღიარების მოთხოვნით. თუ რუსეთი აღიარებს აფხაზური ეკლესიის დამოუკიდებლობას, საპასუხოდ საქართველოს შეუძლია იგივე გააკეთოს უკრაინასთან მიმართებაში. კონსტანტინოპოლი ამაზე დათანხმდება.

## არ მოიპარო ფილმი!

ეკა ირემაშვილი

საქართველოს ავტორთა საზოგადოებამ და მისმა ახალმა თავმჯდომარემ გიგა კობალაძემ თბილისში კინოპროდუქციის დასაცავად კამპანია „არ მოიპარო ფილმი“ წამოიწყო. ამ წამოწყებას თბილისის კინოთეატრების ქსელიც შეუერთდა. როგორც კინოთეატრ „ამირანში“ გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე გიგი კობალაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ყველა ვალდებულია დაიცვას არსებული კანონები და თავი შეიკავოს ფილმის არალეგალურად მოპოვებისგან.

პრესკონფერენციაზე გიგა კობალაძესთან ერთად ამ საკითხზე საკუთარი მოსაზრება დააფიქსირეს კინოთეატრების ქსელის წარმომადგენელმა დავით ბეჟიტაშვილმა და კინოპროდუქციის დაცვისა და განთავსების ასოციაციის თავმჯდომარემ ნინო გამრეკელმა. მათი თქმით, კამპანია მასშტაბური და გრძელვადიანი იქნება და როგორც ქართული, ისე უცხოური კინოპროდუქციის დაცვასა და მისი არალეგალური გავრცელების აღკვეთას, ასევე დამღრვევებზე კონკრეტული საჯარიმო სანქციების დაწესებას ითვალისწინებს.

პრესკონფერენციაზე საავტორო საზოგადოების ხელმძღვანელმა ის თანხაც დაასახელა, რომლითაც ურჩი ადამიანები დაჯარიმდებიან. თუკი კანონის დარღვევა პირველ ეტაპზე მოხდა, ჯარიმა 500-დან 3 ათას ლარამდე იქნება განსაზღვრული, ხოლო თუ კანონდარღვევა განმეორებით მოხდა, მაშინ საჯარიმო თანხა 5 ათას ლარსაც მიაწევს.

**გიგა კობალაძე, ავტორთა საზოგადოების ხელმძღვანელი:**

— ჩვენ მიერ დაწყებული კამპანია როგორც ქართული, ისე უცხოურ კინოპროდუქციის დაცვას, ასევე დამრღვევებზე კონკრეტული საჯარიმო სანქციების დაწესებას გულისხმობს, რაც თავის მხრივ, კინოპროდუქციის შემქმნელებს წაახალისებს. ეს არის გრძელვადიანი პროექტი და მოიცავს როგორც ინტერნეტში, ასევე სხვადასხვა კინოპორტალებზე განთავსებული მოპარული ფილმების განთავსების აკრძალვას. ჩვენ მზად ვართ, გავატაროთ კონკრეტული ღონისძიებები და განვახორციელოთ კინოპროდუქციის არალეგალურად გავრცელების აღკვეთა. ეს არის საჯარიმო სანქციები, რომელიც კანონით არის გათვალისწინებული.

***— რამდენია ჯარიმა?***

— საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 159-ე მუხლის მიხედვით, კინოპროდუქციის არალეგალურად გავრცელება პირველ ეტაპზე 500-დან 3000 ლარამდე ჯარიმდება, ხოლო ფაქტის გამეორების შემთხვევაში დამრღვევს 5000 ლარამდე ჯარიმის გადახდა მოუწევს.

***— თუ ფულადი ჯარიმა არ იქნა გადახდილი?***

— მაშინ არსებობს სასამართლო და სწორედ ამ გზით შევეცდებით, ავტორთა უფლებების დარღვევა საქართველოში აღიკვეთოს.

**ნინო გამრეკელი, კინოპროდუქციის დაცვის და განთავსების ასოციაციის თავმჯდომარე:**

— დღესდღეობით საქართველოში 120-მდე ინტერნეტპორტალი არსებობს, სადაც ფილმებს არალეგალურად ათავსებენ. ჩვენ მიერ გაფრთხილება ყველა იმ საიტსა და იურიდიულ პირს მიუვიდა, სადაც ფილმები თავსდება და კანონის დარღვევის შემთხვევაში ისინი 500-დან 3000 ლარამდე დაჯარიმდებიან.

***— ყველას გაფრთხილება შეძელით?***

— ჩვენ მიერ შეგროვილია და იდენფიცირებულია ყველა ის საიტი და პორტალი, რომელიც არალეგალურად ათავსებს კინოფილმებს, ამიტომ ისინი გაფრთხილებულნი უკვე არიან. ჩვენ მათ იმ ფილმების ჩამოანთვალი გავუგზავნეთ, რომელთა ინტერესებსაც ვიცავთ. თუკი არ დაგვემორჩილებიან და მაინც არალეგალურად განათავსებენ საკუთარ საიტზე ფილმებს, მაშინ ფულადი ჯარიმის გადახდა მოუწევთ.

**დავით ბეჟიტაშვილი, კინოთეატრების ქსელის წარმომადგენელი:**

— ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, ქართველი მაყურებელი მსოფლიო პრემიერებს არ ჩამორჩეს, ამიტომ ვყიდულობთ ისეთ ფილმებს, რომელიც მსოფლიო მნიშვნელობისაა. ყველამ კარგად იცის, რომ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული ფილმების გაშვებაზე უფლებების მოპოვება, შემდეგ ამ ფილმების საქართველოში ტრანსპორტირება, ამას ემატება სარეკლამო ხარჯები. ამ დროს კი ვიღაც ინტერნეტსაიტზე არალეგალურად ათავსებს ფილმს, რომლითაც უდიდეს ზარალს აყენებს როგორც კინოთეატრებს, ასევე სახელმწიფოსაც. ძალიან საწყენია, რომ ჩნდება მსოფლიო პრემიერის ფილმები ინტერნეტში ან ბაზრობაზე დისკის სახით. ჩვენ ავტორთა საზოგადოების ხელმძღვანელობას ვუერთდებით და გვინდა მათთან ერთად, საქართველოში ფილმების არალეგალურად გარვცელების მცდელობა აღვკვეთოთ.

# გამსახურდია ბუშმა და ბეიკერმა დაამხეს

გულიკო ბალა ე

## ინტერვიუ უმაღლესი საბჭოს დეპუტატ თემურ ქორიძესთან

ქვეყნის პირველი პირი დროდადრო რაღაც ისტორიებს გვიყვება ხოლმე და ყველაფერს, რაც კი მისი პირველკაცობის პერიოდში ხდება და არ ხდება, ნათელ ფერებში გვიხატავს. არის ხოლმე პერიოდები, როცა მიხეილ სააკაშვილი საქართველოს ისტორიისა და ისტორიული პიროვნებების დამსახურების თავისებურ ინტერპრეტაციასაც ახდენს. ამ ქვეყანაში მუდმივად ხდება ასევე პოლიციისა და მისი დამსახურების ქებათაქება. მას უქმნიან სიმღერებს, რათა საზოგადოება საბოლოოდ შეეგუოს პოლიციური სახელმწიფო მანქანის არსებობას ქვეყანაში. რაც ყველაზე ცუდია, უნდათ ხალხმა სიცრუის ბურუსში იცხოვროს. როგორ აფასებს ამ მხრივ არსებულ სიტუაციას უზენაესი საბჭოს დეპუტატი თემურ ქორიძე, ამის თაობაზე ინტერვიუდან შეიტყობთ.

***— ბატონო თემურ, საქართველო პოლიციურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. ხელისუფლებიდან მუდმივად მოდის სიცრუე. მოსახლეობას სიცრუის ბურუსში ხვევენ, ქვეყანაში დამკვიდრდა ხვინგიაძეების სინდრომი. როდემდე შეიძლება ასე გაგრძელება?***

— დღევანდელი ხელისუფლება ცდილობს თავდაყირა დააყენოს დეკარტეს ცნობილი პრინციპი, ვაზროვნებ, ე.ი. ვარსებობ. სააკაშვილის ხელისუფლების მთავარ პრინციპად, იდეაფიქსად იქცა — ვცხოვრობ, ე.ი. ვარსებობ. მისი არსებობის ერთადერთი, ყველაზე მკაფიო, ყველაზე ნათელი გამოხატულებაა სიცრუე. სააკაშვილს სიცრუის გარეშე არსებობა არ შეუძლია. მას არ ძალუძს მართალი და პირნათელი იყოს საზოგადოების წინაშე. თუ არ ვცდები, ერთ-ერთ საპარლამენტო შეხვედრაზე სააკაშვილმა განაცხადა: ჩემმა ერთმა მეგობარმა მითხრა, ჩვენზე ტყუილებს წერენო. მე მას ვუთხარი, ჩვენ მაშინ უნდა შეგვეშინდეს, როცა ჩვენზე სიმართლეს იტყვიანო. ეს საოცარი თვითმხილება იყო. შეიძლება ითქვას, ეს იყო ერთგვარი წამოცდენა, რომელსაც ღრმა ქვეცნობიერი საფუძველი აქვს. შეიძლება ითქვას, სააკაშვილის მთელი პიარტექნოლოგია ძალიან ამაზრზენი და ძალიან შემაძრწუნებელია თავისი სიცრუით, ცუღლუტობებითა და თაღლითობითაც. ეს თაღლითობა მხოლოდ და მხოლოდ ვერბალურ დონეზე არ გამოიხატება. ის მთელს თავის მოქმედებას გასდევს წითელ ზოლად. ახლახან მასმედიის საშუალებებით ჩვენ შევიტყვეთ იმ კორუფციული გარიგებებისა და სქემების თაობაზე, გავეცანით მტაცებლური ხასიათის მასალებს, რომელიც ნებისმიერი ხელისუფლების გადაყენების უტყუარი საფუძველი გახდებოდა. იგივე, რაც შეეხებოდა ტექნიკური უნივერსიტეტის კორპუსებთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელიც ქალბატონ გიული ალასანიას სახელთანაა დაკავშირებული. ასევე, აღსანიშნავია, თუნდაც ამ პიროვნების ზღვარგადასული სწრაფვა ფუფუნებისკენ, მისი მისწრაფება მდიდრული ანტურაჟისკენ. ყველაზე დიდი შეცდომა მაშინ დაუშვა ჩვენმა საზოგადოებამ, როდესაც მიხეილ სააკაშვილს უზარაზარი სასახლის აგება აპატია. ამასთან დაკავშირებით ერთ ისტორიულ ფაქტს გეტყვით — ისტორიაში კარგად ჩახედულმა ნებისმიერმა პიროვნებამ კარგად იცის, ვინ იყო საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი მეცამეტე, იგივე გიორგი მეთორმეტე. იგი ისტორიაში „ზაქიჭამიას" სახელით დარჩა. მეფე, რომელიც ამ სახელით დარჩა ისტორიაში, მის სახელი ერთ ასეთ ფაქტთანაც არის დაკავშირებული — როდესაც ის მამის გარდაცვალების შემდეგ თბილისში ჩამოვიდა, პრაქტიკულად, მეფის სასახლე არ ჰქონდა. გადაწყვიტეს ფული ქართლკახეთში შეეგროვებინათ. ეს იყო 10 შაური კომლზე. როდესაც ეს თანხა შეგროვდა (ეს იყო საკმაოდ სოლიდური თანხა იმ პერიოდისთვის), მეფემ, რომელიც ისტორიაში „ზაქიჭამიას" სახელითაა შესული, განაცხადა, ფული უკვე გვაქვს, მაგრამ უმჯობესია ჯერ ღვთის სახლი ავაშენოთ, მეფის სადგომზე კი მერე ვიფიქროთო.

***— ალბათ, თქვენთვის ცნობილია, აგვისტოს ომის პერიოდში ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლებმა მიწები რომ გაიფორმეს...***

— რასაკვირველია...

***— როდესაც ომის პერიოდში ადამიანები იმაზე ფიქრობენ, მიწები გაიფორმონ, რაზეა საუბარი.***

— ანუ ხელისუფლება ფიქრობს ერთს, აკეთებს მეორეს, გამიზნული აქვს მესამე...

***— როგორც გახმაურდა, გეპეის შენობაც იმ პერიოდში გაიფორმეს...***

— რასაკვირველია, ჩვენ გვყავს ღრმად კორუმპირებული ხელისუფლება, რომელიც ყველა ფაქტის თაობაზე ამბობს, რომ მოწინააღმდეგე, ოპოზიციონერი, ოპონენტი ვერავითარ სერიოზულ მასალას ვერ წარმოგვიდგენსო, ანუ ცდილობს, ჩვენც იმავე მდგომარეობაში ჩაგვაყენოს, რა მდგომარეობაშიც თავად იმყოფება. ე.ი. უნდა თვალში ნაცარი შეგვაყაროს, ან თვითონ შევიყაროთ თვალში ნაცარი, მაგრამ ეს არ გამოუვა.

***— აქ ღრმა კორუფციულობაზეა საუბარი, ანუ ქვეყნის ხელისუფლებაში ელიტარული კორუფცია ყვავის?***

— ვფიქრობ, ელიტარული უკვე აღარ შეიძლება ამას ეწოდოს. როდესაც სააკაშვილი მოვიდა ხელისუფლებაში, ჟურნალისტთა კორპუსს მიმართა, წადით ჩვენი ჩინოვნიკების, მინისტრებისა და თანამდებობის პირთა სახლებში, წლის ბოლოს და მომდევნო პერიოდშიც მიდით და ნახეთ, რა შეემატება მათ კეთილდღეობასო. იქნებ ამგვარი ექსპერიმენტი ჩაგეტარებინათ. წლების წინ, თქვენს გაზეთში დავბეჭდე, როდესაც ბატონი შევარდნაძე ჩამოვიდა და ხალხის კეთილდღეობაზე საუბრობდა, მე მას შევახსენე, როგორ იქცეოდა საფრანგეთის პრეზიდენტი ჟისკარ დე სტენი — ყოველ თვის 16 რიცხვში მოულოდნელად შეაღებდა რომელიმე სახლის კარს და მოულოდნელად სრულიად უცნობ ოჯახს სადილად ეწვეოდა. ამას ის პიარკამპანიისთვის არ აკეთებდა. არც იმისთვის აკეთებდა, შეემოწმებინა, რამდენად ღარიბი იყო ესა თუ ის ოჯახი. ეს მას მოსახლეობასთან კონტაქტისთვის სჭირდებოდა. იქნებ ჩვენს „მეფეებს" ჟურნალისტები ეწვიოთ სადილად, ან ისინი ეწვიონ ჩვეულებრივ ადამიანებს. სხვათა შორის, ჩვენდა სამწუხაროდ, ეს ტერმინიც („ჩვეულებრივი ადამიანები") დამკვიდრდა ჩვენში. ე.წ. სახელისუფლებო გუნდიც და ოპოზიციაც განურჩევლად ყოფენ საზოგადოებას.

***— ჩვეულებრივი და არაჩვეულებრივი...***

— დიახ, ქართველი საზოგადოება ჩვეულებრივი და არაჩვეულებრივ ადამიანებად დაყვეს. დღეს მოვისმინე, შეიძლება რიგითი თბილისელები გამოვიდნენო. ეს იმას ნიშნავს, ქალაქის მოსახლეობა მათ უკვე კასტებად დაყვეს. ჩვენ ალბათ მესამე-მეოთხე წოდებას თუ მივეკუთვნებით, სადაც ისინი არასოდეს მიგვიღებენ. თუმცა, მათი გაუმაძღრობის დოკუმენტები მთელ ქალაქშია მიმოფენილი და მთელმა საქართველომ იცის. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია ნახოს მათი საგარაკო ადგილები, სადაც აქვთ საცხოვრებელი სახლები. ქვეყანაში აყვავებული კორუფციის დასამტკიცებლად მეტი დოკუმენტები საჭირო არ არის. გაოგნებული ვარ, როგორ ყოფნით სააკაშვილს და მისი გუნდის წევრებს თავხედობა, ისაუბრონ იმაზე, თითქოს საქართველოში ელიტური კორუფცია არ არსებობს და, საერთოდ, კორუფცია აღმოფხვრილიაო.

***— ბატონო თემურ, რატომ ვერ გასცა პირდაპირი პასუხი (თუმცა, არაპირდაპირაც ბევრი არაფერი უთქვამს) პარლამენტის სხდომაზე სააკაშვილს ედპ-ს ერთ-ერთმა წევრმა დეპუტატმა, როცა მას სააკაშვილმა ჰკითხა, თქვით, ვინ არის კორუფციონერი, მე ვარ კორუფციონერიო?***

— ბატონი ჩახვაძე სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა ამ დისკუსიისთვის. საერთოდ, დღემდე გაუგებარია, რისთვის არის ეს ხალხი წარმოდგენილი პარლამენტში, ვის წარმოადგენს საერთოდ ეს პიროვნება პარლამენტის სხვა წევრებთან ერთად.

***— იქნებ მხოლოდ მოუმზადებლობა არ იყო.***

— სავსებით გეთანხმებით, ეს მოუმზადებლობა კი არა, კორაბორაციონიზმი იყო, რაც უკვე მკვდრადქცეულ, უნიფიცირებულ პარტიებს ახასიათებთ — ოღონდ გაძლიერდნენ ხელისუფლების ნასუფრალით და მზად არიან, ფეხქვეშ გაეგონ, მხარი აუბან ყველა სიცრუეში, ყველა თაღლითობასა და მამაძაღლობაში.

***— გახსოვთ ალბათ, ამერიკის ვიცე-პრეზიდენტ ბაიდენის თბილისში სტუმრობისას. სააკაშვილი ერთი რევოლვერის ამბავს რომ მოყვა, რომელიც თითქოს მაკ კეინს ეკუთვნოდა და აგვისტოს ომის დროს რუსმა გენერალმა ჩამოიტანა საქართველოში, შემდეგ სააკაშვილს გადასცეს. სააკაშვილმა კი მაკ კეინს დაუბრუნა...***

— ჰო. ერთი წლის წინ შემთხვევით წავაწყდი ამერიკელების მიერ გადაღებულ საკმაოდ ტრენირებულ ფილმს მაკ კეინის შესახებ, სადაც ვიეტნამის ომის დროს დატყვევებული მაკ კეინისაგან, რომელსაც განადგურებული ჰყავს მაშინდელი ვიეტნამის ათასობით მშვიდობიანი მცხოვრები — ქალები, ბავშვები, მოხუცები — მფრინავი იყო და ბომბავდა — დაკითხვის დროს მოითხოვენ ბოდიშის მოხდას იმის გამო, რაც მან ვიეტნამელ ხალხს დამართა. მაკ კეინი პასუხობს, როდის მომცემთ დედაჩემის მიერ გამოგზავილ კანფეტებს? ჯიუტად იმეორებს მაკ კეინი ამ კითხვას. ამ ფილმში ვიეტნამელი გამომძიებლები დახატული არიან საზარელ ურჩხულებად, მაკ კეინი კი გამოყვანილი ჰყავთ გმირად. სააკაშვილმა თქვა, რევოლვერი, რომელიც ტყვეობაში მაკ კეინს წაართვეს, აგვისტოს ომის დროს მე მომცეს და მაკ კეინს დავუბრუნეო. დაახლოებით ასეთი სიცრუე მოახსენა სააკაშვილმა მთელ საქართველოს და ბატონ ბაიდენს, რომელსაც აშკარად ეტყობოდა გაკვირვება, როცა მიხეილ სააკაშვილის სასახლეში შევიდა, გაოგნებული თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. ეს არ დამართნია ლუვრში შესულ სულხან-საბა ორბელიანს, ვის შესახებაც მაშინდელი თვითმხილველნი გაოცებით ყვებიან, ჯვალოში ჩაცმული მოხუცი ვერსალში რომ შემოვიდა (წარმოიდგინეთ დანგრეული ტაძრიდან ჩასული კაცი ვერსალში), თვალი არ გაქცევია ვერსალის ბრწყინვალე სარკეებისკენ და სიმდიდრისკენო. ყველას, ვინც სააკაშვილის სასახლეში შედის, განცვიფრება და გაოგნება ეხატება სახეზე. ის მოულოდნელობა, რასაც ბადებს ღარიბ-ღატაკი ქვეყნის პრეზიდენტის ზღვარგადასული სწრაფვა ფუფუნებისკენ, გამაოგნებელია.

***— თქვენ მეფეზე საუბრობდით, რომელიც „ზაქიჭამიას" სახელით შევიდა ისტორიაში, რომელიც თავისი მისწრაფებებით სრულიად განსხვავდებოდა დღეს არსებული ხელისუფლებისაგან. სააკაშვილი რა სახელით შევა ისტორიაში?***

— გაოგნებული ვარ ამ პიროვნების სიხარბითა და გაუმაძღრობით. იმდენად პრიმიტიულად მოაზროვნეა ეს ადამიანი, რომ მის პიარკამპანიას მხოლოდ ინფანტილური, ბავშვური თაღლითურობის აშკარა გამომხატველი კვალი ეტყობა. მოზრდილი ადამიანი არამც და არამც არ შეეცდება თავი მოიწონოს მუდმივი ღიმილით. ამაზე ჩვენ ადრეც ვისაუბრეთ. ზრდასრული ადამიანი არამც და არამც თავს არ მოიწონებს იმით, რომ დავუშვათ, თვითმფრინავით ფრენა შეუძლია, ან თავისი მანქანით რომელიღაც კახელ მევენახეს რომ ეხმარება გასაყიდად ყურძნის თბილისში ჩამოტანაში. გაოგნებული ვარ. ვინმე პიარტექნოლოგი არ ჰყავთ ისეთი, რომ ეს ბავშვური, ინფანტილური წარმოდგენები ერთხელ და სამუდამოდ აღმოფხვრან ამ პიროვნებაში? საოცრება და უბედურება ის კი არ არის, რომ დღეს ჩვენ გვიჭირს (გვიჭირს ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში), არამედ უბედურება ისაა, რომ ღარიბ, დაბეჩავებულ ხალხს ჰყავს ჭკუამხიარული პრეზიდენტი, რომელსაც მხოლოდ ერთი საფუძველი შეიძლება ჰქონდეს ასეთი მარადიული მხიარულებისა — როგორც ჩანს, სააკაშვილს დიდძალი თანხა აქვს დაგროვებული. აშკარად ეტყობა, რომ ეს ადამიანი არასოდეს ასეთი ბედნიერი არ ყოფილა, როგორიც დღეს არის. თუკი ჩვენ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს პრეზიდენტი არ შეიძლება გამოიყურებოდეს ბედნიერად, ისმება კითხვა: რა არის ამ კაცის მარადიული დღესასწაულების მიზეზი? რა მოტივაცია აქვს ამ პიროვნებას იმისათვის, რომ საზოგადოების წინაშე და არა მხოლოდ საზოგადოების წინაშე თავს უაღრესად ბედნიერად და გალაღებულად გრძნობს.

***— თუ გახსოვთ, ეროსი მანჯგალაძე შალიკო ხვინგიაძის როლში, რომელიც გამუდმებით ყვება თავის ომისდროინდელ ამბებს, იალბუზზე როგორ იბრძოდა და ა.შ. იმ დადგმას რომ ნახავ, რაღაც პარალელს იპოვი ხვინგიაძესა და ხელისუფლებაში მყოფ ადამიანებს შორის. საქართველოს ხელისუფლებას ხვინგიაძის სინდრომი დაემართა?***

— შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალი... ხვინგიაძე კეთილი მატყუარაა, მაგრამ როგორც კი შეეკითხებიან მას, რასაც თქვენ ყვებით, იმის მოწმე ვინ არისო, ის გამუდმებით ამბობს, თუ ჩემი არ გჯერავთ, ჯიჯის ჰკითხეთ, ალფაიძესო. საუბარში შალიკოს ერთ-ერთი სტუმარი ეკითხება, გაფიცებთ ყველაფერს, გვითხარით, ეს ჯიჯი სად არის? შალიკო ხვინგიაძე პასუხობს: 1945 წელს ომში დაიღუპაო. ე.ი. როდესაც მიხეილ სააკაშვილი გამუდმებით საუბრობს წარმატებაზე, ბედნიერებაზე, კეთილდღეობაზე, ოპტიმიზმზე, ყოველთვის მოწმედ მოჰყავს რომელიმე გარდაცვლილი ან მოქრთამული დასავლური არასამთავრობო ორგანიზაცია და ერთხელაც არ ახსენებს ასე დასავლურ ანალოგიურ ორგანიზაციას, რომლის რეიტინგშიც 102-ე ადგილზე ვართ რომელიღაც სფეროში. ე.ი. მიხეილ სააკაშვილის სიცრუის, მისი თაგასულობის მოწმე არის ჯიჯი ალფაიძე, რომელიც 1945 წელს არის გარდაცვლილი.

***— სააკაშვილს უყვარს ამბების მოყოლა. ეტყობა, ამით დიდ სიამოვნებას ღებულობს.***

— დიახ. გახსოვთ ალბათ, სააკაშვილმა ახლახან რომ გამოგვიცხადა, ომი რომ იყო, თბილისი რომ იბომბებოდა, რიკოთზე მოვდიოდი, უამრავი ხალხი იყოო, მე ჩვეულებრივ მანქანაში ვიჯექი, ვუყურებდი, პოლიციელები ხალხს მხიარულად, ღიმილით უკაფავდნენო გზას.

***— ქვეყანა იქცეოდა, საქართველოში რუსების ტანკები გრუხუნებდნენ. საინტერესოა, პოლიციელებს რა აღიმებდათ?***

— ე.ი. სააკაშვილი რაღაც ორომტრიალში ყოფილა. ამ დროს ყოველ საათში ტელევიზიით აჩვენებდნენ. თუ სააკაშვილი იქ იჯდა, მაშინ მთავრობის სახლში ვინ იყო?

***— ალბათ ორეული იყო...***

— იმ პერიოდში ჩვენ, ყველანი თბილისში ვიყავით. უმაღლესმა მთავარსარდალმა ის არ იცოდეს, რომ მაშინ თბილისი არ დაბომბილა, ეს გასაოცარი რაღაცაა. მე გაოგნებული ვარ. ნუთუ, აქამდე ამას არავინ ყურადღება არ მიაქცია, რომ პრეზიდენტი, მთავარსადალი ლაპარაკობს არა მარტო სიცრუეს...

***— სააკაშვილი ალბათ იმას გულისხმობდა, გარკვეული ობიექტები რომ დაბომბეს.***

— არა, არა. როგორც ჩანს, ის სიზმარს ყვებოდა. როგორც ჩანს, იმ პერიოდში დაეძინა და დაესიზმრა, რომ მისი სასახლე იბომბებოდა. მისთვის მთელი საქართველო და თბილისი მისი სასახლეა. მოდით, ვიკითხოთ, რამდენი მილიონერი გვყავს საქართველოში და როგორ ხდება, რომ პარლამენტის წევრები მინისტრები, რომლებსაც მამაპაპისეული ქონება დახვედრიათ, უცხოეთში გამდიდრებული ნათესავისაგან არ მიუღიათ, მაგრამ უსაშველოდ მდიდრდებიან.

***— პარლამენტში და, საერთოდ, ხელისუფლებაში ყოფნით მათ დიდი ფულის დაგროვების შანსი გაუჩნდათ.***

— პრეზიდენტი შინაგანად წესიერი პიროვნება რომ იყოს, მხოლოდ ერთი ცნობილი ფაქტი საკმარისი იქნებოდა მთავრობის გადასაყენებლად. მინისტრები თავიანთ თავს პრემიებს რომ უწერენ წლების განმავლობაში, მხოლოდ ეს ფაქტი სავსებით საკმარისი იქნებოდა იმისთვის, რომ პრეზიდენტს ისინი გადაეყენებინა, როგორი კარგი მთავრობაც უნდა ყოფილიყო. ქართველ საზოგადოებას სრული უფლება აქვს, ასეთი ხალხი გარეკოს ხელისუფლებიდან. არათუ უფლება აქვს, არამედ თავისი ისტორიის წინაშე, თავისი შთამომავლობის წინაშე ქართველი ხალხი მოვალეცაა, ასეთ ხელისუფლებას არ ენდოს და არ მიიღოს. მეტი კორუფცია რა გინდა, ჯერ იყო, ვიღაც გადამთიელი სოროსისაგან ხელფასებს ღებულობდნენ. მხოლოდ ეს იქნებოდა საკმარისი იმისათვის, რომ მოსახლეობას ხელისუფლება გაერეკა. აცხადებენ, ქვეყანაში ელიტარული კორუფცია არ გვაქვსო, ინიშნავენ პრემიებს. გუშინ სააკაშვილი სადღაც გამოჩნდა და გამოაცხადა, სოფლის მეურნეობაში საშინელი ჩამორჩენააო. წარმოიდგინეთ, ეს ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის მინისტრიც კი თავის თავს ყოველთვიური პრემიებით აჯილდოვებს. მე ვლაპარაკობ ისეთ ელემენტარულ ფაქტებზე, რომელიც არ ექვემდებარება არანაირ პოლიტიკურ განსაზღრებას. ეს არის ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი გაუმაძღრობა. ეს არის სიხარბე.

***— ბატონო თემურ, როდესაც საუბარი ხელისუფლების გარეკვასა და რევოლუციაზეა, მაშინვე ხელისუფლება ტელევიზიით 90-იანი წლების მოვლენებზე კადრებს უჩვენებს და ამბობს, ოპოზიციას სისხლის ღვრა უნდაო.***

— ის, რაც მოხდა 1991-92 წლებში, არა მხოლოდ შიდა დაპირისპირება იყო. კარგად წაიკითხონ ზვიად გამსახურდიას ბოლო ინტერვიუები. ის პირდაპირ ხელს ადებს შეერთებულ შტატებს და ასახელებს კიდეც ორ პიროვნებას — ჯორჯ ბუშს (უფროსს) და ჯეიმს ბეიკერს, რომლებიც იყვნენ საქართველოში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების სათავეში. როგორც ჩანს, ზვიად გამსახურდიამ მიიღო ძალიან ბევრი ინფორმაცია, რომელიც მანამდე ჩვენ ხელთ არ გვქონდა, თორემ ისე დაბეჯითებით ამაზე არ ისაუბრებდა.

***— ისე, რუსეთის ხელიც რომ ურევია, ისიც ხომ აშკარაა?***

— ზვიადი თავის უკანასკნელ დასკვნებში ფსბ-ს და რუსეთის ხელისუფლებაზე ამბობდა, ისინი აღმოჩნდნენ ამერიკის ნების აღმსრულებლები, რაც საბოლოოდ ისევ რუსეთს შემოუბრუნდებაო. ჩვენ ხომ აკადემიური რევოლუციები გვახასიათებს. თავზეხელაღებული რევოლუცია 90-იან წლებში იყო, მაგრამ ახლა ჩვენ ხიდან ფოთოლსაც კი არ ვწყვეტთ, ისეთი რევოლუცია ვიცით. კარგი რევოლუციის მაგალითი ხომ გვიჩვენა თვითონ სააკაშვილმა და მისმა გუნდმა. რატომ მაინცდამაინც 1991-92 წლების რევოლუციაზე ლაპარაკობთ, უსისხლო პრევოლუციის მაგალითიც გვაქვს. რაც მეოცე საუკუნეში უბედურებები დატრიალდა, ერთხელ და სამუდამოდ წარსულს უნდა ჩაბარდეს, მაგრამ მოდით, მივესალმოთ რევოლუციის იმ ტალღას, რომელსაც ყვავილის სახელი დაარქვეს — ვარდების რევოლუცია. ახლა გაზაფხულია და იქნებ ახლა ყოჩივარდების რევოლუციაზე ვიფიქროთ. მით უმეტეს, ისეთი კარგი იყო ვარდების რევოლუცია. გახსოვთ, როგორ ამაყობდა მიხეილ სააკაშვილი, საქართველო სი ენ ენ-ის ეკრანიდან არ ჩამოდის, ამ რევოლუციის გამო, მხოლოდ ჩვენზე ლაპარაკობენო. ევროპის მოწინავე საკომუნიკაციო საშუალებებს რაღაც დავავიწყდით და ხომ არ შევახსენოთ თავი მსოფლიო საზოგადოებას ერთი ლამაზი ჯიშის ყვავილების ქუჩაში გამოტანით და კიდევ ერთი მშვენიერი რევოლუცია ხომ არ მოვაწყოთ?



შედით საიტზე atb.ge

# მედეა ჩახავას 90 წელი შეუსრულდებოდა

ეკა ირემაშვილი

ქართული კინოსა და თეატრის ვარსკვლავი მედეა ჩახავა მის მშობლიურ რუსთაველის თეატრში გაიხსენეს. მცირე დარბაზის ფოიეში მედეა ჩახავას ფოტო გამოფენა მოაწყო. რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელობამ, მსახიობის კოლეგებმა და მეგობრებმა მისი ხსოვნის საღამო 17 მაისს მისსავე დაბადების დღეზე მოაწყეს. საიუბილეო საღამო თბილისის მერიის მხარდაჭერით გაიმართა. საღამოს მხატვრულად გააფორმა თეატრის მთავარმა მხატვარმა მირიან შველიძემ.

17 მაისს მედეა ჩახავას 90 წელი შეუსრულდებოდა. იგი 88 წლის ასაკში ორი წლის წინ გარდაიცვალა. მაყურებლის განსაკუთრებული სიყვარული 2006 წელს მისი სახელობის ვარსკვლავის გახსნაში გამოიხატა. რუსთაველის თეატრის წინ მედეა ჩახავას 85 წლის იუბილესთან დაკავშირებით მისი ვარსკვლავი გაიხსნა.

რუსთაველის თეატრში შეკრებილი საზოგადოებისთვის მსახიობის მეგობრები და კოლეგები ჯემალ ღაღანიძე, კახი კავსაძე, გურამ საღარაძე, თეატრში გატარებულ წლებს იხსენებდნენ. ხსოვნის საღამოზე ნაჩვენები იქნა ნაწყვეტები სპექტაკლებიდან და ფილმებიდან, ასევე ძველი საარქივო მასალები მსახიობის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, სადაც თეატრისა და კინოს კორიფეებმა — მიხეილ თუმანიშვილმა, კოტე მახარაძემ, კარლო საკანდელიძემ, ედიშერ მაღალაშვილმა, გოგი გეგეჭკორმა მედეა ჩახავა დაახასიათეს. თეატრში შეკრებილმა საზოგადოებამ იხილა ნაწყვეტები ფილმიდან „მედეა ჩახავა", რომელიც საზოგადოებრივ მაუწყებელზე პროექტისთვის „მეხსიერება" მომზადდა.

რუსთაველის თეატრში მისვლამდე კი მედეა ჩახავას ოჯახის წევრები, ახლობლები და საზოგადოების წარმომადგენლები დიდუბის პანთეონში შეიკრიბნენ და მსახიობის საფლავი ყვავილებით შეამკეს.



**მაკა მახარაძე, მედეა ჩახავას შვილი:**

— ძნელია მასზე წარსულში ლაპარაკი, ძალიან მაკლია და მენატრება, მაგრამ რას ვიზამთ, ასეთია ცხოვრება. საოცარია მისადმი ხალხის სიყვარული და ხალხის სიყვარული მის მიმართ — ეს ნებისმიერი ადამიანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და ძვირფასია. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ის დედაჩემია. ასეთი დედა არავის არ ჰყოლია!

**ჯემალ ღაღანიძე, მსახიობი:**

— მედეა საოცარი ადამიანი იყო. ჩვენ ათეული წლების განმავლობაში ვიყავით ერთ თეატრში და ვერ ნახავთ ამდენი წლის განმავლობაში ადამიანს, ვინც მისგან ნაწყენი ან გაბრაზებული ყოფილა. მედიკო საოცარი არაჩვეულებრივი იყო — დიდთან დიდობდა, პატარასთან სულ მთლად ბავშვი ხდებოდა. ბედნიერი ვარ, რომ მასთან ერთად მომიწია რუსთაველის თეატრში მუშაობა, ნამდვილად ვამაყობ, რომ მისი პარტნიორი ვიყავი.

**გურამ საღარაძე, მსახიობი:**

— ძალიან მიჭირს მედეაზე წარსულში ლაპარაკი. წლების განმავლობაში ერთად ვიყავით, ბოლო პერიოდში კი სპექატკლში „მოხუცი ჯამბაზები" გვიწევდა თამაში. ბედნიერი ვარ, რომ მასთან ეთრად ვიდექი სცენაზე. გასაოცარი ადამიანი იყო — ხალასი, თბილი და მოსიყვარულე. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ყველა მისი შთამომავალი ხელოვნებაშია ჩართული და მათ ყველას ერთად ჩახავას შთამომავლობას უწოდებენ.

**კახი კავსაძე, მსახიობი:**

— მედეა ჩახავა მარტო დიდი ადამიანი კი არ იყო, ის საოცრად თბილი და მოსიყვარულე პიროვნება გახლდათ. ბედნიერი ქალი იყო ნამდვილად, იმიტომ, რომ სიცოცხლის ბოლომდე თავის საყვარელ საქმეს აკეთებდა. მსახიობები ცოტა უცნაურები ვართ, გვინდა, რომ მაქსიმალურად ვიყოთ დაკავებული და თავსაც არ ვზოგავთ, მაგრამ ასაკს ხომ თავისი მოქავს? მელდამ კი მოახერხა, რომ სიცოცხლის ბოლომდე ლამაზი და მომხიბვლელი ყოფილიყო.

# გოდერძი ჩოხელს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიხსენებენ

ეკა ირემაშვილი

რეჟისორსა და მწერალს გოდერძი ჩოხელს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიხსენებენ. 19 მაისს ქართველი მწერლის, სცენარისტისა და კინორეჟისორის ხსოვნისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიმართება.



გამოფენაზე ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული გოდერძი ჩოხელის წიგნები და მის შესახებ დაწერილი პუბლიკაციები იქნება წარმოდგენილი. ასევე, სამუშაო პროცესში გადაღებული და მისი ფილმებიდან ფოტოზე აღბეჭდილი კადრები გამოიფინება, რომლებიც დღის სინათლეს პირველად სწორედ ამ გამოფენაზე იხილავს.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში მისულ დამთვალიერებელს შესაძლებლობა ექნება მწერლის პირადი არქივიდან მასალებს გაეცნოს. გამოფენის გახსნის შემდეგ ეროვნული ბიბლიოთეკის აუდიტორიაში გოდერძი ჩოხელის ფილმი „ადამიანთა სევდა" იქნება ნაჩვენები, რომლის შემდეგ ფილმის განხილვა და დისკუსია გაიმართება. გოდერძი ჩოხელი 53 წლის ასაკში 2007 წლის 16 ნოემბერს გარდაიცვალა. იგი პატრიარქის კურთხევით მცხეთაში სამთავროს დედათა მონასტრის ეზოში დაკრძალეს.

ბოლო პერიოდში გოდერძი ჩოხელის პიროვნებისა და მისი შემოქმედების მიმართ ინტერესი გამძაფრდა. მიუხედავად იმისა, რომ გოდერძი ჩოხელის შემოქმედებას მსოფლიო სათანადოდ არ იცნობს და მისი შეფასებაც არ შეუძლია, იაპონურმა ჟურნალმა მის შემოქმედებაში ღირებული სათქმელი დაინახა და მწერლის „დავიწყების მდინარე" იაპონურად თარგმნა. იაპონურმა ჟურნალმა „შუაღამისას" თავისი გვერდები გოდერძი ჩოხელის შემოქმედებას დაუთმო. ჩოხელის მოთხრობა ქართველოლოგმა და ენათმეცნიერმა იასუჰირო კოჯიმამ თარგმნა, რომელიც უკვე 10 წელია საქართველოში საკმაოდ ხშირად ჩამოდის. მას ქართველი მეუღლე ჰყავს და საქართველოს კარგად იცნობს. ჟურნალი გოდერძი ჩოხელის თარგმნილი მოთხრობით 2009 წელს გამოვიდა, თუმცა, მწერლის ოჯახის წევრებს მისი ნახვის შესაძლებლობა მხოლოდ ახლახან მიეცათ. იაპონელმა ქართველოლოგმა გოდერძი ჩოხელის ოჯახს ჟურნალი პირადად გადასცა. ჟურნალში მოთხრობასა და გოდერძის ბიოგრაფიასთან ერთად თვალსაჩინოებისთვის რუკაა დახატული, სადაც ისრით არის მინიშნებული საქართველო. როგორც საქართველოში ჩამოსულმა იაპონელმა ქართველოლოგმა განაცხადა, ის ჩოხელის ნაწარმოებების თარგმნას მომავალშიც აპირებს, მათ კი ერთ კრებულში გააერთიანებს.

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გოდერძი ჩოხელის ხსოვნისადმი მიძღვნილი გამოფენა კი 22 მაისამდე გაგრძელდება.

# სესილია თაყაიშვილის იუბილე ეროვნულ არქივში აღნიშნეს

ეკა ირემაშვილი

ქართული თეატრისა და კინოს ვარსკვლავის სესილია თაყაიშვილის 105 წლის იუბილეს აღსანიშნავად ეროვნულ არქივში გამოფენა „სესილია" გაიხსნა. გამოფენაზე წარმოდგენილია არა მარტო ეროვნული არქივის კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალურ არქივში დაცული მასალა, არამედ სესილია თაყაიშვილის საოჯახო ალბომებში არსებული ფოტოები.

ეროვნულ არქივში წარმოდგენილ ექსპოზიციაზე ასევე გამოფენილია მსახიობის როგორც კინო, ისე თეატრალური როლების ამსახველი კადრები, ასევე, ბიოგრაფიული შინაარსის ფოტოები. ეროვნულ არქივში დაცულია სესილია თაყაიშვილის მონაწილეობით გადაღებული 30-მდე მხატვრული ფილმის გადასაღები მოედნის კადრები, მათ შორისაა: „აბეზარა", „ჩვენი ეზო", „მანანა", „საბუდარელი ჭაბუკი", „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", „თოჯინები იცინიან", „პიერი — მილიციის თანამშრომელი", „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი", „მალე გაზაფხული მოვა", „დიდოსტატის მარჯვენა", „ნერგები", „ნატვრის ხე", „ცისფერი მთები, ანუ დაუჯერებელი ამბავი"

საინტერესოა სესილია თაყაიშვილის საოჯახო ალბომის ფოტოსურათები, რომელიც მსახიობის თეატრალურ როლებს ასახავს. გამოფენაზე ნაჩვენები იყო 1980 წელს რეჟისორ თემურ ბაქრაძის გადაღებული კინონარკვევი „სესილია თაყაიშვილი".

— ეროვნულ არქივში დაცულია უნიკალური ფოტოები, რომელიც მხატვრული ფილმების გადაღების პროცესს ასახავს. სწორედ აქედან შევარჩიეთ სესილია თაყაიშვილის კინოროლების ამსახველი კადრები, რომლის თქვენს წინაშეა წარმოდგენილი. გამოფენაზე იხილავთ, ასევე, სურათებს სესილია თაყაიშვილის საოჯახო ფოტოალბომებიდან, — აღნიშნა გამოფენის გახსნის ცერემონიაზე ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა.

სესილია თაყაიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებით გამოფენის გახსნისას ისაუბრეს მსახიობის შვილიშვილმა ნატა გოძიაშვილმა, რეჟისორმა ელდარ შენგელაიამ, მსახიობმა ასმათ ტყაბლაძემ და თეატრმცოდნე ნათელა არველაძემ.

სესილია თაყაიშვილის 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილ გამოფენაზე დასწრება თავისუფალია, ის 25 მაისს დაიხურება.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი".

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




**იცხოვრეთ მომავლისთვის.**

**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● სწრაფად, უსაფრთხოდ, უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ასაკის მიუხედავად, გარანტიით განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას (ნევრიტს), ოსტეოქონდროზს, სახსრების ანთებას, პროსტატიტს, ხშირ შარდვას ღამით და დღისით, წვას, ტკივილს, პოტენციის დაქვეითებას, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, წყლულებს, შეუხორცებელ ჩირქოვან ჭრილობებს, კიდურებში სიცივესა და დაბუჟებას, რადიკულიტს, ოტიტს, ფარინგიტს, ცისტიტს, ლარინგიტს, თავის ტკივილს, დაჟეჟილობას, მასტიტს, ოოფორიტსა და სხვა ანთებებს. ყოველ პროცედურაზე გადასახადის ოდენობა განისაზღვრება თითოეული პაციენტისთვის ინდივიდუალურად. მისამართი: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. დამიკავშირდით წინასწარ. ტელ: 899 97 85 46 რეაბილიტოლოგი ლევან სეხნიაშვილი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● ვაკეთებ ეპილაციას ლაზერის აპარატით. მიღება ჩაწერით. მისამართი: ჩიტაიას 19 (ყოფილი საბჭოს ქუჩა). ტელ: 96-67-03; 895-35-64-13 ექიმი გულიკო ჩიკვილაძე.

● გახდომა-გასუქება სწრაფად და ეფექტურად 5-დან 20 კგ-მდე თვეში, შიმშილისა და ვარჯიშის გარეშე, ჯანმრთელობისთვის უვნებლად მხოლოდ მცენარეული საშუალებებით, ინდივიდუალურად შედგენილი უახლესი პროგრამებით, სტაბილური წონის შენარჩუნებით. შედეგი გარანტირებულია 100%-ით, უკუჩვენების გარეშე. მის: დიდუბე, სამთოქიმია, I სართული, ოთახი №6. ტელ: 893-44-58-65; 34-02-38 ექიმი ქ-ნი დეა.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 899-25-44-14 ან 34-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ქირავდება საბურთალოზე ოროთახიანი კეთილმოწყობილი, მაღალჭერიანი ნათელი ბინა, ავეჯით, მაცივრით, სარეცხი მანქანით, გარაჟით. თვეში 400 აშშ დოლარი. ტელ: 874-48-50-55 შორენა ფიფია; 879-89-00-01 გოგა ფიფია.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი". ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 30 კმ-ში 2000 კვ.მ ხეხილიანი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი (შეიძლება გაყოფაც 1000-1000 კვ.მ-ად), სასმელი და სარწყავი წყლით. ფასი 1 კვ.მ. 2 დოლარი. ტელ:. 53-15-87; 890-53-02-41.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ". ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

# ბასტიან შვაინშტაიგერი: „გერმანიის ნაკრები ლიოვმა შეცვალა“

**26 წლის ბასტიან შვაინშტაიგერის ზურგს დიდი გამოცდილება უმაგრებს. „ბაიერნის" ძირითად გუნდში 2002 წლიდან გამოდის და მიუნხენელთა შემადგენლობაში ჩატარებულ 348 შეხვედრაში 40 გოლი გაიტანა. ეს თითქოს ბევრი არ არის, მაგრამ ამჯერად ნახევარმცველისთვის, რომელიც უფრო დაცვაზეა ორიენტირებული, ესიც მაჩვენებელს ვერ ვუწოდებთ.**



რაც შეეხება გერმანიის ნაკრებს, ბასტიანმა მისი მაისური მან 87 მატჩში მოირგო და მეტოქეთა კარში 21 გოლის გატანა მოახერხა. დღესდღეობით, ის „ბაიერნის“ პირველი ვიცე-კაპიტანია და მოედანზე ფილიპ ლამის არყოფნისას, კაპიტნის სამკლაურსაც მოირგებს ხოლმე. სხვათა შორის, მისთვის უცხო არც ნაკრების კაპიტნობაა.

გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც შვაინშტაიგერს რუსულმა გამოცემა „სპორტ-ექსპრესმა“ ჩამოართვა.

***— გასული წლის შობამდე, გულშემატკივრებს „ბაიერნთან“ კონტრაქტის 2016 წლამდე გახანგრძლივება განსაკუთრებულად ამცნეთ — პირდაპირ „ალიანს არენას“ გადაჭედილი ტრიბუნების თვალწინ. ეს თქვენი იდეა იყო?***

— დიახ. მსურდა, რომ კონტრაქტის გახანგრძლივების შესახებ პირველად ჩვენს გულშემატკივრებს გაეგოთ. ამის შესახებ, არცერთ გაზეთში სტრიქონიც არ დაწერილა, არადა, ყველაფერი ერთი დღით ადრე მოხდა. საქმის კურსში მხოლოდ ჩემი თანაგუნდელები და „ბაიერნის“ ხელმძღვანელობა იყო — კარლ-ჰაინც რუმენიგე, სპორტული დირექტორი კრისტიან ნერლინგერი და მაშინდელი მთავარი მწვრთნელი ლუის ვან გაალი. თუმცა, კლუბის ფარგლებს ინფორმაცია არ გასცდენია, რადგან ძალიან მინდოდა, რომ „ბაიერნის“ ერთგულ გულშემატკივარს ეს ჩემგან პირადად შეეტყო.

***— ამბობენ, „ჩელსი“, „რეალი“ და „იუვენტუსი“ გეპატიჟებოდნენ. დარჩენა რატომ გადაწყვიტეთ?***

— წინადადებები მართლაც მქონდა. დიდი ხანი ვფიქრობდი, ჩემს კარიერას რომელი ნაბიჯი წაადგებოდა და დარჩენა გადავწყვიტე — მიუნხენში საუცხოო გუნდი გვყავს. როდესაც ისეთ ბიჭებს ხედავ, როგორებიც ლამი, რიბერი, რობენი, გომესი, ახალგაზრდა მიულერი და ბადშტუბერი არიან, ამ გუნდში ეჭვის შეტანა არ შეიძლება. ახლა ჩვენთან ნოიერი გადმოვა და ალბათ, კიდევ ვიყიდით ორსამ ძლიერ მოთამაშეს, რის შემდეგ კოლექტივში სუსტი ადგილები არ გვექნება. განვლილ სეზონში სხვაგვარად იყო. თუმცა, როდესაც მთელი ძალით ვთამაშობთ, ვფიქრობ, „ბაიერნი“ ევროპის ოთხი უძლიერესი გუნდიდან ერთ-ერთია. მჯერა, რომ მომავალი ჩემპიონთა ლიგის მოგება შეგვიძლია.

***— მით უმეტეს, რომ ფინალი მიუნხენში გაიმართება?***

— საკუთარ სტადიონზე ჩემპიონთა ლიგის მოგება ჩემი ოცნებაა. ეს ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც, „ბაიერნში“ დარჩენა გადავწყვიტე. გარდა ამისა, ამ კლუბში ყველაფერი ძალიან მაღალპროფესიულ დონეზეა. მაგალითად, ჩვენი სამედიცინო შტაბი ევროპაში საუკეთესოა.

***— შეიძლება ითქვას, რომ მომავალ სეზონში მთავარი მიზანი ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება იქნება?***

— რა თქმა უნდა...

***— არსებობს შანსი, „ბაიერნში“ კარიერის ბოლომდე ითამაშოთ?***

— ვერ გეტყვით. იმედია, ჩემი კარიერა კიდევ დიდხანს გაგრძელდება. შესაძლოა, ერთხელაც რაღაც ახალი მოვსინჯო და შევიგრძნო, თუ რას ნიშნავს საზღვარგარეთ თამაში. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ უახლოეს სამ წელიწადს „ბაიერნში“ გავატარებ.

***— გუნდიდან ვან ბომელის წასვლის შემდეგ, მეორე ვიცე-კაპიტნიდან პირველამდე დაწინაურდით. ალბათ, კაპიტნობაზეც ოცნებობთ.***

— ჩემთვის ეს იმდენად მნიშვნელოვანი არ არის. კლუბისთვის სარგებლობის მოტანას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე კაპიტნის სამკლაურის ტარებას. „ბაიერნში“ მართლაც დიდი ხანია ვარ. თამაშამდე, როდესაც წრეში ხელგადახვეულები ვდგებით, ყველაზე ხშირად ლამი საუბრობს, ზოგჯერ — ბუტიც. თუმცა, რაღაცის თქმის უფლება გუნდის თითოეულ ფეხბურთელს აქვს. პირადად მე, ვცდილობ საკუთარი სათქმელი თამაშის დროს ვთქვა.

***— სუპერკლუბებში ადგილობრივი საფეხბურთო სკოლის აღზრდილებს ფეხის მოკიდება უჭირთ. თქვენ ეს როგორ მოახერხეთ?***

— გარკვეულწილად გამიმართლა, რადგან იმ მომენტში გუნდში რამდენიმე ტრავმირებული ფეხბურთელი იყო. თუმცა, როდესაც შანსს იღებ, ის აუცილებლად უნდა გამოიყენო, რაც შევძელი კიდეც. ამჟამინდელ „ბაიერნს“ თუ შევხედავთ, მის რიგებში ადგილობრივი სკოლის ბევრი აღზრდილი გამოდის — ბადშტუბერი, ლამი, მიულერი, კონტენტო, ოტლი, კრაფტი... ეს „ბაიერნის“ ტრადიციის შესანარჩუნებლად მნიშვნელოვანია. ჯერ კიდევ ახალგაზრდულ გუნდებში თამაშისას ვიცოდი, რომ მხოლოდ მოსაგებად ვთამაშობდით, რადგან ძლიერები ვიყავით. როდესაც ბავშვობიდან ასეთი მენტალიტეტი გიყალიბდება, უფრო ადვილია, რომ პირველ გუნდში დიდ ფსიქოლოგიურ წნეხს გაუძლო.

***— გერმანიაში სეზონის სუპერვარსკვლავი თქვენი მეგობარი მარიო გომესი გახდა, რომელმაც 28 გატანილი გოლით ბომბარდირთა დავა მოიგო. არადა, მას „ბაიერნში“ ადაპტაციის პერიოდი არცთუ იოლი ჰქონდა.***

— „შტუტგარტში“ ის ლიდერი იყო და ფიქრობდა, რომ მიუნხენშიც ასე გააგრძელებდა. თუმცა, აქ სხვა დონის კონკურენციასთან შეგუება მოუხდა. თან, გარკვეულწილად სათამაშო სტილიც უნდა შეეცვალა. იგი უფრო მეტად ეხმარება დაცვას, უფრო ბევრს დარბის, რაც ყველასთვის კარგია. თუმცა, ყველამ იცის, რომ მარიოს ბუნდესლიგაში 28 კი არა, 35 გოლის გატანაც შეუძლია. მით უმეტეს, მას საწყის შვიდ ტურში არ უთამაშია. ასე რომ, არ გამიკვირდება, თუ მომავალ სეზონში გერდ მიულერივით 35 ან 40 გოლის ავტორი გახდება.

***— დორტმუნდის „ბორუსიას“ ფენომენს რით ახსნით? ამ გუნდმა განვლილი ჩემპიონატი საუცხოო სტილში მოიგო.***

— „ბორუსია“ ძალიან მძლავრად და დამაჯერებლად თამაშობს. ამ გუნდის ფეხბურთელები ძალიან ბევრს მოძრაობენ. მის შემადგენლობაში კარგი მოთამაშეები გამოდიან — გიოტცე, ბარიოსი, ჰუმელსი და სხვები. შესაძლოა, ამჟამად, დორტმუნდში სუპერვარსკვლავები არ არიან, მაგრამ გუნდი ძალიან ახალგაზრდაა და არაა გამორიცხული, ზოგიერთი მათგანი ასეთად ჩამოყალიბდეს. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ „ბაიერნი“ უფრო ძლიერია. ვნახოთ, ჩემპიონთა ლიგის მომავალ ტურნირში „ბორუსია“ როგორ ითამაშებს. იმედია, კარგად გამოუვა, რადგან ეს მთელი გერმანიისთვის კარგი იქნება.

***— იმ მწვრთნელთაგან, ვისთან ერთადაც „ბაიერნში“ გიმუშავიათ — ოტმარ ჰიცფელდი, ფელიქს მაგათი, იურგენ კლინსმანი, ლუის ვან გაალი... რომელთან გრძნობდით თავს ყველაზე კომფორტულად?***

— თითოეულმა მათგანმა გუნდში რაღაც საკუთარი მოიტანა. თუმცა, ლუის ვან გაალის მუშაობის პირველ წელს აღვნიშნავ, როდესაც ჩემს საყვარელ პოზიციაზე — მოედნის ცენტრში ვთამაშობდი. ვან გაალთან ურთიერთობამ ბევრი რამ მასწავლა.

***— კლუბში ჰოლანდიელის მუშაობის პირველ წელს „ბაიერნმა“ ყველაფერი მოიგო, ჩემპიონთა ლიგის ფინალის გარდა. მეორე წელს კი, ყველაფერი წააგო. რა შეიცვალა?***

— ერთ წინადადებაში ამის ჩამოყალიბება არცთუ ადვილია. როდესაც ვერ იგებ, თავდაჯერებას კარგავ. ზოგჯერ გუნდი ერთ ტაიმს ისე თამაშობს, რომ მის გამარჯვებაში ეჭვის შეტანა რთულია, მაგრამ შესვენების შემდეგ, უცებ ყველაფერი იცვლება და ვაგებთ. ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში „ინტერს“□ მილანში მოვუგეთ და შემდეგ, მიუნხენში 60 წუთის განმავლობაში საუცხოო ფეხბურთს ვაჩვენებდით. წესით, შესვენებამდე ანგარიში ჩვენს სასარგებლოდ, 4:1 მაინც უნდა ყოფილიყო, საბოლოო ჯამში კი, რა მოხდა?!

***— ბევრი თვლის, რომ მეორე წელს გუნდი უბრალოდ დაიღალა ვან გაალისგან, როგორც ადამიანისგან და მისი ავტორიტარული მეთოდებისგან.***

— ყველას მაგივრად ვერ ვისაუბრებ. ვან გაალი ძალიან კარგი სპეციალისტია. მან ფეხბურთის შესახებ ყველაფერი იცის. ვან გაალი საუცხოოდ გვიხსნიდა, თუ რა სურდა გუნდისგან და მისი ვერგაგება შეუძლებელი იყო. ჩემთვის კარიერის განმავლობაში ასე გასაგებად არავის არაფერი აუხსნია. თუმცა, ვან გაალის მუშაობის მეორე სეზონში სათანადო ქულებს ვერ ვიღებდით და ამან თავისი როლი ითამაშა.

***— რას ელით „ბაიერნის“ ახალ მთავარ მწვრთნელ იუპ ჰაინკესისგან?***

— იმედია, წარმატება და ტიტულები დაგვიბრუნდება. ჰაინკესს უდიდესი გამოცდილება აქვს, რაც განვლილ სეზონში ლევერკუზენში მუშაობით დაამტკიცა. ამასთან, ის მშვიდი ადამიანია და ული ჰიონესთან ურთიერთობაში პრობლემები არ ექნება.

***— დღევანდელ ეროვნულ ნაკრებში თქვენი ყველაზე პრინციპული მეტოქის, დორტმუნდის „ბორუსიას“ ბევრი წარმომადგენელია. ბავარიელებს მათთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ?***

— გუნდში არსებული ატმოსფეროს მხრივ არავითარი პრობლემა არ არსებობს. ეროვნულ ნაკრებში ყველა ერთ საქმეს ვაკეთებთ. დორტმუნდელებს ნიჭიერი ახალგაზრდა მოთამაშეები ჰყავთ, რომლებიც შემოდგომაზე ჩემპიონთა ლიგაში მნიშვნელოვან გამოცდილებას მიიღებენ, რაც მათ და ნაკრების თამაშზე აუცილებლად აისახება. ევრო-2012-სთვის ჩვენი გუნდის ჩამოსაყალიბებლად ეს ძალიან კარგია.

***— იურგენ კლინსმანმა და იოახიმ ლიოვმა გუნდში რა შეცვალეს?***

— სიმართლე ითქვას და, ლიოვმა შეცვალა — ჩვენ კარგი ფეხბურთის თამაში დავიწყეთ და ამისგან დიდ სიამოვნებას ვიღებთ. იმის თაობაზე დავფიქრდით, რომ არა მხოლოდ სათანადო შედეგს უნდა მივაღწიოთ, არამედ თამაშისგან სიამოვნებაც მივიღოთ.

***— რატომ იყო კლინსმანი ასეთი წარმატებული გერმანიის ნაკრებში და ასეთი წარუმატებელი „ბაიერნში“?***

— უმთავრესად, „ბაიერნი“ მის სამწვრთნელო კარიერაში პირველი კლუბი იყო. ეროვნულ გუნდში კი, კლინსმანს საუცხოო დამხმარე ჰყავდა ლიოვის სახით. გუნდის შიგნით ყველას ესმოდა, რომ მწვრთნელი სწორედ ლიოვია. მხოლოდ ის ხალხი, ვინც გუნდს თვალს გარედან ადევნებდა, ფიქრობდა, რომ თავკაცი კლინსმანი იყო.

***— მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე, ყველაზე ოდიოზური ფიგურა გერმანიის წარმომადგენელი იყო, მაგრამ არა ფეხბურთელი და მწვრთნელი. გერმანიის ნაკრების ფეხბურთელებს რვაფეხა პაულის წინასწარმეტყველების გჯეროდათ?***

— დიახ, ჩვენ მის პროგნოზებს თვალს ვადევნებდით. როგორც ხედავთ, ის ყველაფერში მართალი აღმოჩნდა — ნახევარფინალში ესპანეთთან მატჩის შედეგიც გამოიცნო.

***— გუნდში რვაფეხას არაპატრიოტულ არჩევანზე მსჯელობდით?***

— ამის თაობაზე ბევრს ვხუმრობდით.

***— მისი შეჭმის სურვილი არ გაგჩენიათ?***

— ის ისედაც მოკვდა.

***— სერიოზულად გეკითხებით, გუნდის ფსიქოლოგიურ განწყობაზე მსგავსი რამ მოქმედებს?***

— ჩვენ მისი პროგნოზების არ გვჯეროდა, მაგრამ საბოლოოდ, რვაფეხა მართალი აღმოჩნდა. ცხადია, მის წინასწარმეტყველებას სერიოზულად არავინ აღიქვამდა და ეს უბრალოდ, გუნდში ხუმრობის კიდევ ერთი მიზეზი იყო.

***— 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ოქროს ბუცი თქვენმა თანაკლუბელმა თომას მიულერმა დაიმსახურა. 20 წლის ასაკში ასე თამაში როგორ შეიძლება?!***

— საქმე ის არის, რომ მიულერი გიჟია. სულ ლაპარაკობს, ლაპარაკობს და ერთი წამით არ ჩუმდება — რადიოსავითაა. სასტუმროში, როცა ყველას სძინავს, კედლის მეორე მხრიდან მის ხმას გაიგებ. მიულერი მხიარული ბიჭია. გუნდისთვის ასეთი ხასიათის მოთამაშე ძალიან სასარგებლოა, აღარაფერს ვამბობ მის საუცხოო ფეხბურთელობაზე.

***— ესპანეთის ნაკრებს ოდესმე დაამარცხებთ?***

— დღესდღეობით, ესპანეთი მსოფლიოს საუკეთესო გუნდია. თუმცა, ვფიქრობ, რომ მას მოვუგებთ. თეორიულად ყველამ იცის, ესპანელები როგორ უნდა დაამარცხოს, მაგრამ პრაქტიკაში ამის განხორციელება არ შეუძლიათ. ვფიქრობ, ესპანელებს უფრო აგრესიულად უნდა ვეთამაშოთ, მეტი სიმძლავრე და ფიზიკური მომზადება დავუპირისპიროთ. ესპანეთი ძალიან ჭკვიანი გუნდია, რომელმაც საუცხოოდ იცის, რა უნდა აკეთოს როგორც ბურთიანად, ასევე მის გარეშეც. ერთადერთი საშუალება, რომ ამას წინ აღუდგე, ფიზიკური მონაცემებით უპირატესობის გამოყენება, ხისტი ორთაბრძოლების მაქსიმალურად თავსმოხვევა და მათში გამარჯვებაა.

***— ალბათ, გაგიკვირდათ, რომ 2010 წელს „ოქროს ბურთი“ მესიმ მიიღო, რომელსაც იმ წელს არაფერი მოუგია.***

— დიახ, ეს გარკვეულწილად სიურპრიზი გახდა. ვთვლი, რომ ხავი და ინიესტა ჯილდოს უფრო მეტად იმსახურებდნენ.

***— საზღვარგარეთ თანამედროვე გერმანული ფეხბურთი დიდწილად თქვენთან ასოცირდება — გარეგნობა და გვარი ხაზგასმით გერმანული გაქვთ.***

— სხვები უფრო კარგად ხედავენ, მაგრამ ვგრძნობ, რომ ჩემი გვარის გამოთქმა ხალხისთვის არცთუ ადვილია. ამერიკაში მცხოვრები ახლობლები მეუბნებოდნენ: „აქ შენ ყველა გიცნობს“. როდესაც ვკითხე — რატომ-მეთქი, მიპასუხეს: „იმიტომ, რომ შენი გვარის გამოთქმა შეუძლებელია — ენას მოიტეხ!“.

***— სახელი ბასტიანი არცთუ გავრცელებულია. მშობლებმა ეს სახელი რატომ დაგარქვეს?***

— უფრო პოპულარული სახელი სებასტიანია. ჩემს ბაბუასაც ასე ჰქვია. მშობლებს არ სურდათ, რომ ჩემთვის ზუსტად იგივე სახელი დაერქმიათ, მაგრამ ამავდროულად ბაბუის პატივისცემაც უნდოდათ. ამიტომ, ასეთი ვარიანტი მოიფიქრეს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## ტატიშვილი როლან გაროსს ძირითადი ბადიდან დაიწყებს

ქართველი ჩოგბურთელის, ანა ტატიშვილის ბოლოდროინდელმა წარმატებებმა ის საქმე გააკეთა, რომ ჩვენებური საფრანგეთის ღია პირველობაზე საკვალიფიკაციო ეტაპს ასცდა და ასპარეზობას პირდაპირ „როლან გაროსის“ ძირითადი ბადიდან დაიწყებს.

საფრანგეთის ღია პირველობის ძირითადი ბადის კენჭისყრა 20 მაისს შედგება და ტატიშვილის მეტოქეც მაშინ გაირკვევა. მანამდე კი საფრანგეთის ღია პირველობის ქალთა საკვალიფიკაციო ტურნირში, 96 ჩოგბურთელს შორის ერთი ქართველიც იასპარეზებს. საქართველოს მე-2 ჩოგანი ოქსანა კალაშნიკოვა, რომელიც ქალთა საჩოგბურთო ასოციაციის რეიტინგში 180-ე ადგილზეა, პირველ რაუნდში ძალებს ყაზახ ზარინა დიასთან (145-ე) მოსინჯავს.

ქართველისა და ყაზახის დაპირისპირება გუშინ გვიან დასრულდა და თუკი კალაშნიკოვა აზიური ბარიერს დასძლევდა, მისი მომდევნო მეტოქე 23-ე ნომრად განთესილ რუს ალექსანდრა პანოვასა და კანადელ სტეფანი დიუბუას შორის გამარჯვებული იქნება. საკვალიფიკაციო ტურნირიდან ძირითად ბადეში 12 საუკეთესო გააღწევს, ამდენად, ოქსანას მიზნის მისაღწევად სამი თამაშის მოგება დასჭირდება.

ცნობისთვის, „როლან გაროსის“ საპრიზო ფონდი 16 მილიონ ევროზე მეტია, და შესაბამისად სარეიტინგო ქულებიც საკმაოდ ძვირად ფასობს. მაგალითად, ქალებისთვის, მხოლოდ მეორე წრეში გასვლისთვის 100 ქულაა გათვალისწინებული.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

სიტი-სტოკი ........ 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 37 | 22 | 11 | 4 | 74:35 | 77 |
| 2.ჩელსი | 37 | 21 | 8 | 8 | 69:32 | 71 |
| 3.სიტი | 37 | 20 | 8 | 9 | 58:33 | 68 |
| 4.არსენალი | 37 | 19 | 10 | 8 | 70:41 | 67 |
| 5.ტოტენჰემი | 37 | 15 | 14 | 8 | 53:45 | 59 |
| 6.ლივერპული | 37 | 17 | 7 | 13 | 59:43 | 58 |
| 7.ევერტონი | 37 | 12 | 15 | 9 | 50:44 | 51 |
| 8.ფულემი | 37 | 11 | 15 | 11 | 48:41 | 48 |
| 9.სტოკი | 37 | 13 | 7 | 17 | 46:47 | 46 |
| 10.ბოლტონი | 37 | 12 | 10 | 15 | 52:54 | 46 |
| 11.ვესტ ბრომ. | 37 | 12 | 10 | 15 | 53:68 | 46 |
| 12.ნიუკასლი | 37 | 11 | 12 | 14 | 53:54 | 45 |
| 13.ას. ვილა | 37 | 11 | 12 | 14 | 47:59 | 45 |
| 14.სანდერლ. | 37 | 11 | 11 | 15 | 42:56 | 44 |
| 15.ბლექბერნი | 37 | 10 | 10 | 17 | 43:57 | 40 |
| 16.ვულვზი | 37 | 11 | 7 | 19 | 44:63 | 40 |
| 17.ბირმინგემი | 37 | 8 | 15 | 14 | 36:56 | 39 |
| 18.ბლექპული | 37 | 10 | 9 | 18 | 53:74 | 39 |
| 19.უიგანი | 37 | 8 | 15 | 14 | 39:61 | 39 |
| 20.ვესტ ჰემი | 37 | 7 | 12 | 18 | 43:67 | 33 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

**პლეი-ოფი**

კარდიფი-რედინგი ........ 0:3

**ბელგია. პროლიგა**

ანდერლეხტი-ლოკერენი ........ 3:4

ბრიუგე-გენტი ........ 3:0

გენკი-სტანდარდი ........ 1:1

**კალათბურთი**

**ნბა. პლეი-ოფი**

**ნახევარფინალი 4 მოგებამდე**

დალასი-ოკლაჰომა ........ 121:112

სერიის ანგარიში ........ 1:0

**ჩოგბურთი**

**როლან გაროსი**

**ქალები**

ვოზნიაკი-ლუ ........ 6:0;7:5

ლისიცკი-არუაბარენა ........ 6:3;6:2

ფლორისი-კუსტოვა ........ 7:5;6:0

**კაცები**

შულერი-გუჩიონი ........ 6:4;6:4

გენსე-იტო ........ 7:6;6:1

ლორენცი-მიშონი ........ 6:3;7:5

**ჰოკეი**

**ნჰლ. პლეი-ოფი**

**ნახევარფინალი 4 მოგებამდე**

ბოსტონი-ტამპა ბეი ........ 6:5

სერიის ანგარიში ........ 1:1

შედით საიტზე atb.ge

# გია ნიჟარაძე: „რუსეთს განსაკუთრებულად უნდა ვუმასპინძლოთ“

თბილისში გასამართ „მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფის“ დაიწყებამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება.

მომავალი ტურნირის შესახებ სასაუბროდ, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გიორგი ნიჟარაძემ „შევარდნის სანაკრებო ბაზაზე“ პრეკონფერენცია გამართა.

**გიორგი ნიჟარაძე:**

— მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფისთვის მოსამზადებელი ძირითადი სამუშაოები დასრულებულია. რაგბის კავშირმა საამისოდ უზარმაზარი შრომა გასწია. ვიცოდით, რომ ასეთი მაღალი რანგის ტურნირის ორგანიზება იოლი არ იქნებოდა, მაგრამ თუ ასეთი ძნელი გამოდგებოდა, ნამდვილად არ გვეგონა. სათამაშო მოედნების, აღჭურვილობის და სხვა წვრილმანი პრობლემები გადაჭრილია. 18 მაისს, გამთენიისას გვეწვია იაპონიის ნაკრები, დანარჩენი გუნდები და ოფიციალური პირები კი 20-21 მაისს გვეწვევიან. კანადისა და აშშ-ს ნაკრებები სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ იცხოვრებენ, რუსეთისა და იაპონიის გუნდები „შერატონ მეტეხი პალასში“ დაბინავდებიან, ურუგვაელ, ზიმბაბველ და სამოელ მორაგბეებს კი სასტუმრო „ჰოლიდეი ინი“ უმასპინძლებს. თამაშები ძირითადად „ავჭალის სარაგბო სტადიონზე“ გაიმართება, რამდენიმე თამაში კი „შევარდნის სანაკრებო ბაზაზე“ ჩატარდება, სადაც მატჩებზე დასწრება უფასოა. „ავჭალის“ სტადიონზე კი შესვლა აბონიმენტებით იქნება შესაძლებელი, რომლის ფასიც 30 ლარია და მფლობელს ოთხივე სათამაშო დღეს, ყველა მატჩის ნახვის საშუალებას აძლევს. სამწუხაროდ, ვინაიდან "ავჭალის" სტადიონი მხოლოდ 2.000 მაყურებელს იტევს, აბონიმენტების რაოდენობა შეზღუდულია და ის მატჩებზე დასწრების მსურველებმა დროულად უნდა შეიძინონ. „მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფი“ ისეთი დონის შეჯიბრებაა, როგორიც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში არასდროს გამართულა. ეს არის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი, რომელშიც საკმაოდ მაღალი დონის გუნდები ასპარეზობენ. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ის უზადოდ ჩავატაროთ. საქართველოში ჩამოდის სხვადასხვა კონტინენტის, კულტურისა და მენტალიტეტის ქვეყანათა ნაკრებები, რომელთაც უმრავლესობას საქართველოზე არანაირი ინფორმაცია არ გააჩნიათ. მათ ყველა ნაბიჯზე უნდა დავანახოთ ჩვენი კეთილგანწყობა. თუ შევძელით და ტურნირმა კარგი შეფასება მიიღო, მომავალში უფრო მაღალი რანგის შეჯიბრებების გამართვის უფლებას მოგვცემენ. მათ შორის, შესაძლოა, საქართველოში 2013 წლის ახალგაზრდული მსოფლიოს ჩემპიონატიც ჩავატაროთ. ძალიან მაწუხებს ის ამბავი, რომ იმ დროისთვის, როცა ტურნირი დაიწყება, დაგეგმილია საპროტესტო აქციები, რასაც ტრანსპორტით გადაადგილების შეზღუდვა მოჰყვება. ეს სერიოზულ პრობლემებს შეგვიქმნის. ეს შეჯიბრება კი მარტო რაგბის კავშირის საზრუნავი არ არის, ეს მთელი საქართველოს პრესტიჟის საქმეა, ამიტომ მივმართავ პოზიციასაც და ოპოზიციასაც, მემარჯვენეებსაც და მემარცხენეებსაც, ყველანაირად ეცადონ მათმა ქმედებებმა სტუმრებს დისკომფორტი არ შეუქმნას. ტურნირში მოთამაშე გუნდების ავტობუსებზე დამაგრებული იქნება სპეციალური სტიკერები. როცა მათ რაიმე შეფერხება შეექმნებათ, გთხოვთ, ყველამ აღმოუჩინოთ დახმარება. პირველ ივნისს თბილისში მეორედ გვეწვევა ირბ-ს პრეზიდენტი ბერნარ ლაპასე, რომელიც ჯგუფური ტურნირის ბოლო ტურის შეხვედრებს დაესწრება. რუსეთის ნაკრებს რაც შეიძლება კარგად უნდა ვუმასპინძლოთ. ქართულ და რუსულ რაგბის თემებს შორის შესანიშნავი ურთიერთობაა. საქართველოში ჩამოდიან 18-19 წლის რუსი ბიჭები, რომლებმაც საქართველოზე არაფერი იციან, იმ ნეგატიურის გარდა, რასაც რუსული მედია აწვდის. რა ჯობია, ვანახოთ ის, რასაც რუსეთის ხელისუფლების პროპაგანდა ეწევა თუ პირიქით, ვაჩვენოთ ჩვენი სტუმართმოყვარეობა, კულტურა. განა უკეთესი არ არის, საქართველოდან რუსეთში დაბრუნდეს ჩვენი ქვეყნის 30 მეგობარი, რომლებიც თავიანთ ოჯახებში, მეგობრებში მიიტანენ ჩვენ შესახებ დადებით ინფორმაციას. ვფიქრობ, რუსები და იაპონელები განსაკუთრებული სითბოთი უნდა მივიღოთ. იაპონელებს, ამ მართლაც უდიდეს ერსს, უნდა დავანახოთ, რომ დიდად ვწუხართ იმ უბედურების გამო, რაც თავს დაატყდათ. რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს. ასეთი პირობები, როგორიც მათ აქვთ შექმნილი, ჩვენი ქვეყნის არც ერთ ასაკობრივ ნაკრებს არასდროს ჰქონია. გუნდი სასტუმრო „ბომონდ გარდენში“ ცხოვრობს. სამწუხაროდ, ტრავმების გამო რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დაგვაკლდა. რამდენიმეს მიკრო ტრავმა აწუხებს და იმედია შეჯიბრების დაწყებამდე გამოჯანმრთელდებიან. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენი მეტოქეების შემადგენლობაში, რამდენიმე ისეთი მოთამაშე იქნება, ვისაც ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიოს თასზე, თავისი ეროვნული ნაკრების ღირსების დაცვის პრეტენზია აქვს. ამიტომ ყველა გუნდი ბოლომდე, თავდადებით იბრძოლებს და დარწმუნებული ვარ, თითოეული გუნდიდან მინიმუმ ორი მოთამაშე შეძლებს ეროვნული ნაკრებიდან მიწვევა მიიღოს. ტურნირზე ბევრი თავისუფალი დრო გუნდებს არ ექნებათ. თუმცა, ჩვენ მაინც შევთავაზებთ კახეთის, მცხეთის და თბილისის ღირშესანიშნაობების დათვალიერებას. თუ მოისურვებენ ყველა,ფერს ვიღონებთ, რომ კმაყოფილნი დარჩნენ. ტურნირის დასრულების შემდეგ კი ერთი დიდი ბანკეტი გაიმართება, სადაც პატარა კონცერტს მოვაწყობთ, რაც ჩვენ სტუმრებს საშუალებას მისცემს ქართულ კულტურაზე წარმოდგენა შეექმნათ. სტადიონზე თამაშების მსვლელობისას, მაყურებლებისთვის ყველა პირობა იქნება შექმნილი. გაიხსნება კვების ბლოკი, გაიყიდება სუვენირები. ერთი სიტყვით, ვეცდებით ერთი დიდი სარაგბო ზეიმი მოვაწყოთ, რომელშიც ყველა, ორგანიზატორებიც, მორაგბეებიც და მაყურებლებიც, ერთად მივიღებთ მონაწილეობას.

# პელეს მესისა არ სჯერა

70 წლის პელე, რომელიც პროგნოზებით არასდროს გამოირჩეოდა, ლიონელ მესის, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის სტატუსს, კვლავ ეჭვქვეშ აყენებს. თუმცა, იმას კი აღიარებს, რომ „ბარსელონა“ პლანეტის სუკეთესო საფეხბურთო გუნდია.



ბრაზილიელმა ფეხბურთის ლეგენდამ კიდევ ერთხელ წამოსწია „ბარსელონას“ ფორვარდის ლიონელ მესის სიდიადის საკითხი და თქვა, რომ მას წარსულის ზოგიერთ ლეგენდასთან გასათანაბრებლად ჯერ კიდევ ბევრი რამის მიღწევა სჭირდება.მესი, რომელიც ბოლო ორი წლის მანძილზე „ოქროს ბურთს“ ორჯერ დაეუფლა, ამ დროისთვის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად საყოველთაოდაა მიჩნეული. ბევრი მიიჩნევს, რომ 23 წლის არგენტინელი ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელიც გახდება. თუმცა, პელე ამ თვალსაზრისს არ დაეთანხმა და მესის არგენტინის ნაკრებში არცთუ ძალიან წარმატებულ ასპარეზობაზე გაამახვილა ყურადღება.

— ხალხს უყვარს ხმამაღალი შედარებების გაკეთება, მაგრამ მათ არ უნდა დაავიწყდეთ იოჰან კრუიფი, მიშელ პლატინი და ალფრედო დი სტეფანო, რომლებიც ლიონელ მესიზე უკეთესები იყვნენ, — აცხადებს ფეხბურთის მეფე.

ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა აზრი ჩემპიონთა ლიგის მომავალ ფინალზეც გამოთქვა:

— „მანჩესტერ იუნაიტედი“ ძლიერი გუნდია და ფეხბურთის ინგლისური სათამაშო სტილის ერთგული, მაგრამ ეჭვგარეშედ მიმაჩნია, რომ „ბარსელონა“ მსოფლიოს საუკეთესო კლუბია.

# იაპონიამ ამერიკის თასზე მონაწილეობაზე უარი თქვა

ჯერჯერობით უცნობია იმ მე-12 გუნდის ვინაობა, რომელმაც მონაწილეობა ამერიკის თასზე უნდა მიიღოს. შეგახსენებთ, რომ ეს გათამაშება წელს, ივლისში გაიმართება და მასში ტრადიციულად 12 გუნდი მონაწილეობს — 10 სამხრეთ ამერიკული გუნდი, მექსიკა და კიდევ ერთი მოწვეული გუნდი.

2011 წელს იაპონიის ნაკრები ტურნირის პირველ ეტაპზე არგენტინასთან, ბოლივიასა და კოლუმბიასთან ერთ ჯგუფში უნდა გამოსულიყო, მაგრამ აზიელებმა საბოლოოდ განაცხადეს უარი. ამის შესახებ არგენტინის საფეხბურთო ასოციაციის პრეზიდენტმა ხულიო გრონდონამ გააკეთა განცხადება.

იაპონელებმა თავდაპირველად ამერიკის თასზე მონაწილეობაზე უარი იაპონიაში მარტში მომხდარი მიწისძვრის და ცუნამის გამო თქვეს (სტიქიური უბედურების გამო ქვეყნის ჩემპიონატში ბევრი მატჩი გადაიდო და მათი ნაწილი ივლისში გაიმართება). ამის შემდეგ იაპონიის ნაკრების ადგილი ესპანელებს შესთავაზეს, მაგრამ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონებმა ტურნირში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს.

აპრილში იაპონელებმა თქვეს, რომ ამერიკის თასზე მონაწილეობას მაინც მიიღებდნენ, რადგან ფიფამ გადაწყვიტა ევროპული კლუბებისთვის იაპონელი ფეხბურთელების ტურნირზე გაშვება დაევალდებულებინა. თუმცა, ამ პირობაზე კლუბების დათანხმება ვერ მოხერხდა და აზიელებიც არ აპირებენ არგენტინაში წასვლას.

მიიწვევენ თუ არა ტურნირის ორგანიზატორები იაპონელების ნაცვლად რომელიმე სხვა ნაკრებს, არ არის ცნობილი.

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

# რეგლამენტი ისევ შეიცვალა, ფედერაცია პრესას ისევ აიგნორებს

დასაწყისი მე-16 გვერდზე

რაღაც თანხა იქიდანაც წამოვიღოთ. უნდა დავაკომპლექტოთ უმაღლესი და პირველი ლიგა იმისთვის, რომ კლუბები მარტო თამაშზე ფიქრობდნენ. მიმდინარეობს მოლაპარაკება სპონსორებთან პირველი ლიგისა და უმაღლესი ლიგის იმ კლუბებთან დაკავშირებით, რომელთაც დღესდღეობით სპონსორები არ ჰყავთ — ცხინვალის „სპარტაკი“, „სამტრედია“, ფოთის „კოლხეთი“, ზუგდიდის „ბაია“. ვიდრე ახალი ჩემპიონატი დაიწყება, ყველას გაუჩნდება სპონსორი ე.ი. გაუჩნდებათ ჩემპიონატის ჩასატარებლად საჭირო საგარანტიო თანხები, — განაცხადა სიჭინავამ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერით.

სამწუხაროდ, როგორც ხშირად ხდება, ამჯერადაც სხვა მედიასაშუალებების იგნორირება მოხდა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა საჭიროდ ჩათვალა, ქართული ფეხბურთისთვის ფრიად მნიშვნელოვანი ინფორმაცია მხოლოდ ერთი ტელეკომპანიის საშუალებით გაეჟღერებინა. ეს უკვე პირველი ფაქტი არ არის და თუ ფედერაცია ყველა მედიასაშუალებასთან თანაბრად იმუშავებს, გაცილებით მომგებიან პოზიციაში მოხვდება.

— 2010-2011 წლების ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, I-VIII ადგილებზე გასული კლუბები რჩებიან უმაღლეს ლიგაში. პირველი ლიგიდან უმაღლესში პირდაპირ გადადის I-II ადგილებზე გასული კლუბები. უმაღლეს ლიგაში მე-9 ადგილზე გასული გუნდი ნეიტრალურ სტადიონზე ერთმატჩიან ფლეი-ოფში შეხვდება პირველ ლიგაში მე-4 ადგილზე გასულ გუნდს, ხოლო უმაღლეს ლიგაში მე-10 ადგილზე გასული გუნდი ასევე ნეიტრალურ სტადიონზე ერთმატჩიან ფლეი-ოფში შეხვდება პირველ ლიგაში მე-3 ადგილზე გასულ გუნდს. ფლეი-ოფში გამარჯვებული კლუბები მომავალ სეზონში უმაღლეს ლიგაში ითამაშებენ, — ეს უკვე სფფ-ს პრესსამსახურის განცხადებაა.

აქვე გთავაზობთ ვერსიას, რომელიც მზად აქვს ფედერაციას და სავარაუდოდ, დამტკიცდება.

### 2011-2012 წწ გათამაშება

### I ეტაპი

**უმაღლესი ლიგა**

I ეტაპი ტარდება 2 წრედ. თითოეული გუნდი თამაშობს 22 მატჩს.

**პირველი ლიგა**

ამავე პერიოდში სრულდება I ლიგის გათამაშება, რომელშიც 2 წრედ მონაწილეობს 16 გუნდი.

### II ეტაპი

I ეტაპზე უმაღლეს ლიგაში 1-8 გასული გუნდები 2 წრედ განახევრებული ქულებით

გააგრძელებენ ბრძოლას ჩემპიონობისთვის და უეფას საგზურებისთვის.

**გასავარდნი ფლეი-ოფი**

I ბოლოს უმაღლეს ლიგაში 9-12 ადგილებზე გასული გუნდები პირველი ლიგის 1-4 ადგილოსნებთან ერთად 2 წრედ გასავარდნ ფლეი ოფში განულებული ქულებით გააგრძელებენ ბრძოლას უმაღლესი ლიგის 4 საგზურისთვის, ხოლო 5-8 ადგილებზე გასული გუნდები პირველ ლიგაში გადავლენ.



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 2. მაღალხარისხოვანი ყავის ერთ-ერთი ჯიში; 3. სპორტის სათამაშო ოლიმპიური სახეობა; 4. უცხოელთა შესვლა სახელმწიფოში მუდმივ საცხოვრებლად; 5. ცალკე მცხოვრები ოჯახი სოფლად; 6. შოკოლადით დაფარული ნაყინი; 8. ტკბილეული დესერტი; 11. ქიმიური ელემენტი, რომელიც ჯერ მზეზე აღმოაჩინეს, ხოლო შემდეგ დედამიწაზე; 14. დაჟინებული, კატეგორიული მოთხოვნა; 15. კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 16. ფასიანი ქაღალდი; 17. იაპონიის ერთ-ერთი კუნძული; 19. სანადირო თოფით სასროლი მსხვილი საფანტი; 21. თაფლში მოხარშული ხორბალი; 22. მცენარეთა სამყარო.

**თარაზულად:** 1. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 5. პატარა რესტორანი; 7. მხდალი, მშიშარა ადამიანი; 9. აშშ-ს კონგრესის შენობა ვაშინგტონში; 10. რომაული ლეგიონის რჩეული ქვედანაყოფი; 12. ფერმენტი, რომელიც შლის სახამებელს და ხელს უწყობს მის შაქრად გარდაქმნას ორგანიზმში; 13. წყლის ზედაპირის ნელი მოძრაობა, რხევა; 16. თურქეთის ძველი სახელწოდება; 17. ყველაზე დიდი ზომის აფრიკული ანტილოპა; 18. სახალხო მთქმელი შუა აზიაში; 20. მოკლელულიანი შაშხანა; 22. პირველი ატომური რეაქტორის შემქმნელი იტალიელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 23. ბოსტნეული მცენარე; 24. ღვიძლის დაავადება; 25. ზნეობრივი შინაარსის მოკლე-ალეგორიული მოთხრობა.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდისა და სკანვორდის პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბეჟარი; 2. დინგო; 3. სტადია; 4. კოპიჭი; 6. დადიანი; 9. ბანკო; 11. ბალასტი; 15. ნაფტალანი; 16. ჯეჯილი; 17. პასკვილი; 19. იანვარი; 21. ვაგნერი; 22. ვადუცი.

**თარაზულად:** 5. სერფინგი; 7. ალილუია; 8. სპარტა; 10. მარკიორი; 12. ჭიუხი; 13. იჯარა; 14. ატკინსონი; 18. სააბი; 20. ფესახი; 23. ბაჩანა; 24. გედი; 25. უღლევი; 26. ცანა; 27. ბროკერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. ობოლონი; 3. ეპიტაფია; 4. ადაპტაცია; 5. ჯოისი; 6. ოსკარი; 8. კვაისა; 11. ლომბერი; 14. ექსტერიერი; 15. წერეთელი; 16. რეზონანსი; 17. ყაურმა; 19. ალფონსი; 21. ტონგა; 22. ბრუკი.

**თარაზულად:** 1. ფოტეტკა; 5. ჯაკი; 7. დოკერი; 9. მოდიფიკაცია; 10. კალმარი; 12. არამისი; 13. ბოცვერი; 16. რარიტეტი; 17. ყავა; 18. ლალია; 20. ევერტონი; 22. ბრერა; 23. კოლომბო; 24. ნადური; 25. გოგრა.

## იუმორი



— ბავშვობაში ფიქრობდა, რომ ბედნიერებაა, როდესაც არაფერი გტკივა.

— რომ გაიზარდა, მიხვდა, რომ თუკი არაფერი არ გტკივა, უკვე მოკვდი.

— სიბერეში კი, როდესაც ერთდროულად გტკივა ყველაფერი, რაც კი ოდესმე გტკენია, მიხვდა, რომ ბედნიერება ისაა, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი ხარ...

***

— საყვარელო, იქნებ მითხრა, ფეისბუქში ასე ცოტა მეგობარი რატომ მყავს?

— მაპატიე ძვირფასო, უნებლიედ დავაწექი და...

— გასაგებია... 60-ჯერ უნებლიედ, თანაც სულ გოგონებს, არა?

***

— მაშ, თქვენ ამტკიცებთ, რომ მომჩივანმა სულელი გიწოდათ?

— დიახ. თუმცა ეს პირდაპირ არ უთქვამს. ვუთხარი, მან თქვა „ინტელექტი რაც შეეხება, მე და თქვენ ერთ დონეზე ვართ“. გ. თ.

# სამგლოვიარო განცხადებები

## ავთანდილ (ლეო) დოლმაზაშვილი



ჩვენგან წავიდა თანამშრომლებზე, მეგობრებსა და ახლობლებზე მზრუნველი ადამიანი, არაჩვეულებრივი მეუღლე, მამა, ბაბუა, დიდი გამოცდილებისა და ცოდნის მქონე მეცნიერი, ენთუზიაზმით სავსე და მუდამ ახლის ძიებაში მყოფი პიროვნება.

არიან ადამიანები, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია ქვეყნისათვის უდიდესი მატერიალური და სულიერი სიმდიდრის ჩამოყალიბებასთან. მიუხედავად ამისა, გამომდინარე მათი ბუნებიდან, ისინი ფართო საზოგადოების თვალსაწიერის მიღმა რჩებიან. ეს რჩეულთა ხვედრია და ასეთებს მიეკუთვნებოდა მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ჭეშმარიტი მამულიშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიხეილ რჩეულიშვილის მეცხოველეობის ბიოლოგიური საფუძვლების ინსტიტუტის ყოფილი ხელმძღვანელი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი ავთანდილ (ლეო) რამანის ძე დოლმაზაშვილი.

შრომითი საქმიანობა დაიწყო მშობლიური სიღნაღის რაიონში, სადაც სხვადასხვა წლებში იყო მეცხვარეობის ფერმის გამგე, სიღნაღის რაიკომის ინსტრუქტორი, სოფელ ტიბაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, წნორის მეხორცული მეძროხეობის საცდელ-სპეციალიზირებული კომპლექსის დირექტორი;

1991-2006 წლებში ის ხელმძღვანელობდა მეცხოველეობის ბიოლოგიური საფუძვლების სამეცნიერო-კვლევით სექტორს, ხოლო 2006 წლიდან გარდაცვალებამდე იყო სექტორის ბაზაზე შექმნილი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

1973 წელს მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1998 წელს სადოქტორო დისერტაცია.

ა. დოლმაზაშვილი აქტიურად იყო ჩაბმული დამოუკიდებელი საქართველოს აღმშენებლობასთან დაკავშირებულ პროცესებში. 1992 წელს ის არჩეული იქნა საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატად და ხელმძღვანელობდა აგრარულ საკითხთა კომისიის ქვეკომისიას.

სამეცნიერო, პრაქტიკული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 55 წლის მანძილზე ბატონი ლეოს შემოქმედებითი აზროვნებისა და შრომის ნაყოფია ასამდე გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი, საგაზეთო სტატია და მონოგრაფიები.

დამრიგებელი, მკვლევარი, პრაქტიკოსი და საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი დააკლდა სამეცნიერო საზოგადოებას, მეგობრებს, კოლეგებს, ოჯახს და უპირველეს ყოვლისა, იმ სამეცნიერო კოლექტივს, სადაც ის მუშაობდა სიცოცხლის ბოლომდე.

დაე, ყველა ჩვენგანის სიყვარულმა, მონატრებამ და მის სახელზე ანთებულმა სანთლებმა გაუნათოს გზა ბატონ ლეოს ცათა სასუფეველში.

მის სახელს დავიწყება არ უწერია.

*მიხეილ რჩეულიშვილის მეცხოველეობის ბიოლოგიური საფუძვლების ინსტიტუტი.*

---

ბესიკ ვეშაპიძე, გივი სანაძე, ოთარ ნათიშვილი, გივი აბალაკი, ოთარ გაგუა, ნოდარ ჩიბალაშვილი, კარლო სოზიაშვილი, ტრისტან ხუციშვილი, თენგიზ მდივანი, ნოდარ ტაბიძე, ჯენეტო ჭანტურაია, თემო დოიაშვილი, ლერი მუსხელაძე, მიხეილ ქავთარია იუწყებიან ჩვენი საზოგადოების ღირსეული წარმომადგენლის

**ავთანდილ (ლეო) დოლმაზაშვილის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს.

---

პრესის გავრცელების სააგენტო „პლანეტა ფორტეს“ ხელმძღვანელობა და თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სააგენტოს ღვაწლმოსილი მუშაკი, შესანიშნავი ოჯახის დედა, სათნო ქალბატონი

**ნანული სარდიონის ასული პაჭკორია**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ანზორ, ცაცო, ქეთინო, ნათია გაბიტაშვილები მწუხარებას გამოთქვამენ და თანაუგრძნობენ სიძეს, თენგიზ პაჭკორიას დედის

**ნანული პაჭკორიას**

გარდაცვალების გამო.

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# სტროს-კანი თავდებით არ გაათავისუფლეს

მსოფლიო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელი დომინიკ სტროს-კანი, რომელიც გაუპატიურების მცდელობაში არის ბრალდებული, ნიუ იორკში, რაიკერს აილენდის პენიტენციურ კომპლექსში გადაიყვანეს.

მოსამართლე მელისა ჯექსონმა 62 წლის ფრანგი პოლიტიკოსის ადვოკატების სიტყვა ყურად არ იღო და მილიონი დოლარის გადახდის სანაცვლოდ სტროს-კანი თავდებით არ გაათავისუფლა.

მოსამართლემ მიიჩნია, რომ სტროს-კანი შეიძლება მიიმალოს.

მსოფლიო სავალუტო ფონდის დირექტორს შვიდი პუნქტისაგან შემდგარი ბრალდებები აქვს წაყენებული. დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში მას 25 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

სტროს-კანი 2012 წლის საფრანგეთის პრეზიდენტის არჩევნებში ფავორიტად ითვლებოდა. იგი უარყოფს ბრალდებებს, რომლის თანახმადაც ნიუ იორკის ფეშენებელურ, სოფიტელის სასტუმროში იგი მოახლეს დაესხა თავს და მისი გაუპატიურება სცადა.

სტროს-კანის ადვოკატმა ენჯამინ ბრაფმანმა მოსამართლის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით სინანული გამოხატა, თუმცა განაცხადა, რომ თავისი კლიენტის სახელს დაიცავდა.

რაიკერს აილენდის ციხეს ხშირად წარმოადგენენ ხოლმე დეტექტიურ ტელესერიალებში. აქ არსებული პირობები მკვეთრად განსხვავდება სასტუმროების ლუქს ნომრებისა და ავიალაინერების პირველი კლასის სალონების პირობებისაგან, რასაც სტროს-კანი არის ჩვეული.

რაიკერს აილენდი ლა გუარდიას აეროპორტის მახლობლად,



მდინარე ისტ რივერზე, ცალკე კუნძულზეა განთავსებული და იგი ხანგრძლივი პატიმრობის მთავარ ცენტრს წარმოადგენს.

საგამოძიებო იზოლატორი, სადაც დღემდე სტროს-კანი იმყოფებოდა, მხოლოდ ხანმოკლე დაკავებისათვის არის გათვალისწინებული.

რაიკერს აილენდის საკნებში დაახლოებით 11 ათასი პატიმარი იმყოფება.

ექსპერტების თქმით, ეს ციხე პატიმრებით არის გადავსებული და იქ საზიზღარი პირობებია. კიდევ ერთ საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ამ ციხეში ცნობილ ადამიანებზე ნადირობაა გამოცხადებული.

რაიკერს აილენდის სისტემა ათი ციხისაგან შედგება და დომინიკ სტროს-კანი მათგან ყველაზე პატარაში მოათავსეს. ამ ციხეში ძირითადად გადამდები სნეულებებით ავადმყოფი პატიმრები ჰყავთ. ამ ციხეში სტროს-კანს ცალკე საკანი ექნება, მაშინ როდესაც პატიმრების უმეტესობა ათკაციან საკნებში იმყოფება.

გასასეირნებლად, დღეში ერთი საათის განმავლობაში მას დაცვის თანხლებით და ცალკე გაიყვანენ, რათა მას არავინ დაესხას თავს.

დომინიკ სტროს-კანი ნიუ იორკის აეროპორტში, ევროპისაკენ მიმავალ თვითმფრინავში დააკავეს. სწორედ ამ გარემოებაზე გაამახვილა ყურადღება მოსამართლე ჯექსონმა, როდესაც თავდებით გათავისუფლების თხოვნაზე უარი განაცხადა.

ნიუ იორკში დაკავების გამო დომინიკ სტროს-კანი ვერ მოხვდა ევროკავშირის ქვეყნების ფინანსთა მინისტრების შეკრებაზე, რომელიც ბრიუსელში გაიმართა. ამ შეხვედრის დროს პორტუგალიისა და საბერძნეთისათვის ფინანსური დახმარების გამოყოფის საკითხი განიხილეს.

# მოსკოვში კანიბალიზმში ეჭვმიტანილი დააკავეს

სამშაბათს მოსკოველმა პოლიციელებმა დააკავეს მამაკაცი, რომელიც კანიბალიზმშია ეჭვმიტანილი.

რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის განცხადებით, დაკავებულმა



მკვლელობა და კანიბალიზმი აღიარა.

საგამოძიებო კომიტეტის ოფიციალური წარმომადგენლის, ვლადიმირ მარკინის თქმით, დაკავებული ფსიქიურად არაჯანმრთელი და არაერთგზის ნასამართლევი 40 წლის მოსკოველი მამაკაცია.

როგორც პოლიცია აცხადებს, კაციჭამიას მსხვერპლად იქცა მისი ნაცნობი, ასევე ფსიქონევროლოგიური დისპანსერის აღრიცხვაზე მყოფი პიროვნება.

ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში მდინარე მოსკოვში და მოსკოვის რამდენიმე რაიონში ადამიანის სხეულის სხვადასხვა ნაწილები აღმოაჩინეს.

გასულ ოთხშაბათს მდინარე მოსკოვში, კარამიშევის სანაპიროს რაიონში წყლიდან ცელოფნის შავ პაკეტში გახვეული ადამიანის თავი ამოიღეს.

მოსკოვის სამხრეთით, ბორისოვის გუბურაში მოკვეთილი წინამხარი იპოვეს.

გავრცელებული ცნობების თანახმად, დანაშაულის გამოსაძიებლად მოსკოვის პოლიციაში სპეციალური შტაბი შეიქმნა.

კანიბალიზმში ეჭვმიტანილი მამაკაცი საკუთარ ბინაზე, ოლეკო დუნდიჩის ქუჩაზე, მოსკოვის დასავლეთით დააკავეს. მაცივარში მას ადამიანის სხეულის ნაწილები უპოვეს.

მოსკოვის პოლიციის ინფორმაციით, კანიბალს ბინაში მკვლელობის იარაღი და ადამიანის ღვიძლისაგან დამზადებული რაგუ უპოვეს.

ოპერმუშაკები ეჭვმიტანილის კვალზე თითის ანაბეჭდების საშუალებით მოკლულის ვინაობის დადგენის და მისი ნაცნობების წრის განსაზღვრის შემდეგ გავიდნენ.

გამოძიების მონაცემების თანახმად, კაციჭამიამ თავისი ნაცნობი მოკლა და მესანგრის ნიჩბის საშუალებით მისი სხეული დაანაწევრა. შემდეგ ნაწილები ქუჩაში გაიტანა და კოლექტორებში, სარდაფებში, მდინარე მოსკოვში გაანაწილა.

მოსკოვის პოლიცია ამჟამად მკვლელობის გარემოებებს იძიებს.

# შვარცენეგერს ცოლის მოახლესთან შვილი ჰყოლია

**დასაწყისი მე-16 გვერდზე**

როგორც „ლოს ანჯელეს თაიმსი“ აღნიშნავს, გამორიცხული არ არის, რომ შვარცენეგერისა და მარია შრაივერის განქორწინების მიზეზი სწორედ ეს იყოს.

„გუბერნატორის პოსტის დატოვების შემდეგ ცოლს ამ შემთხვევის შესახებ ვუამბე, რომელიც 10 წლის წინ მოხდა. მესმის და ვიმსახურებ მის უკმაყოფილებას და იმედგაცრუებას. ჩემი გამართლება შეუძლებელია და მიყენებული ტკივილის პასუხისმგებლობას მთლიანად ვკისრულობ, ბოდიში მოვიხადე მარიას, ჩემი შვილების, ოჯახის მიმართ“, — განაცხადა შვარცენეგერმა საგაზეთო ინტერვიუში.

გარდა ამისა, არნოლდ შვარცენეგერმა მედია საშუალებებს მისი და მისი ოჯახის წევრების პირადი ცხოვრების პატივისცემის თხოვნით მიმართა.

სწორედ ამ მიზეზის გამო გაზეთ „ლოს ანჯელეს თაიმსს“ არ გამოუქვეყნებია ყოფილი მოსამსახურის სახელი, არც ბავშვის სქესი და სახელი.

თავის მხრივ, მარია შრაივერის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ კომენტარისაგან თავს იკავებენ.

არნოლდ შვარცენეგერმა და კენედების ოჯახის წარმომადგენელმა მარია შრაივერმა ერთმანეთი 1977 წელს გაიცნეს, 1986 წელს იქორწინეს. მათი უფროსი ქალიშვილი კეტრინ იუნისი 1977 წელს დაიბადა, უმცროსი ვაჟი ქრისტოფერი — 1997 წელს. მიმდინარე წლის აპრილამდე ოჯახი ბრენტვუდში, ლოს ანჯელესის ერთ-ერთ გარეუბანში მდებარე ვილაში ცხოვრობდა. სამი კვირის წინ მარია შრაივერმა ეს ვილა დატოვა.

არნოლდ შვარცენეგერის კალიფორნიის შტატის გუბერნატორად ყოფნის განმავლობაში მარია შრაივერი აქტიურ საქველმოქმედო მოღვაწეობას ეწეოდა, მონაწილეობდა სატელევიზიო, საგამომცემლო პროექტებში, ქალთა უფლებების აქტიურ დამცველად ითვლებოდა.

აღსანიშნავია, რომ იგი არ იზიარებდა თავისი მეუღლის პოლიტიკურ შეხედულებებს. კენედების ოჯახი ყოველთვის დემოკრატებს უჭერდა მხარს, მაშინ როდესაც შვარცენეგერი გუბერნატორად რესპუბლიკური პარტიიდან აირჩიეს. 2008 წელს შრაივერმა ობამას მისცა ხმა, მისმა მეუღლემ — ჯონ მაკეინს.

ცოტა ხნის წინ შვარცენეგერმა აღიარა, რომ ცოლმა კაბინეტიდან საბჭოთა ლიდერების ქანდაკებების კოლექციის მოშორება აიძულა. შვარცენეგერმა მხოლოდ ლენინის „გადარჩენა“ შეძლო.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# TV პროგრამა

**ხუთშაბათი 19 მაისი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ევროპული არჩევანი **13.30** მეხსიერება **14.00** ცხოვრება მშვენიერია **15.00** სერ. "**ხუთი და**" **17.00** ან. ფილმი "ჯუმანჯი" **18.00** დოკ. ფილმი "ხეების პლანეტა" **19.05** დოკ. ფილმი "ბირთვული იარაღის საიდუმლო" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. "**ხუთი და**" **22.00, 03.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** სერ. "**ზიანი**" (12) **01.00** ავტოპილოტი **02.00** მხ. ფილმი "**სიჩუმე**" (18) (ჯ. ლანგი)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** დოკ. ფ."რომი: იმპერიის ალმავლობა და დაცემა" **20.00** მხ. ფილმი "**ერინ ბროკოვიჩი**" **01.00** მხ. ფილმი "**მოპარული ჰარვარდი**"

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. "**ცოდვილი**" **11.00** სერ. "**მიმწყვდეული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** ნიჭიერი (გან.) **17.00** სერ. "**მორენას ვნება**" **18.45** სერ. "**დანიელა**" **19.45** სერ. "**ელენას მოჩვენება**" **22.00** პროფილი **23.30** ტოტო **00.00** მხ. ფილმი "**მოჩვენება**" (სუბტ.) **02.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "ბეტმენი" **09.00** სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. "**დაუნდობელი სამყარო**" **12.00** სერ."**გაუხსნელი საქმე**" **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **15.20** სერ."**ორნახევარი კაცი**" **16.30** მხ. ფილმი **19.00** სერ. "**ვნებათა მიწა**" **20.00** სერ. "**დაუნდობელი სამყარო**" **21.00** სერ."**გაუხსნელი საქმე**" **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. "**ლამაზი სიცოცხლე**" **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.30** სერ. "**სიყვარულის ზღვა**" **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** შეგირდი (გან.) **16.00** სერ. "**მეტოქეები**" **17.40** სერ. "**სიყვარულის ზღვა**" **18.40** სერ. "**როცა სიყვარული მოდის**" **21.00** სერ. "**ქალბატონი**" **22.00** სერ. "**შუა ქალაქში**" **23.00** **შეგირდი** **23.30** მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი (გან.) **01.25** მხ.ფ."**ნამდვილი მაკკოი**" (კ. ბესინგერი) (სუბტ.) **03.20** მხ. ფილმი "**სზრმავე**" (18) (ჯ. მური) (სუბტ.) **06.30** სერ. "**ბოშები**"

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. "**პეტერბურგის საიდუმლოებანი**" **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.50, 21.00** სერ. "**ჩემი მიწა**" **12.50** სერ. "**სალომეა**" **14.50** სცენა **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. "**სკოლის მეგობრები**" **19.30** სერ."**ცნობილი ოჯახები**" **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** მოკლ. ფილმი "**არღანი**" **11.05** სუფთა დაფა **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი "**როცა აყვავდა ნუში**" **13.35** კონცერტი – "ჩვენ ვუკრავთ კლასიკას" **1**-ლი ნ. **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ. ფილმი "**ხარება და გოგია**" **1**-ლი ნ. **17.40** დოკ.ფ."ველური ბუნება" **18.05** საღვთისმეტყველო საუბრები **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი "**ზოგი ჭირი მარგებელია**" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** მიწათმოქმედი **21.40** წარმატების ფორმულა **22.25** დოკ. ფილმი "ადილა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკლ. ფილმი "**მიხა**" **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** სად უჩინარდებიან ჩემპიონები **01.20** მხ. ფ. "**ზღვის ბილიკი**"

**08.00** დოკ. ციკლი "შოტლანდიის ისტორია" **09.10** სერ. "**ენ სი აი ეს**" **10.00** დოკ. ციკლი "საომარი სტრატეგია" **11.00** დოკ. ციკლი "შოტლანდიის ისტორია" **12.15** სერ. "**ენ სი აი ეს**" **13.10** მხ. ფილმი "**ესკადრილია ლაფაიეტი**" **15.40** მხ. ფ. "**აწყვეტილები 4**" **17.35** მხ.ფ."**მგლების იმპერია**" **19.55** მხ. ფილმი "**ორი პოლიციელი**" **22.00** მხ. ფილმი "**სიმამაცის სახლი**" **00.05** მხ. ფილმი "**ვარსკვლავთკარიბჭე**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**19 მაისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6766
ევრო —2,4901
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7672
რუსული რუბლი — 0,0612

**აღმოსავლეთ საქართველო:**
ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 21-25, ღამით — 11-15

**დასავლეთ საქართველო:** საქართველო:
ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 22-28, ღამით — 16-17

**სამხრეთ საქართველო:** საქართველო:
ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 1§-18, ღამით — 5-13

## ამინდის პროგნოზი 19 მაისისთვის








წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები – გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

WWW.PHERDI.GE ☎ 95-90-60

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


## რეგლამენტი ისევ შეიცვალა, ფედერაცია პრესას ისევ აიგნორებს

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ზვიად სიჭინავას განცხადებით, მომავალ სეზონში უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა 12-მდე გაიზრდება.**

— ჩვენ მოვამზადეთ პროექტი, რომელსაც 19 მაისს უმაღლესი და პირველი ლიგის კლუბების ხელმძღვანელებს გავაცნობთ. უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა 12-მდე გაიზრდება და ვთავაზობთ თამაშის ახალ სისტემას. დაწესდება საპრიზო ფონდი, როგორც უმაღლეს, ასევე პირველ ლიგაში. ფედერაციის ინტერესებში თამაშების რაოდენობის გაზრდა შედის. უმაღლესი და პირველი ლიგების გუნდები სეზონში მინიმუმ 44 თამაშს ჩაატარებენ, ხოლო საქართველოს თასის ფინალისტი 50-ზე მეტ თამაშს ითამაშებს. ამ პროექტს ხვალ კლუბების ხელმძღვანელებთან განვიხილავთ. ჩვენ ყველა მათ მოთხოვნას და შეთავაზებას გავითვალისწინებთ, 20 მაისს 12:00 საათზე კი, ეს პროექტი ან ის პროექტი, რომელსაც ჩვენ გავივლით, აღმასკომზე უნდა დამტკიცდეს. პირველ ლიგას ეძლევა თანაბარი შანსი, როგორც უმაღლეს ლიგას. არ შეიძლება, გუნდმა პირველ ორ წრეში თავისი მოგებები და თავისი რაღაცები ჩემპიონატის მეორე ნახევრისთვის გადადოს დეკემბრის მერე, მარტში ან აპრილში რომ დაგეგმოს. როგორც პირველ, ასევე უმაღლეს ლიგაში ჩემპიონატი პირველივე დღიდან დაძაბული უნდა იყოს. საპრიზო ფონდის მინიმალური თანხა მილიონი ლარი იქნება. ჩვენ ახლა ვარკვევთ სახელმწიფოსთან, ვარკვევთ სპონსორებთან. შეიძლება ბევრი სიურპრიზი იყოს არა მარტო თანხების მხრივ, არამედ, სხვადასხვა. ჩვენ უკვე გვაქვს მოლაპარაკება ნავთობის კომპანიებთან. შესაძლოა


გაგრძელება მე-14 გვერდზე


## შვარცენეგერს ცოლის მოახლესთან შვილი ჰყოლია



აშშ-ის კალიფორნიის შტატის ყოფილმა გუბერნატორმა, „ტერმინატორის“ ვარსკვლავმა არნოლდ შვარცენეგერმა აღიარა, რომ მისი ყოფილი მეუღლის შინამოსამსახურეს, რომელიც კალიფორნიის შტატის ყოფილ პირველ ლედისთან 20 წლის განმავლობაში მუშაობდა, მისგან შვილი ჰყავს.


გაგრძელება მე-15 გვერდზე


## ასტროპროგნოზი 19 მაისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

**სიახლის დღეა**

**ვერძი** — უარს ნუ იტყვით შემოთავაზებაზე, ყველაფერი კარგად გააანალიზეთ. **კურო** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ტყუპები** — ახალ საქმეს წამოიწყებთ, გაგიმართლებთ კიდეც. **კირჩხიბი** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ, გახარებული ხართ. **ლომი** — ყურადღების ცენტრში ხართ, გელით სიურპრიზი. **ქალწული** — საინტერესო ადამიანს შეხვდებით, მის მიმართ ნაზი გრძნობა დაგეუფლებათ. **სასწორი** — ახალი პროექტი დაგაინტერესებთ, ის სარფიანიც აღმოჩნდება. **ღრიანკალი** — ფულს შოულობთ, შემოსავლის ახალი წყარო გამოგიჩნდებათ. **მშვილდოსანი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, წადით მეგობრებთან. **თხის რქა** — თქვენი საქმე კარგად მიდის, მთავარია არ მოდუნდეთ. **მერწყული** — იმიჯის შეცვლა სწორედ რომ დროულია, წარმატებას მიაღწევთ. **თევზები** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ოპერა „სევილიელი დალაქის“ კომპოზიტორი; 2. გემების სადგომი ნავსადგურში; 3. ქართველი კინოვარსკვლავი ქალი; 4. გერმანელი დრამატურგი „კავკასიური ცარცის წრის“ ავტორი; 6. უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 9. დუდუკზე შესრულებული დილის ჰანგი; 11. ყირგიზეთის დედაქალაქი; 15. უმაღლესი ხარისხის ქვანახშირი; 16. ტყავის დამზადების ოსტატი ძველად; 17. ისლამის დამფუძნებელი; 19. ქართველი მევიოლინე ქალი; 21. სპეციალური მარხილებით შეჯიბრება სწრაფ დაშვებაში; 22. პოლიციის განყოფილების უფროსი აშშ-ში.

**თარაზულად:** 5. ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 7. არქიტექტურულად გაფორმებული შენობის მთავარი შესასვლელი; 8. ცხოვრების, შრომის, დასვენების, კვების მტკიცედ დადგენილი წესი; 10. ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო პრეპარატი; 12. სტანდარტული ფორმის კითხვარი ცოდნის შესამოწმებლად; 13. ქიმიური ელემენტი, მეტალი; 14. ფრანგი მარშალი, შვეციის მეფე; 18. უნგრული ღვინო; 20. გარდაუვალი ბედი, ბედისწერა; 23. რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი; 24. ფეხბურთის გუნდის მცველის ძველებური სახელწოდება; 25. სოფელი თბილისის მახლობლად; 26. ბერძნული ყველი; 27. თავისუფალ გლეხთა კატეგორია ფეოდალურ საქართველოში.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*




# 16 მაისიდან

იყიდება

100 წიგნი

„ახალი თაობის“ და „საოჯახო ბიბლიოთეკის“

სუპერპროექტის

ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო




ტომი 5

სერვანტესი

გაზეთი და წიგნი ერთად

8 ლარი